ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტების სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტების სამეცნიერო კონფერენცია

2024
30 ივლისი

მასალებში დაცულია ავტორების სტილი.

The Articles in This Collection Maintain the Author's Original Style.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

ISBN 978-9941-36-390-0 (pdf)

სარჩევი

სალომე ახვლედიანი, მმართველობის ანგარიშგების წარდგენის
მნიშვნელოვანი სიახლეები და გამოწვევები 5

ირაკლი გაზდელიანი, პოლიტიკური ფაქტორების გავლენა
საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე 16

ანა გიგაური, განათლებისა და დასაქმების ბაზრის შესაბამისობის
ანალიზი საქართველოში 27

ირაკლი ზოიძე, საქართველოს საინვესტიციო გარემოზე
მოქმედი ფაქტორები 38

გიორგი კოხრეიძე, მონეტარული პოლიტიკა და ბიზნესციკლები 47

სალომე მაისურაძე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტურისტული
მიმზიდველობის ზრდის სტატისტიკური ტენდენციები 56

გივი ნადირაძე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“
ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი 65

გიორგი ორაგველიძე, ინოვაციური მეწარმეობის პოლიტიკა საქართველოში 71

გრიგოლ ქარცივაძე, უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის
გამოყენებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება 77

ჰეიდარ ალიევი, „ჰოლანდიური დაავადება“:
ნორვეგიული მოდელის თავისებურებანი 86

ქრისტინა ჯულაყიძე, კონკურენციის დაცვისა და განვითარების
ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა 102

თინათინ ლოლაძე, დასაქმების საჯარო სერვისები და შრომის
ბაზრის აქტიური პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში.....108

მმართველობის ანგარიშგების წარდგენის მნიშვნელოვანი სიახლეები და გამოწვევები

სალომე ახვლედიანი
თსუ დოქტორანტი

ფინანსური აღრიცხვის, აუდიტისა და ანალიზის მიმართულებით ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

თემაში განხილულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მმართველობის ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიახლეები, მიდგომები და გამოწვევები. საქართველოში ფუნქციონირებადი საწარმოების გამოწვევაა სანდო, ინფორმაციული, სრულყოფილი მმართველობის ანგარიშგების წარდგენა. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სიახლეს წარმოადგენს მდგრადობის ანგარიშგების წარდგენა, რომელიც ეყრდნობა მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ISSB) მიერ შემუშავებულ კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების ორი საერთაშორისო სტანდარტს, რომლებიც მიზნად ისახავს საწარმოთა სოციალურ, გარემოსდაცვით და მმართველობით (ESG) ანგარიშგების წარდგენას.

მდგრადი ანგარიშგების წარდგენის საკითხებთან დაკავშირებით, გლობალური ტენდეციების შესწავლის მიზნით, UN Global-ისა და IFC (International Finance Corporation)-ის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა. პანელური დისკუსიის ფორმატში მიმდინარე შეხვედრაზე განხილულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნები, გარემოსდაცვითი სერტიფიცირება, ასევე მდგრადი ანგარიშგების წარდგენის მნიშვნელობა და მმართველობითი გადაწყვეტილებები მდგრადი ანგარიშგების წარდგენის მიზნით. შეხვედრაზე წარმოდგენილი გლობალური გამოწვევები ნაშრომში განხილულია საქართველოს მაგალითზე.

ნაშრომის მიზნებისთვის შესწავლილია საქართველოში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები, დადგენილია მათი სტანდარტთან შესაბამისობა, ტენდეციები და ნაკლოვანებები. ჩამოყალიბებულია მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის გაუმჯობესების გზები, ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები მდგრადი ანგარიშგების წარდგენის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *მმართველობის ანგარიშგება, მდგრადი ანგარიშგება, ESG პოლიტიკა.*

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო, რომლის მიზანს წარმოადგენდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა. ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმის ფარგლებში, რომელიც 2016 წლიდან ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე მიმდინარეობს, საქართველოში მოქმედ რიგ საწარმოებს დაევალათ ანგარიშგების პორტალზე (www.reportal.ge) კორპორაციული ანგარიშგების წარდგენა/გასაჯაროება.

კერძოდ, სდპ და I კატეგორიის საწარმოებს/ჯგუფებს ევალებათ ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული აუდიტირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების, ხოლო II კატეგორიის საწარმოებს/ჯგუფებს მსს ფასს[1] სტანდარტებით მომზადებუ-

[1] (SARAS, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო, 2018)

ლი აუდიტირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების წარდგენა/გასაჯაროება, III კატეგორიის საწარმოებს/ჯგუფებს მსს ფასს სტანდარტით მომზადებული არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა/გასაჯაროება, ხოლო IV კატეგორიის საწარმოებს სამსახურის მიერ შექმნილი გამარტივებული ანგარიშგების სტანდარტით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

თემას აქტუალურს ხდის მმართველობის ანგარიშგების წარდგენის თანამედროვე მიდგომები, რომლებიც უკავშირდება მდგრადი ანგარიშგების წარდგენას. კაპიტალის საერთაშორისო ბაზრები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ უფრო ხარისხიან და სრულყოფილ ინფორმაციას მოითხოვენ, რათა ინვესტორებმა საწარმოს ღირებულების შეფასებისას შეძლონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება.

ნაშრომის მიზანია მმართველობის ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიახლეების, მიდგომებისა და გამოწვევების შესწავლა, წარდგენილი ანგარიშგებების შესწავლის საფუძველზე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა, რეკომენდაციების ჩამოყალიბება მდგრადი ანგარიშგების წარდგენის მიზნით.

დღესდღეობით საქართველოში არსებული კომპანიების მიერ წარდგენილი მმართველობის ანგარიშგება სრულად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, ხშირად წარდგენილი ანგარიშგება არ აძლევს სრულყოფილ ინფორმაციას ინვესტორს გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთანავე, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პროცესის სტანდარტიზაცია, გამჭვირვალობისა და სანდოობის უზრუნველყოფაა.

აღნიშნული საკითხების შესასწავლად, კვლევის ფარგლებში შეფასდა სდპ-ს, I და II კატეგორიის საწარმოების მიერ წარდგენილი 2022 წლის ანგარიშგებები. 2022 წელს წარდგენილ სდპ-ს 129 ანგარიშგებიდან შესწავლილ იქნა 15 ანგარიშგება, I კატეგორიის საწარმოს 116 ანგარიშგებიდან – 25, II კატეგორიის საწარმოს 577 ანგარიშგებიდან 36 ანგარიშგება.

კვლევის შეფასების კრიტერიუმები დაეფუძნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მიერ შემუშავებულ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს და, ამასთანავე, 2022 წელს ევროკომისიის მიერ შემუშავებულ კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივას (CSRD) და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგებას.

საკითხის შესწავლის მიზნით მონაწილეობა მივიღე UN Global-ისა და IFC (International Finance Corporation) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში. პანელური დისკუსიის ფორმატში მიმდინარე შეხვედრაზე განხილულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნები, გარემოსდაცვითი სერტიფიცირება, ასევე მდგრადი ანგარიშგების წარდგენის მნიშვნელობა და მმართველობითი გადაწყვეტილებები მდგრადი ანგარიშგების წარდგენის მიზნით.

ასევე საკითხი განიხილა რამდენიმე ბიზნესსუბიექტის მენეჯმენტთან და გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მიგნებები.

წარდგენილი ანგარიშგებების შესწავლისა და ბიზნესსუბიექტების გამოკითხვის შედეგად, დადგინდა, რომ გამჭირვალე, სანდო, ხარისხიანი და, ამასთანავე, დროული ანგარიშგების წარდგენა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მდგრადი ანგარიშგების წარდგენასა და ზოგადად ESG საკითხებთან დაკავშირებით დაბალია ბიზნესსუბიექტების ინფორმირებულობა.

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი ბიზნესსუბიექტების უმრავლესობა წარადგენს მმართველობის ანგარიშში იმ მინიმალურ საკითხებს, რომელთა წარდგენაც სავალდებულოა კანონით.

მმართველობის ანგარიშგების
მიზანი და წარდგენის სიახლეები

მმართველობის ანგარიშგება არის ბიზნესის ინტელექტის წყარო, რომელიც ეხმარება ბიზნესლიდერებს, მიიღონ ზუსტი გადაწყვეტილებები რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების საფუძველზე. ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესში უმჯობესდება ბიზნესპროცესები.

მმართველობის ანგარიშგების მიზანია, დაინტერესებულ პირებს სუბიექტის საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება მისცეს. აღნიშნული ანგარიშგების დახმარებით მათ შეუძლიათ როგორც სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების და ძირითადი რისკების შეფასება, ისე ის, თუ რამდენად წარმატებულად შეასრულა საწარმომ დასახული მიზნები[1].

მმართველობის ანგარიშგების კომპონენტებს წარმოადგენს: საქმიანობის მიმოხილვა, კორპორაციული მართვის ანგარიშგება, არაფინანსური ანგარიშგება.

მდგრადი ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული საკითხები გაერთიანებულია მმართველობის ანგარიშგების არაფინანსური ანგარიშგების კომპონენტში. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზნებისთვის შესწავლილია მმართველობის ანგარიშგების არაფინანსური ანგარიში. სუბიექტების მიერ წარმოდგენილი არაფინანსური ანგარიშგება, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს გარემოს დაცვის, სოციალურ, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის ზეგავლენის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას[2].

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში მიიღო რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში. რეზოლუცია წარმოადგენს 15-წლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს წინაშე არსებული თანამედროვე გლობალური გამოწვევების მიმართ ძალისხმევის გააქტიურებას, კერძოდ, სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, განათლების, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხების, ასევე კლიმატური და ეკოლოგიური გამოწვევების გამკლავებას.

რეზოლუციაში გაიწერა მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და სამ ძირითად განზომილებაში ერთიანდება – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. საქართველომ, სხვა ქვეყნების მსგავსად, მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია, რის ფარგლებშიც ეროვნულ დონეზე 17 მიზნისა და მათი ამოცანების იმპლემენტაციის მონიტორინგისთვის შემუშავდა 202 ეროვნული ინდიკატორი[3].

2022 წელს, ევროკომისიამ კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD) შეიმუშავა, რომელიც 2023 წლის 5 იანვრიდან შევიდა ძალაში ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. საწარმოებისთვის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მომზადე-

---

1 (SARAS, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო, 2018)

2 (SARAS, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო, 2018)

3 (IDFI, 2021)

ბა შესაბამისი სტანდარტის გამოყენებით, სავალდებულო გახდება 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელსაც ადგილობრივ უწყებებს წარუდგენენ 2025 წლიდან.

ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში სრულყოფილადაა აღწერილი, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა სფეროზე. იმდენად, რამდენადაც, მდგრადობის ანგარიშგების მიზანია, შეამციროს გარემოსა და სოციუმზე საწარმოთა უარყოფითი ზემოქმედება, მთავარი გამოწვევა მდგრადობის ანგარიშგების მომზადების პროცესის სტანდარტიზაცია, გამჭვირვალობის და სანდოობის უზრუნველყოფაა.

გლობალური მასშტაბით გამოვლენილია მდგრადობის ანგარიშგების წარდგენის მნიშვნელოვანი სარგებელი, ესენია[1]:

- გრძელვადიან პერსპექტივაში საოპერაციო ხარჯების შემცირება;
- კონკურენტული უპირატესობის გაუმჯობესება;
- სოციალური, გარემოსდაცვითი და ფინანსური რისკების შემცირება;
- ინოვაციების გაუმჯობესება, რადგან ორგანიზაციები ეძებენ შესაძლებლობებს საკვანძო სფეროებში წარმატების მისაღწევად;
- ფინანსურ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და „იაფი“ ფულადი რესურსის ხელმისაწვდომობა;
- რეპუტაციის გაძლიერება მეტი გამჭვირვალობის მეშვეობით;
- მარეგულირებელი შესაბამისობის გაუმჯობესება;
- ბრენდის ღირებულების გაზრდა.

ევროპის ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ჯგუფი (EFRAG) წარმოადგენს ევროპულ ხმას კორპორატიულ ანგარიშგებაში, EFRAG არის კორპორატიული ანგარიშგების გლობალური პროგრესის მონაწილე. მისი მისიაა ემსახუროს ევროპულ საჯარო ინტერესს ფინანსური ანგარიშგებისა და მდგრადი ანგარიშგების მიმართულებით. EFRAG-ი გამოდის ევროკომისიის (EU) მრჩევლის როლში ისეთ საკითხში, როგორიცაა IFRS-ის ახლად შემუშავებული და განახლებული სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (IAS) შესაბამისობა. მდგრადობის ანგარიშგების აქტივობებში EFRAG აწვდის ტექნიკურ რჩევებს ევროკომისიას მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) პროექტების სახით, რომელიც შემუშავებულია მკაცრი სათანადო პროცესის ფარგლებში და მხარს უჭერს ESRS-ის ეფექტურ განხორციელებას[2].

ESRS შესაბამისობის ოთხ ძირითად ნაბიჯს გამოყოფენ, ესენია:

- ნაბიჯი A: კონტექსტის გაგება;
- ნაბიჯი B: მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული ფაქტობრივი და პოტენციური გავლენის, რისკის და შესაძლებლობის (IRO) იდენტიფიცირება;
- ნაბიჯი C: მატერიალური IRO-ს შეფასება, განსაზღვრა და მდგრადობის საკითხებთან დაკავშირება;
- ნაბიჯი D: ანგარიშგება.

სწორედ EFRAG-ის მიერ შემუშავებული მდგრადი ანგარიშგების სტანდარტები იქნება შემოღებული საქართველოში, როგორც ეს მოთხოვნილია ევროკავშირის დირექტივით.

საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ვკითხულობთ: საქართველოს ევროპული პერ-

[1] https://inconsult.com.au/publication/key-challenges-for-sustainability-reporting/
[2] (Efrag, 2024)

სპექტივის გათვალისწინებით, აღნიშნული სტანდარტების შემოღება მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ადგილობრივი რსაწარმოების საქმიანობის მდგრადი განვითარებისთვის. ამ სახელმძღვანელო პრინციპების ადრეულ ეტაპზე შემოღება ქვეყნისთვის წარმოადგენს შესაძლებლობას, გააუმჯობესოს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშგების წარმოების პრაქტიკა, წვლილი შეიტანოს უფრო მდგრადი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემოს შექმნაში, რაც საბოლოოდ მეტად მტკიცე და გამჭვირვალე, ევროპული ბიზნესგარემოს შექმნას უზრუნველყოფს. ამ სტანდარტების ადრეულ ეტაპზე დანერგვა ევროკავშირთან ინტეგრაციის საფუძველს შექმნის და საწარმოთა მდგრადი განვითარების უზრუნველყოფს, ასევე გააძლიერებს ინვესტორთა ნდობას და გააჩენს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს.

იმისათვის, რომ დინამიკური აპროქსიმაციის ფარგლებში საქართველომ ფეხი აუწყოს ევროკავშირის მოთხოვნებს, იგეგმება მარეგულირებელ დირექტივებსა და რეგულაციაში შესული ცვლილების ასახვა კანონმდებლობაში[1].

დღესდღეობით, საქართველოში, ESG ანგარიშსს მეტ-ნაკლებად ინფორმატიულად წარადგენს საფინანსო სექტორი, ვინაიდან კომერციული ბანკები 2021 წლიდან ESG ანგარიშგების სავალდებულო ფორმას ავსებენ და ESG-თან დაკავშირებულ ინფორმაციას ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპების შესაბამისად აქვეყნებენ. ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ESG-თან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გასამარტივებლად, შევსებული ფორმები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე არის ხელმისაწვდომი[2].

საქართველოში ფუნქციონირებადმა კომპანიების ნაწილმა დაიწყო მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტის დანერგვისთვის მზადება. ადრეული დანერგვის მოტივს წარმოადგენს სანდოობის, გამჭირვალობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. მდგრად განვითარებაზე მომუშავე კომპანიებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი ხდება ფულადი, საინვესტიციო რესურსი და, რაც მთავარია, საინვესტიციო რესურსს იღებენ დაბალ პროცენტში.

მდგრადი ანგარიშგების გამჟღავნების პრინციპი

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპი ემყარება რამდენიმე კრიტერიუმს. ESG ინფორმაცია უნდა გამჟღავდეს თანმიმდევრული, თავსებადი და შედარებადი ფორმით. ESG საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს: სუბიექტის 1. ბიზნესმოდელის; 2. პოლიტიკისა და დიუ დილიჯენსის (Due Diligence); 3. შედეგების; 4. რისკებისა და მენეჯმენტის შესახებ ინფორმაციას; 5. შესრულების ძირითად ინდიკატორებს (KPI)[3].

შესრულების ძირითადი ინდიკატორები იყოფა სამ ნაწილად: **გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის.**

---

1 (SARAS, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, 2023)

2 (საქართველოს ეროვნული ბანკი, მდგრადი დაფინანსება საქართველოში, 2024)

3 *europa.eu*. (2024). Corporate Sustainability Reporting : https://finance.ec.europa.eu/capital-markets-union-and-financial-markets/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en

გარემოსდაცვითი შესრულების ძირითადი ინდიკატორი განსაზღვრავს, აქვს თუ არა სუბიექტს ქვემოთ მოცემული ნარჩენების მართვის პოლიტიკიდან რომელიმე დანერგილი: შემცირება, მეორეული გამოყენება, გადამუშავება, კომპოსტირება და ა.შ.

ახორციელებს თუ არა სუბიექტი გარემოსდაცვით აქტივობებს (მაგალითად, ელექტრომობილების გამოყენება, მზის პანელების ადგილობრივ ოფისებში ინსტალირება, ოფისების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და ა.შ.),

შესრულების ძირითადი ინდიკატორის **სოციალური** ნაწილი აფასებს მრავალფეროვნებას სამუშაო ადგილზე, კერძოდ:

- ქალების პროცენტული წილი თანამშრომლების მთლიან რაოდენობაში საანგარიშო წლის ბოლოს.
- ქალების პროცენტული წილი მაღალ მენეჯმენტში საანგარიშო წლის ბოლოს.
- ქალების პროცენტული წილი შუალედურ მენეჯმენტში საანგარიშო წლის ბოლოს.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროცენტული წილი მთლიან თანამშრომლებში საანგარიშო წლის ბოლოს.
- სამუშაო ძალის ასაკობრივი განაწილება საანგარიშო წლის ბოლოსთვის.

ტრენინგი და განათლება – იმ თანამშრომლების წილი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი საანგარიშო წლის განმავლობაში.

თანამშრომელთა დენადობის მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: წლიური დენადობის მაჩვენებელი = ((სამსახურიდან წასულ თანამშრომელთა რაოდენობა)/((წლის დასაწყისში თანამშრომელთა რაოდენობა + წლის ბოლოს თანამშრომელთა რაოდენობა)/2))*100%

დეკრეტული შვებულება: დასაქმებულთა საერთო რაოდენობა, რომლებმაც დეკრეტული შვებულება აიღეს საანგარიშო წლის განმავლობაში. დეკრეტული შვებულების საშუალო ხანგრძლივობა საანგარიშო წლის განმავლობაში.

მომხმარებელთა კონფიდენციალურობის საკითხები: შემოსული საჩივრების საერთო რაოდენობა, რაც მომხმარებელთა კონფიდენციალურობის დარღვევას ეხება საანგარიშო წლის განმავლობაში. მომხმარებელთა მონაცემების შესახებ ინფორმაციის გაჟონვის, მოპარვის ან დაკარგვის შემთხვევების საერთო რაოდენობა საანგარიშო წლის განმავლობაში.

მომხმარებელთა კმაყოფილება: აწარმოებს თუ არა სუბიექტი გამოკითხვას მომხმარებლის მომსახურებით კმაყოფილების შესახებ. კმაყოფილი მომხმარებლების პროცენტული წილი მთლიან გამოკითხულ მომხმარებლებში საანგარიშო წლის განმავლობაში.

ადამიანის უფლებები: დაწესებულების ინფრასტრუქტურის, დოკუმენტებისა და ვებგვერდების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – აღწერა, თუ როგორ არის ადაპტირებული დაწესებულების ინფრასტრუქტურა, დოკუმენტები და ვებგვერდები, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომლებისთვის და მომხმარებლებისთვის. ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით შეტანილი, განხილული ან გადაწყვეტილი საჩივრების რაოდენობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

სოციალური/მდგრადი ინვესტიციები: ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო – აქვს თუ არა სუბიექტს ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ტრენინგის ჩატარება, პირველადი დახმარების და

ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ტრენინგის ჩატარება, ჯანსაღი სამუშაო გარემოს კულტურის დამკვიდრება, ზეგანაკვეთური მუშაობის პრაქტიკა და სხვა.

მმართველობა ფასდება შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით: ანტიკონკურენციული ქმედებები, არასანდო და მონოპოლიური პრაქტიკის გამო გადახდილი ჯარიმები და საჩივრებსა და სასამართლო სარჩელებზე გაწეული ხარჯები საანგარიშო წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, გამჟღავნდეს ინფორმაცია იმის შესახებ, აქვს თუ არა ორგანიზაციას დაგეგმილი შემდეგი პოლიტიკა:

- ქრთამის აღების საწინააღმდეგო პოლიტიკა;
- ანტიკორუფციული და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა;
- ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკა;
- ეთიკის პოლიტიკა.

ასევე, უნდა გამჟღავნდეს ინფორმაცია იმის შესახებ,

- არსებობს თუ არა ორგანიზაციაში სპეციალურად განკუთვნილი ორგანო / თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკისა და მისი განხორციელების ზედამხედველობაზე.
- ამტკიცებს თუ არა საბჭო როგორც ESG სტრატეგიას, ისე ESG პოლიტიკას.
- არსებობს თუ არა პროცედურები, რომლებიც აწესრიგებს საკონსულტაციო შეხვედრებს დაინტერესებულ მხარეებსა და დირექტორთა საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს) შორის გარემოსდაცვით და სოციალურ თემებზე[1].

მმართველობის ანგარიშგების წარდგენის პრობლემები და გამოწვევები

მმართველობითი ანგარიშგების ანალიზის პროცესში განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა არაფინანსურ ანგარიშგებაზე. განხილულ ანგარიშგებების, ძირითად ნაწილში წარმოდგენილი არ არის ან არასრულყოფილია ინფორმაცია არაფინანსურ მაჩვენებლებზე. კერძოდ, არ არის ინფორმაცია დასაქმებულების შესახებ, კომპანიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკაზე სოციალურ და გარემოს დაცვის საკითხებზე. ანგარიშგება არ მოიცავს არაფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული განხორციელებული პოლიტიკების აღწერას (მაგ. ESG), ხოლო თუ სუბიექტს არ გააჩნია აღნიშნული პოლიტიკა, ნათლად და დასაბუთებულად არ განმარტავს ამის შესახებ.

სუბიექტის განვითარების გეგმებზე, შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს ანგარიშგებაში სუბიექტის განვითარების გეგმები არ არის წარმოდგენილი სრულყოფილად, ბუნდოვანია და არ ასახავს რეალურ სურათს. ამასთანავე, განვითარების გეგმებში არ არის წარმოდგენილი ის ფაქტორები, რომლებიც დააბრკოლებს უქმნის და სარისკოს ხდის სუბიექტის მიერ წარდგენილი სამომავლო გეგმების შესრულებას.

კვლევებისა და განვითარების საკითხებზე ან ძალიან მწირი ინფორმაციაა ასახული, ან საერთოდ არ არის კომენტარი წარმოდგენილი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე სრულყოფილი ანგარიშგება, როგორც სდპ-ს, ისე I და II კატეგორიის საწარმოების: თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, შპს თეგეტა მოტორსი, შპს ქართული ფოლადი, სს თიბისი ლიზინგი, სს ლისის ტბის დეველოპმენტი, სს ნიკორა.

აღნიშნულ ანგარიშგებებში ასახულია ESG საკითხები და ESG პოლიტიკა. გამოკვეთილია გეოპოლიტიკური რისკები, პანდემიასთან დაკავშირებული რისკები, წარმოდგე-

[1] (საქართველოს ეროვნული ბანკი, მდგრადი დაფინანსება საქართველოში, 2024)

ნილია აღმასრულებელი გუნდისა და დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია.

მდგრადი ანგარიშგების მომზადება და წარდგენა გლობალური გამოწვევაა. UN Global-ისა და IFC (International Finance Corporation) მიერ ორგანიზდა შეხვედრა, პანელური დისკუსიის ფორმატში მიმდინარე შეხვედრაზე განხილულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნები, გარემოსდაცვითი სერტიფიცირება, ასევე მდგრადი ანგარიშგების წარდგენის მნიშვნელობა და მმართველობითი გადაწყვეტილებები მდგრადი ანგარიშგების წარდგენის მიზნით. აღშნიშნულ შეხვედრაზე აქცენტი დაისვა როგორც მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე, ისე მდგრადი ანგარიშგების წარდგენის გამოწვევებზე.

გლობალური მასშტაბით იკვეთება შემდეგი გარემოებები: დაბალია ბიზნესსუბიექტების ინფორმირებულობა მდგრადი ანგარიშგების შინაარსთან დაკავშირებით, მათ არ იციან, კონკრეტულად რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, როგორ დანერგონ ორგანიზაციაში და შეაფასონ ESG პოლიტიკა. მეტიც, ბიზნესსუბიექტების ნაწილი ახორციელებს ESG პოლიტიკას, თუმცა არ იცის, რომ მდგრად განვითარებას უწყობს ხელს, შესაბამისად, არ ასახავს მდგრად ანგარიშგებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით მოწყვლადია განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის, საქართველო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩავატარე მცირე კვლევა, გავესაუბრე საქართველოში არსებული 12 ბიზნესსუბიექტის მენეჯმენტს, რომელთაც არაფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვთ ასახული სრულყოფილი ინფორმაცია ESG საკითხებთან დაკავშირებით. კვლევის პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, მენეჯმენტთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაციას არ აქვს აღწერილი ESG საკითხები არაფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა ისინი ახორციელებენ გარემოსდაცვით და სოციალურ ღონისძიებებს, კერძოდ:

- ატარებენ კვლევებს თანამშრომლების კმაყოფილებისა და ჩართულობის შესწავლის მიზნით, მომხმარებელთა კმაყოფილების შესწავლის მიზნით; პროდუქტის განვითარების მიზნით, თუმცა წარდგენილი არ აქვთ არც შედეგები და არც კვლევისა და განვითარების საკითხებზე მუშაობის შინაარსი;
- ზრუნავენ თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გაწერილი აქვთ თანამშრომლეთა ინდივიდუალური ზრდისა და განვითარების გეგმები;
- დასაქმებული ჰყავთ შშმ პირები;
- იცავენ გენდერულ თანასწორობას;
- მენეჯმენტში უმრავლესობა ჰყავთ ქალები;
- მიმართავენ ნულოვანი ემისიის ღონისძიებებს – იყენებენ ჰიბრიდულ ავტომობილებს, ელექტრომობილებს, ველოსიპედებს, სკუტერებს, ამით ხელს უწყობენ გარემოსდაცვით ღონისძიებებს;
- დამონტაჟებული აქვთ მზის პანელები, იყენებენ განახლებად ენერგიას;
- ორგანიზაციებმა გააციფრულეს პროცესები, შეამცირეს ქაღალდის მოხმარება;

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია არ არის ასახული მათ მიერ წარდგენილ ანგარიშგებაში.

ასევე, საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ნაწილი მენეჯერების აზრით, რადგან ერთხელ უკვე აისახა მდგრადობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ანგარიშგებაში, განმეორებით არ უნდა ასახონ, აქ იკვეთება ინფორმაციულობის ნაკლებობა. კერძოდ, კომპანიამ 2021 წელს დაამონტაჟა მზის პანელები, იყენებს განახლებად ენერგიას, შეიძინა ეკოლოგიურად პასუხისმგებელი სუბიექტის სახელი, ინფორმაცია ასახა 2021 წლის ანგა-

რიშგებაში, თუმცა 2022 წლის ანგარიშგებაში გარემოსდაცვით ანგარიშში აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ იკითხება. კომპანიას შეუძლია წარადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ კილოვატ/საათ ენერგიას ზოგავს წლიურად, მზის პანელების გამოყენებით. ამით შეძლებს მიიზიდოს გარემოსდაცვით საკითხებში გაცნობირებული მომხმარებლები, ინვესტორები, პარტნიორები, გააძლიეროს იმიჯი და პოზიცია ბაზარზე, თუმცა ინფორმაციის წარუდგენლობით კარგავს ამ შესაძლებლობას.

ამრიგად, რამდენიმე ბიზნესსუბიექტის მენეჯმენტის გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბიზნესსუბიექტების ერთმა ნაწილმა მართლა არ იცის, რომ ახორციელებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით პოლიტიკას და, შესაბამისად, არ ასახავს ინფორმაციას ანგარიშგებაში. მეორე ნაწილის აზრით, რადგან მდგრადი ანგარიშგების წარდგენა არ არის სავალდებულო, არ ხარჯავენ დროით და ადამიანურ რესურს ESG საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებაში და ESG პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მესამე ნაწილს მიაჩნია, რომ, რადგან ერთხელ წარადგინა არაფინანსურ ანგარიშგებაში ESG საკითხები, აღარ არის ვალდებული, ყოველი წლის ანგარიშგებაში წარადგინოს.

გარდა ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა და გამოწვევებისა, საქართველოში ფუნქციონირებადი ბიზნესსუბიექტებისთვის გამოწვევაა ESG ანგარიშგების სტანდარტებისა და ჩარჩოს არარსებობა, ასევე, მენეჯმენტის მხრიდან გარემოსა და მდგრადობისადმი ერთგულების ნაკლებობა, რაც გამოიხატება იმით, რომ მგდრადობისა და გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაცია არ ხდება ორგანიზაციულ სტრატეგიებში.

ამასთანავე, მდგრადობის გამჟღავნების თემებზე უძნელდებათ ანგარიშგების მომზადება და მდგრადობის გამჟღავნების თემების სრულყოფილად ჩამოყალიბება, რადგან კონცენტრირებულნი არიან იმ საკითხებზე, რომლებიც პირდაპი უკავშირდება ძირითად პოპულარულ პოლიტიკას, მაგალითდ, როგორიცაა განახლებადი ენერგია, და ავიწყდებათ სოციალური ასპექტები, როგორებიცაა შრომითი უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების დაცვის პოლიტიკა და რისკები.

დასკვნა და რეკომენდაციები

მიმაჩნია, რომ კომპანიების მიერ წარდგენილ მმართველობის ანგარიშგებაში აუცილებელია, ფიქსირდებოდეს მდგრადი განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები როგორც სოციალური, ისე მმართველობისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით. ამასთანავე, ციფრული ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ორგანიზაციაში. კომპანიის ხელმძღვანელ პირთა, მენეჯმენტის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები და ძირითადი მოვალეობები. საკრედიტო, სავალუტო რისკებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის მიდგომები.

ინვესტორების საერთო შეშფოთება მოიცავს ძალიან ბევრ ზოგად ინფორმაციას და კომპანიის სპეციფიკურ საკითხებს – კერძოდ, მათ, რაც მნიშვნელოვანია კომპანიის გრძელვადიანი პერსპექტივისთვის. მწირია ინფორმაცია გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებსა და იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ისინი კომპანიის ბიზნესმოდელზე; სტრატეგია, რესურსები, ურთიერთობები თუ რისკები.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოში აღმოიფხვრას ანგარიშგების წარდგენის ხარვეზები, რადგან ინვესტორებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია.

სრულყოფილი, გამჭვირვალე მმართველობის ანგარიშგების წარდგენა გააუმჯობესებს კომპანიების მდგრადობას და ფინანსურ მაჩვენებლებს, ფინანსური და არაფინანსური კუთხით. ხელს შეუწყობს კომპანიების განვითარებას, გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას, ნდობა გაეზრდებათ ინვესტორებს, აქციონერებს, მომხმარებლებს. ბიზნესის გამჭირვალე მმართველობა ხელს შეუწყობს გრძელვადიანი ინვესტიციების ზრდას. იაფი ფულადი რესურსის მოზიდვას და მდგრად განვითარებას.

გამჭირვალე მმართველობის ანგარიშგება შესაძლებლობას მისცემს ბიზნესს, გააკეთოს ბენჩმარკინგი დარგის, რეგიონის, ქვეყნის მასშტაბით, დასახოს განვითარების გეგმები.

ერთი შეხედვით, კორპორაციული მდგრადობის პრინციპების დანერგვა და შემდგომ ამის ანგარიშგებაში წარდგენა, კომპანიისთვის შესაძლოა დამატებითი მატერიალური დანახარჯი იყოს და მოკლევადიან პერსპექტივაში ფინანსური სარგებლის მიღება უფრო მიმზიდველად ჩანდეს, თუმცა ინოვაციური მიდგომებით შესაძლებელია ნაკლები დანახარჯით ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვება. ამასთანავე, კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ზრდასთან ერთად საზოგადოებაში იმატებს ცნობიერება და მხარდაჭერა მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპების მიმართ, კომპანიებისთვის კორპორაციული მდგრადობა მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს, რათა მომხმარებელს დაანახონ თავიანთი სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი.

საზოგადოებაში, განსაკუთრებით მომავალ თაობებში, იზრდება ESG ცნობიერება. შესაბამისად, მდგრადობა გადამწყვეტ როლს შეასრულებს შესყიდვის გადაწყვეტილებებში. ბიზნესები, რომლებიც გამოხატავენ თავიანთ ერთგულებას მდგრადობისადმი და წარადგენენ ამის შესახებ ანგარიშგებას, უფრო ძლიერ გამოხმაურებას გამოიწვევენ მომხმარებლებში. ეს არა მხოლოდ ხაზს გაუსვამს გარემოსდაცვითი ცნობიერების მზარდ მნიშვნელობას ბრენდის აღქმაში, არამედ წარმოადგენს ბიზნესის ნათელ შესაძლებლობას, შეუსაბამოს ბიზნესის ღირებულებები მდგრადობის საკითხებზე ინფორმირებულ მომხმარებლებს.

საქართველოში ფუნქციონირებადი ბიზნესსუბიექტებისთვის გამოწვევაა ESG ანგარიშგების სტანდარტებისა და ჩარჩოს არარსებობა, მნიშვნელოვანია შემუშავდეს მდგრადი ანგარიშგების ტაქსონომია იმავე პრინციპით, როგორითაც ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია“. მდგრადი ანგარიშგების ტაქსონომიის შექმნის მიზანი იქნება გარემოსდაცვითი, სოციალური და მდგრადი ეკონომიკური აქტივობების ერთგვაროვანი განმარტება. როგორიც არ უნდა იყოს ანგარიშგების ფორმატი, ის უნდა იყოს ყოვლისმომცველი, გამჭვირვალე და შეესაბამებოდეს მდგრადობის ანგარიშგების დადგენილ ჩარჩოებსა და სტანდარტებს, რათა უზრუნველყოს სიზუსტის დონე.

მდგრადი ანგარიშგების ტაქსონომია უნდა შემუშავდეს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებსა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, ეკონომიკის მახასიათებლები და ბიზნესის კომერციული საიდუმლოებების დაცვა. ყოველივე ეს ტაქსონომიის პრაქტიკულობას და როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე სანდოობას განაპირობებს. გარდა

ამისა, ბიზნესსუბიექტებს შესაძლებლობა ექნებათ, დაასტანდარტონ და მოაწესრიგონ მდგრადი ანგარიშგების წარსადგენად საჭირო სააღრიცხვო სისტემები.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ყველას - სახელმწიფოს, საზოგადოებას, ბიზნესსუბიექტებს - მეტი ძალისხმევა მართებს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების კიდევ მეტად ამაღლებისთვის, რათა მიღებული ცოდნა უფრო მეტი კომპანიისთვის გახდეს ბიძგი, ჩაერთოს გლობალურ ძალისხმევაში, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და ყოველივე ეს წარადგინოს მდგრად ანგარიშში. შედეგად, გაიზრდება ინვესტორთა, კრედიტორთა და ყველა დაინტერესებულ მხარეთა ნდობა. ეს კი განავითარებს კაპიტალის ბაზარს, გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სალომე, ა. (2023). მენეჯერული აღრიცხვის თანამედროვე მიდგომები და გამოწვევები. *ახალი ეკონომისტი,* 62.
2. *საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდო*. (2024). Retrieved from barta.ge: https://www.barta.ge/
3. *საქართველოს ეროვნული ბანკი*. (2024). Retrieved from გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგება და გამჟღავნება: https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure
4. *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*. (2024, 5 31). Retrieved from ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის: https://matsne.gov.ge/ka/-document/view/2496959?publication=0
5. Efrag. (2024). *Efrag.org*. Retrieved from https://www.efrag.org/lab8?AspxAutoDetectCookieSupport=1
6. *europa.eu*. (2024). Retrieved from Corporate Sustainability Reporting: https://finance.ec.europa.eu/-capital-markets-union-and-financial-markets/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en
7. IDFI. (2021). *idfi.ge*. Retrieved from მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები: https://idfi.ge/ge/sdg-report-2021-georgia-results
8. IFRS. (2023). *Ifrs.org*. Retrieved from IFRS Sustainability Standards Navigator: https://www.ifrs.org/-issued-standards/ifrs-sustainability-standards-navigator/
9. KPMG. (n.d.). *KPMG.com*. Retrieved from Investor-focused management commentary: https://kpmg.com/-xx/en/home/insights/2021/06/management-commentary-ed.html
10. *reportal.ge*. (2024). Retrieved from ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები და მიმოხილვის პრიორიტეტები – მეოთხე გამოცემა: https://reportal.ge/ka/-News/finansuri_angarishgebis_mimokhilvis_shedegad_gamovlenili_sheusabamobebi_da_mimokhilvis_prioritetebi_-_meotkhe_gamotsema
11. SARAS. (2018). *ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო*. თბილისი.
12. SARAS. (2023). *saras.gov.ge*. Retrieved from https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2625
13. *sustainability.ge*. (2020). Retrieved from მდგრადი განვითარების მიზნები: https://www.sustainability.ge/sdgs/
14. *workiva.com*. (2024). Retrieved from 5 Challenges of Sustainability Reporting: How Are Companies Preparing for ESRS Disclosures?: https://www.workiva.com/blog/5-challenges-sustainability-reporting-how-are-companies-preparing-esrs-disclosures

პოლიტიკური ფაქტორების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე

ირაკლი გაზდელიანი
თსუ დოქტორანტი

წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის კომპლექსურ შეფასებაზე. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო დაფუძნებულია PESTLE ანალიზის ინსტრუმენტზე, კერძოდ კი, მის ორ ძირითად კომპონენტზე – პოლიტიკურ (P) და ეკონომიკურ (E) ფაქტორებზე. ამ მიდგომის საშუალებით გაანალიზდა ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემო და გამოვლინდა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და მდგრად განვითარებაზე.

კვლევაში შესწავლილია პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება, რაც მოიცავს პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე და ეკონომიკური მდგომარეობის ზემოქმედებას პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ასევე გაანალიზებულია საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გავლენა ქვეყნის განვითარებაზე.

კვლევის შედეგები ეყრდნობა ორ ძირითად მოდელს: გრავიტაციულ და ლოგიკორეფლექსურ მოდელებს, სადაც გამოყენებულია ეგზოგენური ცვლადები ალბათური მნიშვნელობებით, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას გარე ფაქტორების გაურკვევლობა და მათი პოტენციური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ეს მიდგომა ხელს უწყობს უფრო რეალისტური სცენარების შემუშავებას და რისკების უკეთ შეფასებას.

საკვანძო სიტყვები: *საგარეო ვაჭრობა, ეკონომიკური მდგრადობა, PESTEL ანალიზი, ლოგიკორეფლექსური მოდელირება, ეკონომიკური პოლიტიკა.*

საქართველოს ეკონომიკური მდგრადობა წარმოადგენს კომპლექსურ საკითხს, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ ანალიზს. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, სადაც ეკონომიკური შოკები სწრაფად ვრცელდება და ქვეყნებს სჭირდებათ მზადყოფნა მრავალფეროვანი გამოწვევების დასაძლევად.

PESTLE ანალიზის ჩარჩოს გამოყენებით, კერძოდ კი მისი პოლიტიკური (P) და ეკონომიკური (E) კომპონენტებით, კვლევაში შეფასებულია ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემო და მისი გავლენა ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ის კომპლექსური ურთიერთკავშირები, რომლებიც არსებობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის. PESTLE ანალიზის ეს ორი კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ქვეყანა გარდამავალ ეტაპზეა და მისი ეკონომიკური განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ სტაბილურობასა და რეფორმებთან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას საქართველოს კონტექსტში, თუ როგორ ახდენს გავლენას პოლიტიკური გადაწყვეტილებები ეკონომიკურ ზრდაზე და, პირიქით, როგორ ზემოქმედებს ეკონომიკური მდგომარეობა პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

მეთოდოლოგიურად კვლევის შედეგები ეყრდნობა გრავიტაციულ და ლოგიკორეფლექსურ მოდელებს, რომლებშიც გამოყენებულია ეგზოგენური ცვლადები ალბათური

მნიშვნელობებით. გრავიტაციული მოდელი გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის. ლოგიკორეფლექსური მოდელი კი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ კომპლექსური ურთიერთკავშირები სხვადასხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორს შორის, რაც მნიშვნელოვანია გრძელვადიანი პროგნოზირებისთვის.

ამ მიდგომამ საშუალება მოგვცა შეფასებულიყო სხვადასხვა ფაქტორის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ მდგრადობაზე და გამოვლენილიყო პოტენციური რისკები და შესაძლებლობები. კვლევაში განხილულია ისეთი რისკები, როგორებიცაა გეოპოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონში, გლობალური ეკონომიკური შოკები, და შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა.

ეს ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც გლობალური ეკონომიკური გარემო სწრაფად იცვლება და ქვეყნებს სჭირდებათ მოქნილი და ეფექტური სტრატეგიები თავიანთი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, ეს ნიშნავს ბალანსის პოვნას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას შორის. კვლევის შედეგები მიზნად ისახავს წვლილის შეტანას საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში, რათა გაიზარდოს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობა და შემცირდეს მოწყვლადობა გარე შოკების მიმართ.

მეთოდოლოგია და კვლევა

ქვეყნის განვითარება და წარმატება მრავალ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა სიღრმისეული ანალიზი აუცილებელია ეფექტური სტრატეგიის შესამუშავებლად. ამ მიზნით, PESTEL მოდელი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, კომპლექსურად შევაფასოთ პოლიტიკური (P), ეკონომიკური (E), სოციალური (S), ტექნოლოგიური (T), გარემოსდაცვითი (E) და სამართლებრივი (L) ასპექტები.

PESTEL ანალიზის გამოყენება საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის შემთხვევაში, იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ის კრიტიკული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის განვითარების ტრაექტორიას. ეს ცოდნა მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესსექტორისთვის, ისე სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რადგან ხელს უწყობს ინფორმირებული და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას. შესაბამისად, საქართველოს PESTEL ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ინვესტორებისა და პოლიტიკოსებისთვის, ეხმარება მათ, უკეთ გაიგონ ქვეყნის გამოწვევები და შესაძლებლობები, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებასა და წარმატებას.

P – პოლიტიკური გარემო: საქართველოს პოლიტიკური გარემო კომპლექსური და დინამიკურია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, საქართველო ემხრობა ლიბერალურ სავაჭრო პრინციპებს და აქტიურად ცდილობს გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციას. ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებები აქვს გაფორმებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, რომელმაც მნიშვნე-

ლოვნად გააფართოვა საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობები. ამჟამად, საქართველოს 45 ქვეყანასთან აქვს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც მას რეგიონში ლიდერ პოზიციას ანიჭებს. თუმცა, ზოგიერთ სექტორში კვლავ არსებობს გარკვეული ბარიერები, რომელთა აღმოფხვრაზეც მუშაობა გრძელდება.

საგადასახადო გარემოს თვალსაზრისით, საქართველო რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყნად მიიჩნევა. დაბალი საშემოსავლო და მოგების გადასახადები, ასევე მარტივი და გამჭვირვალე საგადასახადო კოდექსი ქვეყანას მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. მიუხედავად ამისა, საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა კვლავ საჭიროებს დახვეწას, რაზეც მიუთითებენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები.

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს. ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსის მოპოვება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით.იმავდროულად, საქართველო ცდილობს, დააბალანსოს ურთიერთობები რეგიონულ და გლობალურ ძალებთან, რაც ხშირად რთულ დიპლომატიურ მანევრირებას მოითხოვს.

პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, საქართველო საშუალო დონეზეა. ქვეყანა აგრძელებს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და პროგრესს აღწევს სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევებიც.

რუსეთ-უკრაინის ომი უდიდესი გამოწვევაა მთელი რეგიონისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. ომის გამო საქართველომ დაკარგა უკრაინის და რუსეთის ბაზრები, თუმცა სანაცვლოდ მიიღო დიდი რაოდენობით ლტოლვილები და უცხოური კომპანიები. სამართლებრივად, ქვეყანამ საერთაშორისო სამართლის ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს. ამ სიტუაციას ერთვის ის ფაქტიც, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა ქმნის გარკვეულ სამართლებრივ გამოწვევებს. საქართველო ცდილობს დაიცვას საერთაშორისო სამართლის პრინციპები და თავისი ტერიტორიული მთლიანობა, რაც პრობლემურია რუსეთის მიმართ, ეს კიდევ უფრო ართულებს ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას.

გარდა რუსეთ-უკრაინის ომისა, დაძაბულობაა პალესტინასა და ისრაელს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი შორსაა საქართველოსგან, კონფლიქტს შესაძლოა გლობალური შედეგები მოჰყვეს. კონფლიქტი ზრდის ნავთობპროდუქტებზე ფასებს, რაც გავლენას ახდენს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. აღნიშნული სიტუაცია იძულებულს გვხდის გავითვალისწინოთ ეს რისკები ჩვენს პოლიტიკაში.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველო აგრძელებს რეფორმებს და ცდილობს გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გაზრდა და ინსტიტუციური განვითარება რჩება მთავარ პრიორიტეტად, რაც აუცილებელია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად.

E – ეკონომიკური გარემო: ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისთვის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP), რომელიც ასახავს ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის საერთო დონეს. GDP-ის გაანგარიშების ერთ-ერთი მეთოდია დანახარჯების მეთოდი, რომელიც გამოისახება ფორმულით: **GDP = C + I + G + NX**

გრაფიკი 1.



წყარო: geostat.ge

სადაც: C – მოხმარება (Consumption); I – ინვესტიციები (Investment); G – სახელმწიფო ხარჯები (Government Spending); NX – წმინდა ექსპორტი (Net Exports).

გრაფიკი 2.



	2019	2020	2021	2022	2023*
მოხმარება	34.3	37.7	42.4	41.2	42.5
ინვესტიციები	13.5	11.4	9.5	12.9	15.9
სახელმწიფო ხარჯები	6.5	7	7.5	7.4	7.9
წმინდა ექსპორტი	-4.6	-9.5	-7.8	-4.9	-5.4

წყარო: geostat.ge

მთლიანად, საქართველოს მშპ-ს მონაცემები ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2023*[1] წელს ქვეყნის მშპ-მ მუდმივ ფასებში 61.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 7.5%-ით მეტია. თუმცა, მშპ-ს კომპონენტების დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ წმინდა ექსპორტი (NX) უარყოფითია. ეს მდგომარეობა მიუთითებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის გამოწვევებზე და საჭიროებს უფრო სიღრმისეულ შესწავლას. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ეს დისბალანსი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, მიზანშეწონილია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენება, სადაც სამწუხაროდ გათვალისწინებული არაა პოლიტიკური რისკფაქტორები,

[1] 2023* - ის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2024 წლის 15 ნოემბერს

რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, უფრო ზუსტად შეგვეფასებინა არსებული მდგომარეობა და განგვესაზღვრა გაუმჯობესების პოტენციური გზები.

ლოგიკორეფლექსიის პრინციპის თანახმად, აზროვნებისა და ენობრივი აქტივობის პროცესში გადაწყვეტილების მიმღები პირი ცნობს და აქტიურად ცვლის შემეცნების საკუთარ საშუალებებს. ეს შეესაბამება მენეჯმენტის პროცესებისათვის დამახასიათებელ ტიპს, სადაც მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულება უკუკავშირით ხასიათდება. ეკონომიკური პროცესების მართვის ეს მექანიზმი შეესაბამება ნ. ვინერის სქემას, რომლის თანახმადაც ასევე ობიექტის მდგომარეობა უკუკავშირის გათვალისწინებით ფასდება.

კრიზისული სიტუაციების დროს, იქნება ეს გლობალური ჯანდაცვის გამოწვევები, პოლიტიკური არასტაბილურობა, საომარი მდგომარეობა თუ სხვა, ტრადიციული ეკონომიკური მოდელები ხშირად არაეფექტური ხდება. ამ დროს აუცილებელია ახალი, ადაპტირებადი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ეფუძნება უკუკავშირის პრინციპს და საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ რეალური მდგომარეობა იდეალურ მაჩვენებლებს. ასეთი მიდგომა მოითხოვს არსებული სიტუაციის ღრმა ანალიზს და ახალი, მოქნილი მოდელის შექმნას, რომელიც ითვალისწინებს სწრაფად ცვალებად გარემოებებს და გვთავაზობს საიმედო პროგნოზებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტი შეფასებისა და ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის გაურკვევლობის პერიოდში.

საგარეო ვაჭრობის შემთხვევაში, ეს ნიშნავს ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც ეფუძნება უახლეს სტატისტიკურ მონაცემებს და ითვალისწინებს კრიზისის სპეციფიკურ გავლენას ვაჭრობის დინამიკაზე. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს, უფრო ზუსტად შევაფასოთ არსებული მდგომარეობა და გავაკეთოთ უფრო რეალისტური პროგნოზები მომავლისთვის.

გრაფიკი 3.



წყარო: geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წლის იანვარ-მაისის წინასწარი მონაცემებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საგარეო ვაჭრობა 2.18%-ით შემცირდა და 8,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 1.



წყარო: geostat.ge

ნებისმიერი გრავიტაციული მოდელი ზოგადია. პრობლემურ უბანში მის გამოსაყენებლად საჭიროა მოდელის კონკრეტული სახის შემუშავება – მოდელში შემავალი კოეფიციენტების მნიშვნელობების განსაზღვრა.

ზოგადი სახის ნებისმიერი გრავიტაციული მოდელი შეიცავს ცვლადებს X_α $\alpha = \overrightarrow{1..n}$ და b_k $k = \overrightarrow{1..m}$ კოეფიციენტებს. X_α მნიშვნელობები ცნობილია ან გამოითვლება როგორიცაა: მშპ, მანძილი ქვეყნებს შორის, ელასტიკურობის კოეფიციენტი და ა. შ. b_k კოეფიციენტების მნიშვნელობები ცნობილი სტატისტიკური მეთოდებით გამოითვლება. კოეფიციენტების მნიშვნელობების დადგენა და შესაბამისად კონკრეტული გრავიტაციული მოდელის შემუშავება შრომატევადი პროცესია.

ზოგადად საგარეო ვაჭრობის ურთიერთობის აღმწერი კონკრეტული გრავიტაციული მოდელის შესამუშავებლად გამოყენებულ იქნა სიმულაციური მეთოდი, სადაც გაითვალისწინება: მშპ, ქვეყნებს შორის მანძილი, სავაჭრო პრეფენეციები და სხვა გათვალისწინებით მოდელში შემავალი კოეფიციენტების ოპტიმალური მნიშვნელობების დადგენა, საერთაშორისო და შიდა პოლიტიკური რისკფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: რუსეთ-უკრაინის ომი, პალესტინა-ისრაელის ომი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობის რისკი.

ამ რისკფაქტორების დაშვებით სიმულაციური მოდელის შესაქმნელად გამოვიყენოთ ლოგიკურ-რეფლექსური მოდელირება, რომელიც დაფუძნებულია ექსპერტულ მოსაზრებაზე და გამიზნულია საქართველოს ეკონომიკური მდგრადობის შესაფასებლად.

ლოგიკურ-რეფლექსური მოდელირების არსი შემდეგია:

მეტაენა mL, ქვედონე L, მათემატიკური ობიექტი Ob., მათემატიკური ამოცანა R, გარე გამხსნელი სტრუქტურები A, აღწერა (მოდელი) L (ob), mL (ob), L (R), L (A), სადაც L (Ob) არის ობიექტის აღწერილობა Ob ქვეენაზე L. ამ შემთხვევაში, ჩვენ გამოვყოფთ – მათემატიკური ობიექტის აღწერილობის ქვეყანა, LR არის მათემატიკური პრობლემის აღწერის ენა, LA არის პრობლემის გადაწყვეტის აღწერის ენა. შედეგად მივიღებთ: mL(L_{ob}),

$mL(L_R)$, $mL(L_a)$, $L_{ob}(Ob)$, $L_R(R)$, $L_A(A)$; რომელიც შემდგომ აღიწერება რეფლექსური სლოგიზმით.

ეკონომიკური მდგრადობის ციკლურობის ზოგადი გრაფიკი შემდეგია:



სურ. 1.
ეკონომიკური მდგრადობის
ციკლურობის ზოგადი გრაფიკი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოდელი უკუკავშირის გათვალისწინებით ექნება შემდეგი სახე:

$\mathbf{Q_{i,j}} =$ Lnb1 + Ln(X1) * b2 – ln(X3) * b3 + b4 * Ln(X2) + b5 * X4 + b6 * X5 + b7 * X6 + b8 * X7+ b9 * X8+X9

სადაც:

$\mathbf{Q_{i,j}}$ – i-ური ქვეყნიდან (საქართველოდან) j-ურ ქვეყანაში ექსპორტის ან j-ური ქვეყნიდან იმპორტის მოცულობა t დროის პერიოდში;

$\mathbf{X1_i}$ – i-ური ქვეყნის (საქართველოს) მშპ-ია t დროის პერიოდში;

$\mathbf{X2_j}$ – j-ური რესპონდენტი ქვეყნის მშპ t დროის პერიოდში;

$\mathbf{X3_{i,j}}$ – i-ური ქვეყნის (საქართველოს) j-ურ რესპონდენტ ქვეყანასთან მანძილია;

$\mathbf{X4_{i,j}}$ – i-ური ქვეყნის (საქართველოს) j-ურ რესპონდენტ ქვეყანასთას საერთო სახმელეთო საზღვრის არსებობა;

$\mathbf{X5_{i,j}}$ – i-ურ ქვეყანასა (საქართველოსა) და j-ურ რესპონდენტ ქვეყანასთან ზღვაზე გასასვლელი;

$\mathbf{X6_{i,j}}$ – i-ურ ქვეყანასა (საქართველოსა) და j-ურ რესპონდენტ ქვეყანას შორის სავაჭრო პრეფენეციები;

$\mathbf{X7_{i,j}}$ – i-ურ ქვეყანასა (საქართველოსა) და j-ურ რესპონდენტ ქვეყანას შორის ისტორიულ კულტურული ურთიერთობა;

$\mathbf{X8_{i,j}}$ – i-ურ ქვეყანასა (საქართველოსა) და j-ურ რესპონდენტ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობა;

$\mathbf{X9_i}$ – პოლიტიკური რისკფაქტორები (რუსეთ-უკრაინის ომი, პალესტინა-ისრაელის ომი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა)

ქვეყნებს შორის მანძილებად დედაქალაქებს შორის მანძილია აღებული.

X4, X5, X6 იღებს ორ მნიშვნელობას 1 – საზღვრის, პრეფენეციების არსებობა, 0 – წინააღმდეგ შემთხვევაში.

X7, X8, იღებს სამი მნიშვნელობა: 1 – კარგი; 0,5 – საშუალო; 0 – ცუდი.

X9 იღებს სამ მნიშვნელობას: 0 – კარგი; 0,5 – საშუალო; 1 – ცუდი:

$PX9_1$ – რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენის რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე = 0,5

$QX9_1$ – რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენის რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე = 0,5

$PX9_2$ – პალესტინა-ისრაელის ომის ზეგავლენის რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,8

$QX9_2$ – პალესტინა-ისრაელის ომის ზეგავლენის რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,2

$PX9_3$ – რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურად რთული, მაგრამ ეკონომიკურად აქტიური ურთიერთობების რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,6

$QX9_3$ – რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურად რთული, მაგრამ ეკონომიკურად აქტიური ურთიერთობების რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,4

გრაფიკი 4.



წყარო: trademap.org

$PX9_4$ – ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,7

$QX9_4$ – ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,3

B1, b2, b3, b4, b5, b6, b7, b8, b9 პროპორციულობის კოეფიციენტებია. მათი ოპტიმალური მნიშვნელობები სიმულაციის რეჟიმში განისაზღვრება.

სიმულაციის რეჟიმში b_j $j = 1..m$ კოეფიციენტების ოპტიმალური მნიშვნელობები იძებნება ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნით.

მოცემულია:

b_k, $k = \overrightarrow{1..m}$ კოეფიციენტების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები. $\min b_k = 0.0001$, $\max b_k$ სიმულაციის რეჟიმში განისაზღვრება ექსპერტულად. შეირჩევა b_k ისეთი მნიშვნელობები, როდესაც Q_{ij} – ის გაანგარიშებული მაქსიმალური მნიშვნელობა რამდენიმეჯერ მეტია Q_{ij} – ის ფაქტობრივ მნიშვნელობაზე;

X_i $i = \overrightarrow{1..n}$ ცვლადების მნიშვნელობები – $X_i \geq 0$

საჭიროა:

მოიძებნოს b_k, $k = \overrightarrow{1..m}$ კოეფიციენტების ისეთი მნიშვნელობები $\min b_k \leq b_k \leq \max b_k$, როდესაც $Q_{ij}^{\text{ფაქტ}} - Q_{ij}^{\text{გაანგ}} \leq \sigma$. σ გაანგარიშების ცდომილებაა და იგი <3%.

№	Xi	Q ij	t i	Qi / ti
1	2	3	4	5
1	0-1	16	7	2,29
2	0-2	22	13	1,69
3	0-3	13	8	1,63
4	1-5	0	19	0,00
5	2-4	0	0	0
6	3-4	11	19	0,58
7	3-6	5	3	1,67
8	4-6	7	11	0,64
9	5-6	6	8	0,75

გარდაქმნების შედეგად მივიღებთ განტის დიაგრამას/სურ.2/:



სურ. 2.
განტის დიაგრამა

ლოგიკორეფლექსურ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$Q = \int Q(t)\, dt \qquad (1)$$

თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკურ რისკფაქტორს, მაშინ ჩვენს საგარეო ვაჭრობის ეტალონს შემდეგი სახე ექნება /სურ. 3/.



სურ. 3.
ეკონომიკური მდგრადობის ეტალონის გრაგიკი

შედეგი. ლოგიკორეფლექსური მოდელის გამოყენებით გამოვლინდა, რომ პოლიტიკური რისკფაქტორების ჯამური ალბათობა 0.65-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ეს ციფრი მიუთითებს, რომ არსებობს საკმაოდ მაღალი ალბათობა იმისა, რომ პოლიტიკური ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე. ეს გულისხმობს, რომ საქართველოს ეკონომიკა მგრძნობიარეა როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკური ფაქტორების მიმართ.

შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა, რეგიონული კონფლიქტები (რუსეთ-უკრაინის ომი), და საერთაშორისო პოლიტიკური დაძაბულობა (პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი) პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ პერსპექტივებზე. ასევე, რუსეთთან არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები დამატებით გამოწვევას წარმოადგენს. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დივერსიფიკაციისა და მდგრადობის გაზრდის აუცილებლობას.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური რისკების მაღალი ალბათობის, ისე ეკონომიკის სტრუქტურული გამოწვევების გათვალისწინება. ეს მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მიმართული იქნება როგორც პოლიტიკური სტაბილურობის გაზრდაზე, ისე ეკონომიკის სექტორული დივერსიფიკაციის ხელშეწყობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Anderson, James E. "A Theoretical Foundation for the Gravity Equation." American Economic Review 69, no. 1 (1979): 106-116.
2. Aref'ev, Igor B. "Reflexive Control: Theoretical Foundations." St. Petersburg: SMTU Press, 2001.
3. Chapman, Alan. "PESTLE Analysis." BusinessBalls. Accessed July 19, 2024. https://www.businessballs.com/-strategy-innovation/pest-market-analysis-tool/
4. Pospelov, Dmitry A. "Situational Control: Theory and Practice." Moscow: Nauka, 1986.
5. Tinbergen, Jan. "Shaping the World Economy; Suggestions for an International Economic Policy." New York: Twentieth Century Fund, 1962.
6. Gantt, Henry L. "Work, Wages, and Profits." 2nd ed. New York: Engineering Magazine Co., 1913.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024, https://www.geostat.ge/ka
8. International Trade Centre (ITC). "Bilateral trade between Georgia and the World from 2019 to 2024" TradeMap, 2024, https://www.trademap.org/

განათლებისა და დასაქმების ბაზრის შესაბამისობის ანალიზი საქართველოში

გიგაური ანა
თსუ მაგისტრანტი

კვლევის მიზანია საქართველოში საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის თანხვედრის დადგენა, ყველაზე მნიშვნელოვანია დავინახოთ, თუ რამდენად კარგად აწვდის საქართველოს განათლების სისტემა სტუდენტებს შრომის ბაზრისთვის საჭირო უნარებსა და ცოდნას. ონლაინ კითხვარის გამოყენებით კვლევის დროს შეგროვებულია ბოლოდროინდელი კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დასაქმებული პირებისგან ემპირიული მონაცემები, სულ გამოკითხულია 306 რესპონდენტი.

ემპირიული მონაცემების დამუშავების დროს გამოყენებულია რეგრესიის მოდელი, ონლაინკითხვარის შედეგად შეგროვებულია ინფორმაცია მონაწილეთა საგანმანათლებლო ფონის, დასაქმების მიმდინარე სტატუსისა და მათი კმაყოფილების დონის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანად მოამზადა საგანმანათლებლო დაწესებულებამ რესპონდენტები ამჟამინდელი პროფესიებისთვის.

რეგრესიის მოდელში გაერთიანებულია ექვსი დამოუკიდებელი ცვლადი, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩათვალა მოდელმა კითხვარის დამუშავებისას. აღსანიშნავია, რომ, რესპონდენტთა აზრით, დამატებითი კურსების გავლა კარიერული განვითარებისთვის საჭიროა, გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აღქმა, რომ განათლების სისტემა ამზადებს სტუდენტებს შრომის ბაზრის კონკურენციისთვის.

ეს შედეგები გულისხმობს საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებას, გადახედონ სასწავლო პროგრამას, სთავაზობენ თუ არა სტუდენტებს მეტ პრაქტიკულ ტრენინგებს და სტაჟირების შესაძლებლობას, შეესაბამება თუ არა მათ მიერ მიწოდებული ცონდნა, რომ შემდგომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ თავიანთი ცოდნის რეალიზება შესაბამის სამსახურში.

საკვანძო სიტყვები: *განათლება, დასაქმების ბაზარი, საქართველო, რეგრესიის მოდელი.*

განათლებისა და დასაქმების ბაზრის შესაბამისობა ერთგვარი დილემაა, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაღალკვალიფიციური, შესაბამისი ცოდნისა და განათლების მქონე კურსდამთავრებულის მოძიება დამსაქმებლისთვის რთულია.

სხვადასხვა სახელმწიფოში, განსაკუთრებით ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის/განვითარების საკითხი სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს (გურგენაშვილი, 2021). ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას, გლობალური ტექნოლოგიური ტენდენციების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის განათლების მაღალი დონე მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე მოთხოვნის განვითარების წინაპირობას ქმნის, რაც, თავის მხრივ, ინოვაციური პროდუქტებისა და პროცესების შექმნას ასტიმულირებს. (მელაშვილი, 2021) მაღალკვალიფიციური კადრი, რომელმაც მიიღო შესაბამისი განათლება და შემდგომ სამსახურშიც პრაქტიკული თვალსაზრისითაც იღრმავებს ცოდნას ქმნის ღირებულ პროდუქს, რომელიც როგორც დამსაქმებელს, ისე სახელმწიფოს ეკონომიკას ზრდაში ეხმარება. კვლე-

ვის მიზანი სწორედაც ის არის, რომ დავადგინოთ საქართველოს შრომის ბაზრისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობა, რამდენად აწვდის განათლების სისტემა მოსწავლესა თუ სტუდენტს იმ ცოდნას რომელიც მას შემდგომ შესაბამისი სამსახურის დაწყებაში დაეხმარება.

იმის გამო, რომ განათლების სისტემა მუდმივად ვითარდება და მონაცემები მოძველებულია, საჭიროა ახალი კვლევები. სტატიის მიზანია, დაადგინოს შესაბამისობა განათლებისა და დასაქმების დონის შესახებ ამიტომ, სტატია ავსებს ლიტერატურაში არსებულ ნაკლოვანებებს ამ მიმართულებით.

კვლევის დროს ონლაინ კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 306 რესპონდენტი, რომელთა განათლების მიმართულება, დასაქმების სტატუსი და სფერო განსხვავებული იყო, მათ შეაფასეს საქართველოს განათლების სისტემისა და დასაქმების ბაზრის შესაბამისობა და უპასუხეს რამდენიმე კითხვას.

კვლევის ჰიპოთეზები

ჩვენ დავუშვით ჰიპოთეზები, რათა გვეჩვენებინა, შეესაბამება თუ არა განათლების სისტემა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნები ერთმანეთს საქართველოს მაგალითზე. კვლევის ირგვლივ არსებული ჰიპოთეზები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

Ha1: განათლების სისტემის ეფექტურობის პრედიქტორია უწყვეტი სწავლა და პროფესიული განვითარება;

Ha2: განათლების სისტემის ეფექტურობის შეფასება სქესის მიხედვით განსხვავდება;

Ha3: განათლების სისტემის ეფექტურობის შეფასება ასაკის მიხედვით განსხვავდება;

Ha4: განათლების სისტემის ეფექტურობის შეფასება სამუშაო გამოცდილების მიხედვით განსხვავდება;

გამოკითხვისა და კვლევის მონაცემები

სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა ყველა ის ადამიანი, რომლებსთაც ჰქონდათ რაიმე სახის განათლება მიღებული საბაზისო, საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი. მოხდა კითხვარის მოდიფიკაცია და აწყობა, რომელიც გავრცელდა Google forms-ის მეშვეობით. კითხვარის გასავრცელებლად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ჯგუფი სოციალური ქსელის პლატფორმაზე. კვლევა გრძელდებოდა 1 თვის განმავლობაში, 10 ივნისიდან 10 ივლისამდე პერიოდში, რომლის დროსაც გამოიკითხა სულ 306 რესპონდენტი. გამოპასუხების დონე არ იყო მაღალი, დაახლოებით 1,02% შეადგინა. ამის მიზეზია ის, რომ ონლაინ გამოკითხვებს, როგორც წესი, დაბალი გამოპასუხების მაჩვენებელი აქვს (malhotra, 2017).

კვლევის მიზნებისთვის რესპონდენტებმა უპასუხებს რამდენიმე კითხვას: შეესაბამება თუ არა საქართველოს განათლების სისტემა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს; მიღებული განათლება არის თუ არა პირდაპირ დაკავშირებული ამჟამინდელ სამსახურთან; მათი აზრით, საქართველოში არსებული განათლების სისტემა უწყობს თუ არა ხელს უწყვეტ სწავლასა და პროფესიულ განვითარებას;, დამსაქმებლები ატარებენ თუ არა ტრენინგებს, რათა დასაქმებულების კვალიფიკაციის დონე აამაღლონ; თვლიან თუ არა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები უნდა ითვალისწინებდნენ სტაჟირების შესაძლებ-

ლობებს, დასჭირვებიათ თუ არა დამატებითი კურსების გავლა კარიერული განვითარებისთვის; შრომის ანაზღაურება არის თუ არა შესაბამისობაში მიღებულ განათლებასთან. მონაცემები შეჯამებულია ქვემოთ, ცხრილში 1.

ცხრილი 1.

	საქართველო
შერჩევის ჩარჩო	30'000 ადამიანი
მეთოდი	ონლაინ (Facebook)
გამოპასუხების დონე	1.02%
პერიოდი	10 ივნისი-10 ივლისი, 2024
მნიშვნელოვნება, α	0.05

წყარო: ეს და მომდევნო ცხრილები და დიაგრამები ავტორის გამოთვლებს ეფუძნება.



კვლევის შედეგად გამოკითხულია 306 ადამიანი, რომელთა ასაკი 17-დან 73 წლამდეა. მათ შორის 64% (195 რესპონდენტი) არის ქალი, ხოლო 36% (111 რესპონდენტი) კაცია. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი რესპონდენტი 17-დან 27 წლამდე ასაკობრივი ჯგუფიდან გამოიკითხა. 17 დან 38 წლამდე რესპონდენტებში მამაკაცების ჩართულობა მეტია, ვიდრე ქალების.



რაც შეეხება რესპონდენტთა დასაქმების სტატუსისა და სქესის განაწილებას, აქ ყველაზე მეტი რესპონდენტი დასაქმებულია სრული განაკვეთით, მათ შორის, ყველაზე მეტი ქალია გამოკითხული. რაც შეეხება მამაკაცი რესპოდენტების უპირატესობას, ეს თვითდასაქმებულებში ჩანს.



რაც შეეხება რესპონდენტთა განაწილებას განათლების სფეროს მიხედვით, როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა უმეტესობის, 40%-ის, განათლების მიმართულებაა სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი, ხოლო ყველაზე ნაკლებ გამოკითხულს სოფლის მეურნეობის მიმართულებით აქვს მიღებული განათლება.



რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებისა და ასაკის განაწილებას, როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტ რესპონდენტს, 74 ადამიანს სამუშაო გამოცდილება აქვს მიღებული 6-დან 10 წლამდე, ხოლო რაც შეეხება ყველაზე ნაკლებს, 7 ადამიანს არასდროს უმუშავია, როგორც ვხედავთ, ეს ადამიანები 17-დან 27 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენენ.



ამ შემთხვევაში წარმოდგენილია რესპონდენტთა ასაკისა და მათი შეფასების განაწილება, თუ რამდენად ამზადებს საქართველოს განათლების სისტემა ადამიანებს დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

კვლევის მონაცემები გავაანალიზეთ ემპირული მონაცემების საფუძველზე ნულოვანი ჰიპოთეზის ტესტირება მოვახდინეთ მნიშვნელოვნების 5%-იანი დონისთვის. ცვლა-

დებს შორის ასოციაციური კავშირის დასადგენად გამოვიყენეთ რეგრესიის მოდელი. რეგრესიის საშედეგო განტოლებას აქვს სახე:

$$Y_i=2.66+0.2X_1-0.13X_2+0.44X_3+0.1X_4+0.13X_5+0.03X_6+\varepsilon$$

(Yi) – განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობა
i – ინდივიდუალური მონაცემი
ε – ცდომილება

ცხრილი 2.

R	0.694[a]
R2	0.481
კორექტ. R2	0.471
ცდომილება	1.225
დაკვირვება	306

ANOVA	**თავისუფლების ხარისხი**	**კვადრა-ტების ჯამი**	**საშუალოების ჯამი**	**F**
რეგრესიის	416.472	6	69.412	46.239
ცდომილების	448.848	299	1.501	
სულ	865.320	305		

N		კოეფიც.	სტ. ცდომ.	t სტატ.	P მნიშ.
	თანაკვეთა	2.656	0.468	5.677	0.000
1	სამუშაო გამოცდილება	0.204	0.065	3.148	0.002
2	დამატებითი უნარ-ჩვევები	-0.129	0.045	-2.866	0.004
3	უწყვეტი სწავლა	0.463	0.045	10.355	0.000
4	დამატებითი კურსების გავლა	-0.101	0.045	-2.241	0.026
5	სამუშაოს შესაბამისობა	0.134	0.042	3.181	0.002
6	ასაკი	-0.026	0.007	-3.662	0.000

რომ დავადგინოთ ჰიპოთეზის, განათლების სისტემის ეფექტურობის პრედიქტორი არის თუ არა უწყვეტი სწავლა და პროფესიული განვითარება, საჭიროა დავაკვირდეთ ზემოთ მოყვანილ ცხრილებს. როგორც ვხედავთ, ჩვეს რეგრესიის განტოლებაში ნამდვილად ფიგურირებს ის ცვლადი, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან გაცემულ უწყვეტი სწავლისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, ეს ცვლადი საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენს მოდელში, რადგან მისი მნიშვნელოვნება 0.026, ეს მაჩვენებელი 0.05-ზე ნაკლებია, ამიტომ შეგვიძლია ეს ცვლადი მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ, ამასთანავე, მისი კოეფიციენტია 0.463, რაც გვიჩვენებს იმას, რომ მის ცვლილებას რეგრესიის განტოლებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, როგორც ვხედავთ, ჰიპოთეზა Ha1 დადასტურდა.

ცხრილი 3.

სქესი	რესპონდენტთა რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა
მდედრობითი	195	3.34	1.662	0.119
მამრობითი	111	3.31	1.731	0.164

	F	Sig	t	df	Sig. (2-tailed)	Mean Difference	Std. Error Difference
Equal variances assumed	0.614	0.434	0.160	304	0.873	0.032	0.201
Equal variances not assumed			0.159	221.166	0.874	0.032	0.203

როგორც ზემოთ აღნიშნული ცხრილებიდან ჩანს, განსხვავება ქალებისა და მამაკაცების შეფასებას შორის განათლების სისტემის ეფექტიანობასთან დაკავშირებით ერთმანეთისგან უმნიშვნელოდ განსხვავდება, რესპონდენტები თვლიან, რომ განათლების სისტემა ვერ ამზადებს სტუდენტებს კონკურენციისთვის. ამაზე მეტყველებს მათი შეფასებები, რესპონდენტებმა 7-ქულიანი სისტემიდან კითხვაზე - საქართველოში არსებული განათლების სისტემა რამდენად ეფექტურად ამზადებს სტუდენტებს სამუშაო ბაზარზე არსებული კონკურენციისთვის - დაბალი საშუალო ქულა 3.34 და 3.31 მიანიჭეს. შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიპოთეზა Ha2 არ დადასტურდა, განათლების სისტემის ეფექტურობის შეფასება სქესის მიხედვით არ განსხვავდება.

ცხრილი 4.

	რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა
17-35	204	3.10	1.608	0.113
36-54	72	3.63	1.640	0.193
55-73	30	4.13	1.978	0.361
ჯამი	306	3.33	1.684	0.096

ANOVA

	თავისუფლების ხარისხი	კვადრატების ჯამი	საშუალოების ჯამი	F
რეგრესიის	36.140	2	18.070	6.603
ცდომილების	829.180	303	2.737	
სულ	865.320	305		

როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილებში ჩანს, რესპონდენტები განათლების სისტემის ეფექტურობას განსხვავებულად აფასებენ, კერძოდ, ახალგაზრდები, 17-35 წლის ადამია-

ნები განათლების სისტემის ეფექტურობას 3.10 ქულით აფასებენ, საშუალო ასაკის ადამიანები 36-54 შედარებით უფრო მაღალი ქულით - 3.36, ხოლო შედარებით ხნიერი ადამიანები - 4.13-ით, მაგრამ საშუალო შეფასება მაინც 3.33 ქულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტებისთვის განათლების სისტემა სტუდენტებს ვერ ამზადებს ეფექტურად დასაქმების ბაზრზე არსებული კონკურენციის დასაძლევად. ასაკებს შორის განსხვავების მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ შედარებით უფროსი ასაკის ადამიანებს განათლება მიღებული აქვთ საბჭოთა კავშირის პერიოდში, როდესაც კურსდამთავრებულებს სახელმწიფო თავად ასაქმებდა, რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათ უკვე თავად უწევთ, გაუძლონ დასაქმების ბაზარზე არსებულ კონკურენციას, შესაბამისად, მათ სჭირდებათ სრულყოფილი განათლების სისტემა, რათა დაიწყონ სათანადო სამსახური და იყვნენ კონკურენტუნარიანნი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიპოთეზა Ha3, განათლების სისტემის ეფექტურობის შეფასება ასაკის მიხედვით განსხვავდება, მართებულია.

ცხრილი 5.

	რაოდენობა	**საშუალო**	**სტანდარტული გადახრა**	**სტანდარტული შეცდომა**
0-5 წელი	151	2.99	1.536	0.125
6-11 წელი	54	2.94	1.607	0.219
11+ წელი	94	4.04	1.735	0.179
ჯამი	299	3.31	1.683	0.097

ANOVA

	თავისუფლების ხარისხი	**კვადრატების ჯამი**	**საშუალოების ჯამი**	**F**
რეგრესიის	73.437	2	2	14.103
ცდომილების	770.637	296	296	
სულ	844.074	298		

(I) სამუშაო გამოცდილება	**(J) სამუშაო გამოცდილება**	**საშუალოების განსხვავება (I-J)**	**სტანდარტული შეცდომა**	**მნიშვნელოვნება**
0-5 წელი	6-11 წელი	0.042	0.252	0.985
	11+ წელი	-1.056*	0.218	0.000
6-11 წელი	0-5 წელი	-.0042	0.252	0.985
	11+ წელი	-1.098*	0.283	0.000
11+ წელი	0-5 წელი	1.056*	0.218	0.000
	6-11 წელი	1.098*	0.283	0.000

როგორც ზემოთ აღნიშნული ცხრილებიდან ჩანს, განსხვავება სამუშაო გამოცდილებისა და განათლების სისტემის ეფექტიანობის შეფასების შესახებ ნამდვილად არსებობს,

როგორც ვხედავთ, ვისაც შედარებით დიდი სამუშაო გამოცდილება აქვს, განათლების სისტემის ეფექტიანობას მაღალ ქულას უწერენ - საშუალოდ, 4.04-ით აფასებენ, 6-11 წლამდე სტაჟის მქონე ადამიანები - 2,94-ით, ხოლო 0-5 წლამდე სტაჟის მქონე ადამიანები - 2.99-ით. ამ შედეგის მიზეზი შეიძლება ის ფაქტი იყოს, რომ ვისაც დიდი ხანია აქვს სამუშაო გამოცდილება მიღებული, ისინი სავარაუდოდ ისეთ სამსახურში მუშაობენ, რომ არ უწევთ სამსახურის შეცვლა, ამასთანავე, დამსაქმებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სწორედ სამუშაო გამოცდილებას, ამიტომ შესაძლებელია მათ დასაქმებას სწორედ სტაჟი უფრო მეტად განაპირობებდეს, ვიდრე მიღებული განათლება. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიპოთეზა Ha4, განათლების სისტემის ეფექტურობის შეფასება სამუშაო გამოცდილების მიხედვით განსხვავდება, მართებულია.

ცხრილი 6.

ცვლადებს შორის კავშირის ანალიზის შედეგები

ჰიპოთეზები	*ალტერნატიული*
H1	*მართებულია*
H2	*არ არის მართებული*
H3	*მართებულია*
H4	*მართებულია*

დასკვნები და რეკომენდაციები

სტატიის მიზანი იყო საქრათველოს განათლების სისტემასა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობის დადგენა, ამისთვის ონლაინკითხვარის მეშვეობით შეგროვებული ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ოთხი ძირითადი ჰიპოთეზის შემოწმების შედეგად ვნახეთ, რომ საქართველოში მცხოვრები ადამიანები განათლების სისტემის ეფექტიანობას უარყოფითად აფასებენ, ისინი თვლიან, რომ ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებსაც განათლების სისტემა აძლევთ მათ, არ არის საკმარისი დასაქმებისთვის.

კვლევის ჰიპოთეზამ აჩვენა, რომ განათლების სისტემის ეფექტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი უწყვეტი სწავლა და პროფესიული განვითარებაა, რაშიც ძირითად როლს განათლების სისტემა ასრულებს, მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულებებმა სტუდენტებს შესთავაზონ ის ძირითადი ინფორმაცია, ცოდნა, უნარ-ჩვევები, რომლებიც თანადროული და აქტუალურია, სასწავლო პროგრამები პერიოდულად უნდა გადაიხედოს და გაკონტროლდეს, არის თუ არა ის პრობლემები კვლავაც აქტუალური, რომლებსაც სახელმძღვანელოებში ასწავლიან, გათვალისწინებულია თუ არა თანამედროვე პრობლემები.

როგორც ვნახეთ, განათლების სისტემის ეფექტურობას გასხვავებული ასაკის ადამიანები სხვადასხვანაირად ფასებენ, ახალგაზრდა რესპონდენტები ეფექტიანობას უფრო დაბალ ქულას უწერენ, ვიდრე შედარებით ხანდაზმულები. ამის მიზეზია ის, რომ უფროსი ასაკის ადამიანებს უფრო ადრე გაქვთ განათლება მიღებული, მაშინ, როდესაც სახელ-

მწიფო კურსდამთავრებულებს შესაბამის სამსახურს თავად სთავაზობდა, ახლა კი ახალგაზრდებმა დამოუკიდებლად უნდა შეძლონ დასაქმების ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან გამკლავება, ისინი მეტად ხედავენ იმ პრობლემებს, რომლებსაც განათლების სისტემისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შეუსაბამობა იწვევს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადამიანები, რომლებსაც სამუშაო გამოცდილება აქვთ 11 წელი და მეტი, განათლების სისტემის ეფექტიანობას დადებითად აფასებენ, ხოლო შედარებით ნაკლები გამოცდილების მქონე რესპონდენტები-უარყოფითად. ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ დიდხნიანი სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანები ხშირად ერთ სამსახურში, ერთსა და იმავე პოზიციაზე მუშაობენ, მათ არ უწევთ სამსახურის ხშირი ცვლილება და შესაბამისად უშუალოდ არ აწყდებიან იმ პრობლემებს, რომლებსაც დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან ვხვდებით. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამსაქმებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამუშაო გამოცდილებას, ამიტომ შესაძებელია, იმ ადამიანების დასაქმებას, რომლებსაც დიდი სამუშაო გამოცდილება აქვთ, სწორედ დაგროვილი სამსახურეობრივი ცოდნა განაპირობებს და არა ის განათლება, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიიღეს.

როგორც ვხედავთ, განათლების სისტემასა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შეუსაბამობა რეალური და საყურადღებოა. ამ პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, საჭიროა უნივერსიტეტებსა და შრომის ბაზარს შორის ურთიერთობის გაღრმავება და ისეთი პლატფორმების დანერგვა, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნება თანამედროვე გამოწვევებისთვის შესაბამისი უნარების შესაძენად. უნივერსიტეტი არ უნდა იყოს მონოლითური ორგანიზაცია, არამედ უნდა იცვლებოდეს ზოგადი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე. ეს ყველაფერი საშუალებას მისცემს მას, შეინარჩუნოს და განავითაროს საზოგადოების დამოკიდებულება. უცვლელად სისტემამ შეიძლება გარკვეული დროით იარსებოს, მაგრამ, თანამედროვე განვითარების სწრაფი ტემპის გამო, შესაძლოა, უნივერსიტეტში, როგორც ინსტიტუციაში, ამას რევოლუცია მოჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საუნივერსიტეტო განათლება შეიძლება გახდეს დრომოჭმული სისტემა (კიკორია, 2023). ამასთანავე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბმისი ღონისძიებების გატარება, სტაჟირების პროგრამების სრულყოფა, როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლის 29 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ საქართველოს შრომის კოდექსში მოწესრიგდა სტაჟიორის სამართლებრივი სტატუსი და სტაჟირება, შესაბამისი ცნების გარეშე. მოქმედი რეგულირება ფორმალური დასაშვებობის დონეზე ვერ უზრუნველყოფს სტაჟირების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის ეფექტიან მართვას, შემდგომში სტაჟიორის სამართლებრივი სტატუსისა და უფლებების დაცვას. სტაჟირების ცნებისმიერი საკითხების საყოველთაო ხასიათის შემუშავების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შრომის ინსპექციის აქტიური ჩართულობა და შესაძლო დარღვევების დროული გამოვლენა, შესაბამისი სტატისტიკის წარმოება. (ლეონიძე, 2023) ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხირდან დასაქმების სააგენტოს სრულყოფილი ფუნქციონირება იმისათვის, რომ უფრო ხშირად ისარგებლოს სამსახურის მაძიებელმა დასაქმების სააგენტოს მომსახურებით, აუცილებელია უფრო ხშირად განახლდეს ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ, უნდა ჩატარდეს გამოკითხვები მომხმარებელთა საჭიროებების გამოსავლენად და შშმ პირების მხარდაჭერა და მათი ჩართვა სამუშაო ძალაში. დასაქმების სააგენტოების მომსახურების გასაუმჯობესებლად და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, მათი გამოყენების სიმარტივის უზრუნველყოფა და განახლებული ვაკანსიების შეთავაზება. (ჯაფარიძე, 2020)

გამოყენებული ლიტერატურა

1. კიკორია, სანიკიძე. (2023). უმაღლესი განათლებისა და დასაქმების ბაზრის კავშირი პოსტპან-დემიურ პერიოდში საქართველოსა და პოლონეთის მაგალითებზე. *მსოფლიო ეკონომიკა პოს-ტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები, შრომების კრებული.*
2. გურგენაშვილი, დ. კ. (2021). უმაღლესი განათლების ავტორიზაციის სტანდარტები საქართვე-ლოში – განათლების ხარისხის განვითარება?
3. ლეონიძე, ი. (2023). სტაჟირების სამართლებრივი ბუნება და საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის სრულყოფის საჭიროება.
4. მელაშვილი, მ. (2021). 420 მედეა მელაშვილი განათლების სისტემის განვითარების სტრატეგია საქართველოში (უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით). *სამეცნიერო შრომების კრე-ბული XIV*.
5. ჯაფარიძე, ა. (2020). დასაქმების სააგენტოების მომსახურებისადმი მომხმარებელთა.

საქართველოს საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები

ირაკლი ზოიძე
თსუ დოქტორანტი

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობა ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური ამოცანაა. ამიტომ აქტუალურია საქართველოს საინვესტიციო გარემოს არსებული მდგომარეობის ობიექტურად შეფასება და იმ გამოწვევების დაძლევა, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას. მოცემული სტატიის მიზანია, გამოიკვეთოს საინვესტიციო გარემოს შემადგენელი ის ფაქტორები საქართველოში, რომლებიც გავლენას ახდენენ კაპიტალის მოზიდვის დინამიკაზე და წარმოქმიან საინვესტიციო რისკებს, ამასთან, საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებისთვის შემუშავდეს ეფექტიანი გზები. სტატიაში საკითხის შესწავლისას განხილული და გაანალიზებულია ობიექტური ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც უკანასკნელ წლებში დაფიქსირდა. კვლევის პროცესში რაოდენობრივი, თვისობრივი და ლოგიკური განზოგადების საფუძველზე გაანალიზებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც მოძიებულია სხვადასხვა ოფიციალური წყაროდან, პუბლიკაციებიდან და სამეცნიერო სტატიებიდან.

მრავალფაქტორული ანალიზის მიხედვით დგინდება, რომ საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე უარყოფითი გავლენა აქვს სხვადასხვა დეტერმინანტის (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი, გლობალური) ერთობლიობას, რომელიც მიმდინარე გლობალური ტენდენციების დინამიკურობის ფონზე მუდმივად ცვალებადია. არსებული სიტუაციიდან გამოსავალი სახელმწიფო ინსტიტუტების პროაქტიური მუშაობაა არასაჯარო სექტორსა და საზოგადოებასთან, რათა მოხდეს მდგრადი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ბიზნესსაქმიანობის გააქტიურებას და, მეორე მხრივ, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიცია, საინვესტიციო გარემო, საინვესტიციო საქმიანობის გამოწვევები, ეკონომიკური განვითარება.*

გაეროს სტატისტიკის მიხედვით, 2023 წელს გლობალურმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (FDI) 2%-იანი კლება განიცადა, რისი მიზეზიც განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში ინვესტიციების 9 %-ით შემცირება იყო (United Nations Conference on Trade and Development, 2024). ტენდენციას არც საქართველო ჩამორჩა, აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის FDI 24%-ით შემცირდა, 2024 წლის პირველ კვარტალში კი კლება 64 %-ზე მაღალი იყო (საქსტატი, 2024). არსებული უარყოფითი ტენდენცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე, ამიტომ აუცილებელია, ხაზი გაესვას საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის მნიშვნელობას და საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის ამაღლებისთვის საჭირო მოქმედებების განსაზღვრას.

საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ნაწილია (ქოქიური, 2022). იმისთვის, რომ ცხოვრების დონე ამაღლდეს, უმუშევრობა შემცირდეს, კაპიტალი და ტექნოლოგიები შემოვდეს ქვეყანაში, აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებაზე (ბარათაშვილი & მაგრაქველიძე, 2009).

საინვესტიციო გარემო – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული პირობების ერთობლიობაა, რომელიც მაქსიმალურად ხელსაყრელია საინვესტიციო პროცესებისთვის, სადაც იგულისხმება ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის ჩადებისათვის მიმზიდველი პირობების შექმნა (ბებიაშვილი & ქოქიაური, 2009).

მოცემული სტატია მოიცავს სიახლეებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს. იგი შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს, გაეცნონ საქართველოში საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორების კომპლექსურ კვლევას, გამოთქმული რეკომენდაციები კი შესაძლოა გახდეს ახალი და ეფექტიანი გზა არსებული გამოწვევების გადაჭრისთვის.

საქართველოში სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება აუცილებელი და აქტუალური საკითხია. არსებობს უამრავი მოსაზრება და სახელმწიფო უწყებებიც ცდილობენ, სხვადასხვა პროგრამისა და რეფორმის გატარებით ხელი შეუწყონ გამოწვევების დაძლევას, თუმცა, მნიშვნელოვანია უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმა, რათა საინვესტიციო გარემო სწრაფად გაუმჯობესდეს და ეკონომიკური განვითარების პროცესი დაჩქარდეს. პირველ ყოვლისა, უნდა გამოვლინდეს საინვესტიციო გარემოზე მოქმედი გამოწვევების დაძლევისთვის აუცილებელი საჭიროებები და მოიძებნოს მოგვარების გზები. საინვესტიციო გარემოს სტაბილურობის მიღწევისთვის შესაძლებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: ეკონომიკური პარამეტრების მდგრადობის შენარჩუნება, პრივატიზაციის ზრდა, გადაწყვეტილებების დროში ეფექტიანობის მიღწევა, ბიუროკრატიული პროცესების დაჩქარება, საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ზრდა და კომუნიკაციის ამაღლება, პოლიტიკური დაძაბულობების მინიმუმამდე შემცირება და გაურკვევლობების არიდება, საგარეო ბაზრების დივერსიფიკაცია და შოკების მიმართ მოწყვლადობის შემცირება.

საქართველოს საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 24 %-ით შემცირდა და 1,6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2024 წლის პირველ კვარტალში 64 %-იანი კლება დაფიქსირდა. (იხ. დიაგრამა 1.) კლების ეს მაჩვენებელი კორონომიკური კრიზისის (პაპავა & ჭარაია, 2020) შემდეგ პირველად დაფიქსირდა, რაც მნიშვნელოვანი სიგნალია, 2023 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 10 %-იანი და 2024 წლის პირველი კვარტლის 7,8 %-იანი ზრდის (საქსტატი, 2024) ფონზე. აღნიშნული უარყოფითი ტენდენია გავლენას ახდენს სახელმწიფოს კეთილდღეობაზე, რადგანაც ინვესტიციების შემცირება აისახება კაპიტალის შემოდინებაზე, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე, ტექნოლოგიების განვითარებაზე, დასაქმებაზე, საგასახდელო ბალანსის გაუმჯობესებაზე, ლარის კურსის სტაბილურობაზე და ა.შ.

დიაგრამა 1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი წლების განმავლობაში მუდმივად მერყეობს და არ არის მზარდი. ამასთან, გასათვალისწინებელია ინვესტიციების სტრუქტურაც, კერძოდ, რომელი კომპონენტების ხარჯზე ხდება უცხოური კაპიტალის დაბანდება საქართველოს ეკონომიკაში. ამისათვის, შესაძლებელია გავეცნოთ ოფიციალურ სტატისტიკას, რომელიც FDI-ს ყოფს შემადგენელ კომპონენტებად (იხ დიაგრამა 2.), სადაც ნათლად ჩანს უკანასკნელი წლების ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, პუი-ში მნიშნელოვან ადგილს იკავებს რეინვესტიცია (2021 წელს 62%, 2022 წელს 66%, 2023 წელს 80%.[1] (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024)

დიაგრამა 2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
საქართველოში კომპონენტების მიხედვით
(ათასი აშშ დოლარი)



[1] **რეინვესტიცია** - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის. (წყარო: საქსტატი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024.

რეინვესტიცია კარგია, რადგან ეს შეიძლება აღვიქვათ, როგორც კომპანიების მიერ მიღებული მოგების დაბანდება საქართველოს ეკონომიკაში. თუმცა, თუ ამ კომპონენტის განმარტებას გავითვალისწინებთ, რომლის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება ითვლება რეინვესტიციად, შესაბამისად, ეს თანხა პირდაპირ ეკონომიკაში არ მიემართება და შესაძლოა მომავალში დივიდენდების სახით გაიცეს დამფუძნებლებზე. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ სააქციო კაპიტალზე, რომელიც რეალურად ეკონომიკაში ჩადებულ ახალ კაპიტალს ასახავს და მისი მაჩვენებელი, ბოლოდროინდელი ზრდის მიუხედავად, არ არის შთამბეჭდავი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა დაისვას კითხვები: რატომ უნდა შემოიტანოს უცხოელმა ინვესტორმა ახალი კაპიტალი საქართველოში? რა ხდის ქვეყნის ეკონომიკას ინვესტორთათვის მიმზიდველს ან სარისკოს? და რა პირობებს ითვალისწინებენ ისინი ქვეყნის ეკონომიკაში ფინანსების დასაბანდებლად?

პასუხები უნდა ვეძიოთ საინვესტიციო გარემოს შეფასებაში, რომელზეც უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამასთან, საერთაშორისო ინვესტორები, როგორც წესი, ითვალისწინებენ საერთაშორისო სუვერენულ რეიტინგებს (Fitch, S&P, Moody's და სხვა), რომლებიც აფასებენ ქვეყნების ეკონომიკურ მდგრადობას, საკრედიტო შესაძლებლობებს და საინვესტიციო მიმზიდველობას.

Fitch-ის უკანასკნელი შეფასებით, საქართველოს რეიტინგი განისაზღვრა BB სტაბილური დონით, რაც მიუთითებს ეკონომიკის მოწყვლადობას და სპეკულაციურ რისკებს, რომელიც შესაძლოა ეკონომიკური პირობების გაუარესებაში აისახოს, თუმცა, ამავე დროს, არსებობს ფინანსური მოქნილობა ვალდებულებების გასტუმრების მიმართ (Fitch Ratings, 2024). აღნიშნული რეიტინგი ითვალისიწნებს ეკონომიკურ პარამეტრებს (მთლიანი შიდა პროდუქტი, მშპ-ს ზრდა, ინფლაცია, ბიუჯეტის დეფიციტი, წმნინდა საგარეო ვალი, მიმდინარე ანგარიშების ბალანსი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები), ბიზნესგარემოს და კონკურენტუნარიანობას, ფისკალურ მოქნილობას, საბანკო სისტემის სიძლიერეს, საგარეო მოწყვლადობას, პოლიტიკურ სიტუაციას, მაკროეკონომიკურ პერსპექტივებს, პოლიტიკის თანმიმდევრულობას, სანდოობას და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მიხედვით საქართველოს რეიტინგზე ნეგატიურ გავლენას ახდენს საგარეო შოკების მიმართ მოწყვლადობა, პოლიტიკური განუსაზღვრელობა, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა, პოლიტიკის არათანმიმდევრულობა, ინფლაცია, უმუშევრობის დონე, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული მიგრანტების ზრდის ფონზე, საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა და სხვა.

სუვერენული რეიტინგების გარდა, არსებობს უამრავლი ფაქტორი, რომლებიც გაითვალისწინება საინვესტიციო გარემოს შეფასების დროს, მათი გათვალისწინება აუცილებელია სინვესტიციო აქტივობის განხორციელებეის დროს. საერთო მახასიათებლების და გავლენის მიხედვით, შესაძლოა ეს ფაქტორები გავაერთიანოთ ხუთ დიდ ჯგუფში (იხ. დიაგრამა 3.) და განვიხილოთ ისინი.

დიაგრამა 3.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები



ეკონომიკური ფაქტორები მოიცავს ქვეყანაში საინვესტიციო დაბანდებების შესახებ მისაღებ უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის პერსპექტივას: ეკონომიკის ზომა, ზრდის ტემპები, უმუშევრობის დონე, ვალუტის მდგრადობა, ინფლაცია, საგადასახდელო ბალანსი, ფინანსების ხელმისაწვდომობა, საგადასახადო განაკვეთები, სატრანსპორტო ლოჯისტიკა, თავისუფალ ბაზარზე წვდომა და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო უკანასკნელ წლებში მაღალ ეკონომიკურ ზრდას აფიქსირებს, შედეგად, 2023 წელს საქარველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა მოსახლეობის ერთ სულზე 8 ათას აშშ დოლარს გადააჭარბა, თუმცა ამ მაჩვენებლითაც კი 2-ჯერ ჩამოვრჩებით ევოკავშირის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ეკონომიკებს, შესაბამისად დაბალია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. (World Bank Group, 2024)

საქართველო მაღალ შედეგებს აჩვენებს ბიზნესისა და ეკონომიკის თავისუფებლების, გადასახადების და ბაზრის ლიბერალიზაციის, ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობის კუთხით, რასაც საერთაშორისო რეიტინგებიც ცხადყოფს. ამავე დროს, მნიშვნელოვანი პროგრესი და წარმატებაა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, ჩინეთსა და რეგიონის მეზობელ ქვეყნაბთან, რაც საგარეო ვაჭრობის ზრდას, გლობალურ ბაზრებზე წვდომას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უწყობს ხელს. ევროკვშირის კანდიდატის სტატუსის მიღება კი დამატებით შესაძლებლობებს აჩენს ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის კუთხით. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად ქვეყნისთვის გამოწვევად რჩება ვალუტის მერყეობა და ფასების არასტაბილურობა, რომელიც ქმნის განუსაზღვრელობას საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

დიაგრამა 4.

წლიური ინფლაცია საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024.

ინფლაციის გათვალისწინება ყველა საინვესტიციო საქმიანობის თანმდევი პროცესია, რათა თავიდან იქნას აცილებული პროდუქციასა და ნედლეულზე ფასების ზრდა და შესაბამისად დაუგეგმავი ფინანსური დანაკარგები. ამავე დროს, ინფლაცია ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობით უნარს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, სამომხმარებლო საქონლის უდიდესი ნაწილი სხვა ქვეყნებიდან შემოდის, შესაბამისად, ინფლაციაზე გლობალური ფასების ცვლილებაც მოქმედებს, რაც კარგად გამოჩნდა პანდემიის პერიოდში შექმნილი კრიზისის დროს. ვალუტის კურსის ცვალებადობა გავლენას ახდენს საქონლისა და ნედლეულის ღირებულებაზე და დამატებითი წნეხია ინფლაციაზე, ამასთან, საქართველოში მაღალია დოლარიზაციის მაჩვენებელი, რაც კურსის მატების დროს აძვირებს ზრდის ვალდებულებების მოცულობას როგორც მოსახლეობისა და ბიზნესისთვის, ისე სახლმწიფო საგარეო ვალდებულებების მოცულობის კუთხითაც.

დიაგრამა 5.

ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2024.

ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა ართულებს მოსალოდნელი შემოსავლების და ხარჯების წინასწარ განჭვრეტას, ამიტომ მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტისა და ინფლაციის სტაბილურობის მიღწევა, რაც გაუადვილებს პოტენციურ ინვესტორს დაგეგმვის პროცესს და უფრო მიმზიდველს გახდის საინვესტიციო გარემოს.

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში ფინანსების ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს დაფინანსებისთვის საჭირო ფულადი რესურსების მოძიების სიმარტივეს და სიიაფეს. ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი აპრილში ეროვნულ ვალუტაში 14,6%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში 8,8%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი 7%-ს არ აღემატება. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2024)

იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში კაპიტალის ბაზარი არ არის კარგად განვითარებული, (ცნობისათვის 2023 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე აქაციებით შედგა 39, ხოლო ობლიგაციებით 113 გარიგება (სს საქართველოს საფონდო ბირჟა, 2024)), რთულია იაფ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, შესაბამისად, მაღალია საბანკო დაკრედიტებაზე მოთხოვნა, რომელიც გაცილებით ძვირია, რაც იწვევს ინვესტორები-

სათვის პოტენციური ხარჯების ზრდას და დაბანდებულ რესურსებზე მაღალი ამონაგების მოთხოვნას.

საქართველოს საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ეკონომიკურ ფაქტორებად ასევე შეიძლება მივიჩნიოთ: *საგადასახდელო ბალანსი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, საგარეო ვალდებულებების ზრდა, უმუშევრობის დონე, დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, პრივატიზაციის მაჩვენებელი, სატრანსპორტო ლოჯისტიკის განვითარება* და *სხვა.*

როგორც წესი, საერთაშორისო ინვესტორები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ **პოლიტიკური ფაქტორების** გათვალისწინებას, რადგანაც არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა აზიანებს ბიზნესს და ქმნის არახელსაყრელ გარემოს ფინანსების დაბანდებისთვის. პოლიტიკურ ფაქტორებში მოიაზრება: პოლიტიკური განუსაზღვრელობა, დაძაბულობები, არამდგრადობა, კონფლიქტები, გაურკვეველი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, პოლიტიკური კურსის მოულოდნელი ცვლილება და სხვა. ამიტომაც არის, რომ განვითარებულ და პოლიტიკურად სტაბილურ სახელმწიფოებში უფრო მეტი ინვესტიცია მიედინება, ვიდრე განვითარებადში. ამასთან, Fitch-ის რეიტინგში საქართველოს პოზიციის ერთ-ერთი მდგენელი ფაქტორი, რომელიც ნეგატიურად ფასდება, არის პოლიტიკური განუსაზღვრელობა, ვნებათაღელვა განსაკუთრებით საარჩევნო წლებში, ლოკალური პოლიტიკური დაძაბულობები და რუსეთის როლი.

სამართლებრივი ფაქტორები უკავშირდება ქვეყანაში არსებულ რეგულაციებს, წესებს და კანონებს. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული სახელმწიფო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ევროკავშირის სტანდარტებთან მორგების და დაახლოების პროცესში, რაც ბიზნესის მხრიდან ხშირად სათანადო მზაობით არ გამოიხატება. ამის მაგალითია ენერგეტიკული ბირჟის რეფორმა, რომელიც არაერთხელ გადაიდო ბაზრის მოუმზადებლობის გამო. გარდა ამისა, ჩნდება დამატებითი რგულაციების შემოღება ან მოსაკრებლების ზრდა, რომელიც წინასწარ არ არის გაცხადებული (მაგალითად, აზარტული თამაშების შესახებ კანონი). ამასთან, ქვეყანაში არის რამდენიმე დარგი, სადაც არ არის კონკურენცია და სახელმწიფოს მარეგულირებლების მიერ ხორციელდება კონტროლი, რაც ამ დარგში შესვლის ბარიერია. მაგალითად: ენერგეტკის, კომუნიკაციისა და წყალმომარაგების სექტორები. სამართლებრივ გამოწვევებს ვაწყდებით ბიუროკრატიის ნაწილშიც, ხშირად გადაწყვეტილებები ყოვნდება, სასამართლო პროცესების ჭიანურდება, არბიტრაჟის ინსტიტუტი არაეფექტიანია და სხვა.

სოციალურ ფაქტორებზე გავლენას ახდენს ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ფასეულობები, სოციალური მღელვარება ეკოლოგიური, გეოგრაფიული ან მიგრაციით გამოწვეული. სოციალური დაძაბულობა საინვესტიციო პროცესების შეფერხებას, გადადებას ან საერთოდ შეწყვეტას იწვევს. ამის მაგალითია საქართველოში რამდენიმე ჰესის მშენებლობა, რომლებიც შეჩერდა მოსახლეობის პროტესტისა და დაძაბულობის ფონზე და მათი ბედი დღემდე გაურკვეველია. მსგავსი პრობლემები აღმოფხვრა შესაძლებელია მოსახლეობასთან სწორი კომუნიკაციის დამყარებით და ინფორმაციის გაცვლით.

გლობალიზაციის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ფონზე გარკვეული საერთაშორისო მოვლენები გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების ეკონომიკურ და საინვესტიციო პროცესებზე. **გლობალური ფაქტორები,** მათ შორის, მსოფლიოში განვითარებული ეკონომიკური რეცესიები, კონფლიქტები, ნედლეულზე ფასების ზრდა, მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები აისახება საქართველოზეც და მსგავსი ფაქტორების მიმართ მოწყვლადს ხდის. იქნება ეს კოვიდპანდემია, ნავთობ-

ზე, მარცვლეულსა და ბუნებრივ აირზე ფასების ზრდა, რუსეთ-უკრაინის და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომები, აშშ-ის და ევროკავშირის არჩევნები და სხვა პროცესები მყისიერად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, ინფლაციაზე, ვალუტის კურსსა და შესაბამისად საინვესტიციო ნაკადებზეც, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ეკონომიკა სააგარეო სექტორიდან მომავალ შემოსავლებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ვაჭრობის, ფულადი ნაკადების, ტურისტული შემოსავლების და სხვა დონაციების მხრივ. ამიტომ საქარველოს საინვესტიციო გარემოს შეფასებაში მნიშნელოვან როლს ასრულებს საგარეო შოკების მიმართ მოწყვლადობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინირებული მუშაობა, რათა საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები სტაბილური და განჭვრეტადი იყოს, რაც კონკურენტუნარიანს გახდის მას და ინვესტორს გაუადვილებს საქართველოში კაპიტალის დაბანდების გადაწყვეტილების მიღებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

სახელმწიფოს საინვესტიციო გარემოს ქმნის ფაქტორების ერთობლიობა, რაც საბოლოოდ აისახება ქვეყნის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის შეფასებაზე. რაც უფრო მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო გარემო აქვს ქვეყანას, მით უფრო მეტად ხდება მასში ინვესტიციების ჩადება და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს შეფასებაში ხუთი ძირითადი პარამეტრი შეგვიძლია გამოვყოთ: *ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური* და *გლობალური.* ეკონომიკური ფაქტორები უშუალოდ ეკონომიკურ და ფინანსურ ინდიკატორებს წარმოადგენენ, რომლებიც რაოდენობრივად გაზომვადია და წარმოდგენას ქმნის სახელწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამ მხრივ, საქართველოს გამოწვევას წარმოადგენს ინფლაცია, ვალუტის მერყეობა, დოლარიზაციის მაჩვენებელი, ვალდებულებების ზრდა, იაფ ფინანსებზე ხელმისაწვოდმობა. პოლიტიკური ფაქტორები გავლენას ახდენს სისტემის მიმართ ნდობის შენარჩუნებაზე, სოციალური დაძაბულობები კი მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენენ ბიზნესის ოპერირების პერსპექტივაზე ლოკალურ გარემოში. ერთადერთი ფაქტორი, რომელზეც სახელმწიფო გავლენას ვერ ახდენს, გლობალური მოვლენებია, თუმცა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციით შესაძლებელია მოწყვლადობის შემცირება.

საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევისთვის აუცილებელია სახელმწიფოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და პოლიტიკური ხელისუფლების, ასევე, ცალკეული საჯარო ინსტიტუტის გამართული მუშაობა და კოორდინაცია. ამასთან, შესაძლებელია გარკვეული აქტიური ნაბიჯების გადადგმა სხვადასხვა მიმართულებით, რათა შემცირდეს უარყოფითი ფაქტორების გავლენა. ეს ნაბიჯები შესაძლოა დავყოთ შემდეგ მიმართულებებად:

- არსებული უპირატესობების გამოყენება (მრეწველობის წახალისების პროგრამები, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლები);
- მონეტარული და ფისკალური კოორდინაცია (ინფლაციის და ვალუტის მდგრადობა);
- პრივატიზაციის ხელშეწყობა, ტექნოლოგიების დანერგვა, ეროვნული ვალუტის გაძლიერება, ეკონომიკის სექტორების წახალისება, დოლარიზაციის შემცირება, კაპიტალის ბაზრის გაძლიერება ახალი კომპანიების დაშვების ხელშეწყობით;

- დროში ეფექტიანობა (საინვესტიციო პროექტების განხორციელების შეფერხების აღმოფხვრა, ბიუროკრატიის შემცირება, აღსრულების პროცესების დაჩქარება);
- გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობა და განჭვრეტადობა (სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური რეფორმები);
- პოლიტიკური სტაბილურობა (დაძაბულობების შემცირება);
- საგარეო-ეკონომიკური დივერსიფიკაცია (საგარეო მოწყვლადობის კლება);
- განათლების ხელშეწყობა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და მიგრაციის კლება;
- მოსახლეობასთან კომუნიკაციის და საინფორმაციო კამპანიის გაძლიერება;
- ახალი შესაძლებლობების ძიება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი, ე., & მაგრაქველიძე, დ. (2009). *საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
2. ბებიაშვილი, ნ., & ქოქიაური, ლ. (2009). *საინვესტიციო პროექტები: თეორია, ანალიზი, მართვა.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. პაპავა, ვ., & ჭარაია, ვ. (2020). *კორონომიკული კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა.* საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
4. ქოქიაური, ლ. (2022). *ინვესტიციის ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა.* თბილისი: საგამომცემლო ფირმა „სიახლე“.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2024). Retrieved from https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2024*. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/-pirdapiri-utskhouri-investitsiebi
7. საქსტატი. (2024). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. Retrieved from https://www.geostat.ge/ka
8. სს საქართველოს საფონდო ბირჟა. (2024). *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023*. Retrieved from https://www.gse.ge/reports
9. Fitch Ratings, L. (2024). *Rating Action Report: Georgia.* New-York, USA.
10. United Nations Conference on Trade and Development. (2024). *World Investment Report 2024.* Retrieved from https://unctad.org/publication/world-investment-report-2024
11. World Bank Group. (2024). *Global Economic Prospects, Flagship report.* Washington, DC, USA.

მონეტარული პოლიტიკა და ბიზნესციკლები

გიორგი კოხრეიძე
თსუ დოქტორანტი

ეკონომიკა კომპლექსური სისტემაა, რომელიც უამრავი ელემენტისგან შედგება. ცხადია, ეკონომიკაც საჭიროებს რეგულირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სისტემის შიგნით გარკვეული პროცესები ფერხდება. ყველაზე ხშირად ეს ე.წ. ბიზნესციკლების პერიოდებში ხდება. მონეტარული პოლიტიკა ამ პროცესებში დიდ როლს ასრულებს. როგორც მონეტას ორი მხარე აქვს, ისე მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია წარმოქმნას ეკონომიკური რყევები ან დაარეგულიროს ისინი. მოცემული ნაშრომი იკვლევს მონეტარული პოლიტიკისა და ბიზნესციკლების ურთიერთკავშირს. ნაშრომში გამოყენებულია ეკონომეტრიკული აპარატი, კერძოდ, სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი (SVAR), რომელიც საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ კითხვას: როგორ მოქმედებს მონეტარული პოლიტიკა ბიზნესციკლებზე? ნაშრომში ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა – მონეტარული პოლიტიკის ეფექტი რეალურ ეკონომიკაზე დაახლოებით 3 წლის განმავლობაში მოქმედებს – და შესაბამის ემპირიულ ანალიზზე დაყრდნობით ვმსჯელოთ ამ ჰიპოთეზის მართებულობაზე.

საკვანძო სიტყვები: *მონეტარული პოლიტიკა, ბიზნესციკლები, SVAR მოდელი, მონეტარული ნეიტრალიტეტი*

სამრეწველო რევოლუციის შემდეგ მრავალი ქვეყნის ეკონომიკა უდიდესი მასშტაბებით გაიზარდა. ამ ზრდამ გამოიწვია ეკონომიკის ტრანსფორმაცია და ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ზრდასთან მიგვიყვანა. თუმცა, ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა, მაგალითად აშშ, ევროკავშირის მოწინავე ქვეყნები და სხვა, ეკონომიკის ზრდა პერიოდულად წყდება, დგება წარმოების მოცულობისა და შემოსავლების შემცირების, უმუშევრობის ზრდის პერიოდები.

ეკონომიკა კომპლექსური სისტემაა, რომელიც უამრავი ელემენტისა და მათ შორის არსებული კავშირებისგან შედგება. ეკონომიკა შეგვიძლია შევადაროთ ადამიანის ორგანიზმს, რომელშიც ფუნქციონირებს მრავალი ორგანო და ყოველ წამს უამრავი პროცესი მიმდინარეობს. ხანდახან ორგანიზმი დაავადებებს განიცდის და საჭიროა ვუმკურნალოთ წამლებით. ეკონომიკა, ორგანიზმის მსგავსად, შესაძლოა განიცდიდეს „დაავადებებს“, ანუ ე.წ. რყევებს და საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ღონისძიებების გატარება. წამლის როლში აქ ძირითადად ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები მოიაზრება.

ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია მონეტარული, ანუ ფულად-საკრედიტო, პოლიტიკა, რომელშიც იგულისხმება ქვეყნის ცენტრალური ბანკის (შესაძლოა, ეს სხვა ორგანოც იყოს) მიერ განხორციელებული ქმედებების, ღონისძიებების და სტრატეგიების ერთობლიობა ეკონომიკაში ფულის მარაგის მოთხოვნა-მიწოდების მართვის მიზნით, ისეთი კონკრეტული მაკროეკონომიკური მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა ინფლაციის თარგეტირება, დასაქმების სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ბიზნესციკლების არსი და მისი კავშირი მონეტარულ პოლიტიკასთან

ბიზნესციკლები ესაა ეკონომიკური კონიუნქტურის პერიოდული რყევები, რომლებიც წარმოიქმნება საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურაში ჩაშენებული ბუნებრივი პროცესების გამო. ეკონომიკური კონიუნქტურა ხასიათდება იმ მაკროეკონომიკური პარამეტრების ერთობლიობით, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკის ზოგად სიტუაციას. ესენია: ინფლაციის ტემპი, საპროცენტო განაკვეთი, უმუშევრობის დონე და, რაც მთავარია, მთლიანი სამამულო პროდუქტი და მისი კომპონენტები: მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო ხარჯები, ექსპორტი და იმპორტი. ემპირიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ყველა მათგანი ასე თუ ისე განიცდის პერიოდულ რყევებს. (Stronging, 1988)

ციკლი შედგება რამდენიმე პერიოდისგან, რომელიც მრავალ დარგში პრაქტიკულად ერთდროულად ვლინდება. ერთ-ერთი მათგანის, ექსპანსიის პერიოდის, უმაღლეს წერტილს პიკი ეწოდება. ამ პერიოდს მოსდევს საერთო რეცესიის პერიოდი. თუ რეცესია განსაკუთრებით ძლიერია, საქმე გვაქვს დეპრესიასთან. შემცირების უდაბლესი წერტილის – ფსკერის მიღწევის შემდეგ, იწყება გამოცოცხლების, ანუ შემდგომი ექსპანსიის ფაზაში გადასვლა. თანმიმდევრობა მეორდება, თუმცა სხვადასხვა პერიოდულობით. ხანგრძლივობა იცვლება 1-დან 10-12 წლიან პერიოდამდე.

არსებობს უამრავი ვარაუდი იმისა, თუ რის გამო წარმოიქმნება ბიზნესციკლები. როგორც წესი, მეტწილად ის გამოწვეულია ე.წ. „ფინანსური ბუშტების“ წარმოშობით. „ფინანსური ბუშტის“ სრულიად გაბერვა ხშირად უკავშირდება მარტივ დაკრედიტებას. ამიტომ ფინანსური ბუშტების წარმოშობის პასუხისმგებლობის წილი ცენტრალურ ბანკებს ეკისრება. გარდა ამისა, ბუშტის გაჩენის ბიძგად ხშირად გარკვეული ნოვაცია, ეკონომიკაში ახალი პერსპექტიული შესაძლებლობები გვევლინება. ამას მოჰყვება ისიც, რომ ნოვაციას მოსდევს ეკონომიკაში ზედმეტი ფულის ბრუნვა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ოპტიმისტურ მოლოდინებს ინვესტორთა მხრიდან. ბაზარზე ჩნდება ბევრი ინვესტორი და ეს იწვევს ფასების გაბერვას. თანდათანობით იწყება გამოფხიზლება და პირველი გაყიდვებიც, რასაც მოჰყვება ფასების ვარდნა, პანიკა და ბუშტის გასკდომა. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად რელევანტურია კეინზის არგუმენტი ბიზნესციკლების წარმოქმნის შესახებ. რყევების უმთავრეს წყაროდ კეინზი ასახელებდა ინვესტორთა ხასიათის ცვლილებებს, ე.წ. „ინვესტორების ცხოველურ ინსტინქტს“. თუ ინვესტორები ცუდად არიან განწყობილნი, ინვესტიციების მოცულობა მცირდება, ეკონომიკის წრებრუნვაში ნაკლები ფული ტრიალებს, მცირდება წარმოება, იწყება რეცესია. საწინააღმდეგო შემთხვევაში ინვესტიციების მოცულობა იზრდება, წარმოიქმნება ბუშტი, რეალური სამამულო პროდუქტი აღემატება პოტენციურ დონეს, წარმოიქმნება ინფლაციური გარღვევა. (Stronging, 1988)

რამდენიმე თეორია პირდაპირ განიხილავს მონეტარულ პოლიტიკას, როგორც რყევების წარმოქმნის უმთავრეს მიზეზს.

ერთ-ერთი ასეთია **ჰოუტრისა და ფიშერის მონეტარული თეორია ბიზნესციკლების შესახებ.** მათი აზრით, რყევები გამოწვეულია ფულის მოთხოვნა-მიწოდების სფეროში გაჩენილი დისბალანსით. ჰოუტრი განიხილავდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას და კრედიტების მოცულობას, როგორც საინვესტიციო პროცესების მართვის, ეკონომიკური ციკლების სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევის ძირითად ინსტრუმენტს. ფიშერმა ეკონომიკური კრიზისები დაიყვანა კონიუნქტურის რყევებამდე,

რომელიც, მისი შეხედულებით, შეიძლება აღმოიფხვრას ეკონომიკაში ფულის მოცულობის რეგულირების გზით.

მეორე გახლავთ **ფრიდმანის მონეტარული თეორია.** ის მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ციკლების მთავარი მიზეზი ფულადი ნაკადების ცვლილებაა. როდესაც ფულადი ნაკადი იზრდება, იზრდება ასევე წარმოებაც, ვაჭრობა აქტიურდება, იზრდება ეკონომიკური აქტივობა. საპირისპირო შემთხვევაში, წარმოება ეცემა, ვაჭრობაც სუსტდება, ეკონომიკური აქტივობა ვარდება.

საინტერესოა ასევე **პოლ სამუელსონის** მოსაზრება. ის თეორიებს ყოფს 2 ნაწილად: ექსტერნალურ და ინტერნალურ თეორიებად. **ექსტერნალური თეორია** მოიაზრებს, რომ ეკონომიკური ციკლის გამომწვევია ეკონომიკური სისტემის მიღმა არსებული ფაქტორები, როგორებიცაა რევოლუციები, ომები, პოლიტიკური გადატრიალებები და ა.შ. **ინტერნალური თეორია** კი, გულისხმობს, რომ ციკლები წარმოიქმნება ეკონომიკური სისტემის შიგნით არსებული ფაქტორების ზემოქმედების გამო. დიდწილად აქ მოიაზრება სახელმწიფოს ანტიციკლური რეგულირება, რომლებიც დაიყვანება 2 ძირითად მიმდინარეობამდე: **ნეოკეინზიანური და ნეოკონსერვატიული.**

ნეოკეინზიანელები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ ძირითადი ძალისხმევა უნდა მიმართოს ერთობლივი მოთხოვნის რეგულირებისკენ. ბერკეტებად ისინი მოიაზრებენ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს. **ნეოკონსერვანტები** კი მიიჩნევენ, რომ რეგულირების ძირითადი საშუალებაა მონეტარული პოლიტიკა.

მონეტარული პოლიტიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთობლივი მოთხოვნის სტაბილიზაციისთვის. კერძოდ, მონეტარული ექსპანსია ასტიმულირებს ერთობლივ მოთხოვნას, როდესაც იგი სუსტია, ხოლო მონეტარული რესტრიქცია ზღუდავს მას, როდესაც ის გადაჭარბებულია.

თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მონეტარული პოლიტიკა არ არის სრულყოფილი ინსტრუმენტი ბიზნესციკლების სტაბილიზაციისთვის. ამას განაპირობებს რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაღობა. ესენია: **დროითი ლაგი, რწმენის ნაკლებობა, ტრანსმისიის მექანიზმები და კომპრომისები. ლაგი** გულისხმობს დაყოვნებას პოლიტიკის გატარებასა და ეკონომიკაზე მისი გავლენის ასახვას შორის. მაგალითად, ფულის მიწოდების ზრდამ შეიძლება შედეგი გამოიღოს არა მყისიერად, არამედ რამდენიმე პერიოდის შემდეგ. თუ მონეტარული ექსპანსია გამოიყენეს რეცესიის დროს და მისმა ეფექტმა დააგვიანა, ბუმის პერიოდში გადასული ეკონომიკა მაღალი ინფლაციური რისკების წინაშე დგება. **რწმენის ნაკლებობა** გულისხმობს, რომ პოლიტიკის ეფექტებისა და ეკონომიკის მომავალი მდგომარეობის პროგნოზირება საკმაოდ რთულია. **ტრანსმისიის მექანიზმები** მოიცავს იმ არხებს, რომელთა გავლით პოლიტიკა გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, როგორიცაა მოხმარება, ინვესტიციები, წმინდა ექსპორტი და მოლოდინები. **კომპრომისი** კი ეხება კონფლიქტებს, რომელიც ამ პოლიტიკის გამოყენების დროს წარმოიქმნება, მაგალითად ინფლაციასა და გამოშვებას შორის არჩევანი, არჩევანი მოკლე- და გრძელვადიან მიზნებს შორის. (ჩიქობავა&კაკულია, 2015)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მონეტარულ პოლიტიკას უკავშირდება, ე.წ. მონეტარული ნეიტრალიტეტია.

მონეტარული ნეიტრალიტეტი ასევე ცნობილი, როგორც ფულის ნეიტრალიტეტი, გულისხმობს, რომ მონეტარული პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში გავლენას ვერ ახდენს ისეთ რეალურ ეკონომიკურ ცვლადებზე, როგორებიცაა გამოშვება, დასაქმება და ა.შ. სხვა სიტყვებით, ვგულისხმობთ, რომ გრძელვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკა გავლენას ვერ ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და, შესაბამისად, ბიზნესციკლებზე.

ამ მოსაზრების საპასუხოდ, ბევრი მეცნიერის აზრით, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეზა: მონეტარული პოლიტიკა ბინზესციკლების დროს ძირითადად კონტრციკლურია და მისი ეფექტი დაახლოებით 3 წლის განმავლობაში ნარჩუნდება ეკონომიკაში. (Querre et al, 2010)

ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად გადავწყვიტეთ ემპირიული ანალიზის ჩატარება. შევარჩიეთ სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი (SVAR), რომელიც 1980 წელს სიმსის მიერ არის შემუშავებული. (ანანიაშვილი, 2018)

ამ მოდელების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა ცვლადების ენდოგენურობა და უნარი, ასახოს მიზეზშედგობრივი ურთიერთობები ცვლადებს შორის. SVAR მოდელში ცვლადებზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებით შესაძლებელია განვასხვაოთ მიზეზშედეგობრივი კავშირები, რაც უფრო დასაბუთებული ანალიზის საშუალებას იძლევა.

კიდევ ერთი მისი დადებითი ასპექტია მოქნილობა დინამიკური ურთიერთქმედებების აღქმაში. მოდელის საშუალებით შესაძლებელია მოკლე და გრძელვადიან დინამიკაზე დაკვირვება. ეს საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ შოკების გადაცემის მექანიზმები და გავიგოთ ეკონომიკური რყევების მდგრადობისა და გავრცელების თავისებურებები.

თუმცა SVAR მოდელებს აქვთ გარკვეული შეზღუდვებიც. ერთ-ერთი გამოწვეულია სტრუქტურული შოკების იდენტიფიცირების სირთულით. ეს მოდელი, როგორც წესი, იდენტიფიცირებულია ცვლადებს შორის ერთდროული ურთიერთობების შეზღუდვით, მაგრამ შეზღუდვების არჩევანი შეიძლება იყოს სუბიექტური, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს შედეგებზე. იდენტიფიკაციის სხვადასხვა სტრატეგიამ შესაძლებელია გამოიწვიოს მიზეზობრივი ურთიერთობების განსხვავებული ინტერპრეტაცია.

ამის მიუხედავად, ეს მოდელი დიდი პოპულარობით სარგებლობს მაკროეკონომიკური პროცესების მოდელირების დროს, კერძოდ კი, ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის დროს.

რაც შეეხება მოდელის აგებას, ის გულისხმობს კომპლექსურ პროცედურას. პირველ ეტაპზე აუცილებელია ცვლადების სტაციონალურობის შემოწმება. აღსანიშნავია, რომ ცვლადებს შორის ერთი მაინც უნდა იყოს პირველი რიგის ინტეგრირებადი პროცესი, რათა შეგვეძლოს პერმანენტული ეფექტის ასახვა.

მეორე ეტაპზე შეირჩევა ოპტიმალური ლაგი, ისევე, როგორც ეს ხდება VAR მოდელის შემთხვევაში. ასევე, მოწმდება კორელაცია არჩეულ ლაგზე.

შემდგომ ეტაპზე აუცილებელია შეზღუდვების დადება. ჩვენს შემთხვევაში ეს იქნება გრძელვადიანი შეზღუდვების დადება, რაც გულისხმობს იმას, რომ მონეტარულ პოლიტიკას არ აქვს გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (ბიზნესციკლებზე) გრძელვადიან პერიოდში. (King & Watson, 2007)

ბოლოს, განიხილება იმპულსზე გამოხმაურების ფუნქციის გრაფიკები და მათ საფუძველზე ვაანალიზებთ მოდელის შედეგებს. იმპულსზე გამოხმაურების ფუნქცია გვიჩვენებს თითოეული ცვლადის დინამიკურ პასუხს სხვა ცვლადში მომხდარ ერთჯერად შოკზე. ამ შემთხვევაში კი შეგვიძლია მივიღოთ აკუმულირებული ფუნქცია, რომელიც გვიჩვენებს ცვლადის (ჩვენს შემთხვევაში მთლიანი სამამულო პროდუქტის, როგორც ბიზნესციკლების მთავარი მაჩვენებლის) დინამიკურ პასუხს სხვა ცვლადში (მონეტარულ პოლიტიკაში) მომხდარ გრძელვადიან შოკზე. (ანანიაშვილი, 2018)

მოდელის ზოგადი მატრიცული ჩანაწერია:

$$\boldsymbol{B}\boldsymbol{y}_t = \boldsymbol{\gamma}_0 + \boldsymbol{\Gamma}_i \boldsymbol{y}_{t-i} + \boldsymbol{\varepsilon}_t, \; i = \overline{1, k},$$

სადაც: y_t მოდელში შემავალი ცვლადების ვექტორია, B, Γ – კოეფიციენტების მატრიცებია, ხოლო ε – სტრუქტურული შეცდომების ვექტორი. ჩვენს სისტემაში შედის 2 ცვლადი: მთლიანი სამამულო პროდუქტი და მონეტარული პოლიტიკა, რომლის როლში განვიხილავთ ფულად მასას. შეგვიძლია გამოვიყვანოთ გრძელვადიანი შეზღუდვის მატრიცა, რომელსაც შემდეგი სახე ექნება:

$$F = \begin{bmatrix} \Phi_1 & \Phi_3 \\ \Phi_2 & \Phi_4 \end{bmatrix}$$

სადაც $\Phi_i, \ i = \overline{1,4}$ არის შეზღუდვების მატრიცის კოეფიციენტი. რადგან ჩვენ გრძელვადიან პერიოდში მონეტარულ ნეიტრალიტეტს განვიხილავთ, ამ შეზღდუვების მატრიცაში $\Phi_3 = 0$.

ემპირიული ანალიზის შედეგები

SVAR მოდელის აგებისთვის აღებულია საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის და ფულის მასის (M2 აგრეგატი) დროითი მწკრივების 2003-2022 წლების კვარტალური მონაცემები. დაკვირვებათა რაოდენობა 80-ის ტოლია. მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდებიდან.

მოდელის აგების პირველ ეტაპზე შემოწმდა მწკრივების სტაციონალურობა:

ცხრილი 1.

ერთეულოვანი ფესვის შემოწმება ADF ტესტით

Series	Prob.	Lag	Max Lag	Obs
Y	0.5746	8	11	71
M	0.2747	0	11	79

აგებულია ავტორის მიერ. მონაცემების წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ვხედავთ, გვაქვს, სულ მცირე. 1 არასტაციონალური პროცესი. ახლა შევამოწმოთ კოინტეგრაციის არსებობა.

ცხრილი 2.

კოინტეგრაციის შემოწმება

Dependent	tau-statistic	Prob.*	z-statistic	Prob.*
Y	-2.588909	0.2525	-19.49212	0.0448
M	-2.550037	0.2682	-17.51990	0.0712

*MacKinnon (1996) p-values.

აგებულია ავტორის მიერ. მონაცემების წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ვხედავთ, 10%-იან დონეზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოინტეგრაცია არსებობს. მნიშვნელოვანია აგრეთვე გრენჯერის მიზეზშედეგობრიობის შემოწმება.

ცხრილი 3.

გრენჯერის მიზეზშედეგობრიობის შემოწმება

Null Hypothesis:	Obs	F-Statistic	Prob.
M does not Granger Cause Y	77	6.77850	0.0004
Y does not Granger Cause M		2.74273	0.0496

აგებულია ავტორის მიერ. მონაცემების წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

ვხედავთ, რომ ფულადი მასა წარმოადგენს მთლიანი სამამულო პროდუქტის მიზეზს გრენჯერის მიხედვით 5%-იან დონეზე. ანალოგიურად, მთლიანი სამამულო პროდუქტი წარმოადგენს ფულადი მასის მიზეზს გრენჯერის მიხედვით 5%-იან დონეზე.

შეგვიძლია გადავიდეთ ოპტიმალური ლაგის არჩევაზე. ამისთვის გამოვიყენოთ შვარცის ბაიესური კრიტერიუმი.

ცხრილი 4.

ოპტიმალური ლაგის არჩევა

Lag	LogL	LR	FPE	AIC	SC	HQ
0	152.2975	NA	5.27e-05	-4.174931	-4.111690	-4.149755
1	162.3688	19.30336	4.45e-05	-4.343579	-4.153857	-4.268050
2	170.7290	15.55920	3.95e-05	-4.464694	-4.148491	-4.338813
3	201.2053	55.02659	1.89e-05	-5.200146	-4.757461	-5.023912
4	215.3811	24.80768	1.43e-05	-5.482808	-4.913641*	-5.256221
5	223.4251	13.63014	1.28e-05	-5.595142	-4.899494	-5.318202*
6	226.4310	4.926403	1.32e-05	-5.567529	-4.745400	-5.240237
7	233.5420	11.25899*	1.22e-05*	-5.653944*	-4.705333	-5.276299

* indicates lag order selected by the criterion
LR: sequential modified LR test statistic (each test at 5% level)
FPE: Final prediction error
AIC: Akaike information criterion
SC: Schwarz information criterion
HQ: Hannan-Quinn information criterion

აგებულია ავტორის მიერ. მონაცემების წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ვხედავთ, ოპტიმალური ლაგი არის 4. შევამოწმოთ ამ ლაგზე ავტოკორელაციის არსებობა:

ცხრილი 5.

ავტოკორელაციის შემოწმება

Null hypothesis: No serial correlation at lag h						
Lag	LRE* stat	df	Prob.	Rao F-stat	df	Prob.
1	27.90725	4	0.0000	7.728592	(4, 128.0)	0.0000
2	12.62292	4	0.0133	3.289590	(4, 128.0)	0.0133
3	0.992825	4	0.9109	0.247232	(4, 128.0)	0.9109
4	1.832876	4	0.7665	0.457912	(4, 128.0)	0.7665
5	11.52248	4	0.0213	2.989829	(4, 128.0)	0.0213

აგებულია ავტორის მიერ. მონაცემების წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

მე-4 ლაგზე ავტოკორელაცია არ ფიქსირდება. გადავდივართ ნორმალურობის შემოწმებაზე.

ცხრილი 6.

ნორმალურობის შემოწმება

Component	Skewness	Chi-sq	df	Prob.*
1	0.696695	6.067295	1	0.0138
2	-0.104322	0.136037	1	0.7123
Joint		6.203332	2	0.0450

აგებულია ავტორის მიერ. მონაცემების წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

1%-იან დონეზე ორივე ცვლადის ნარჩენები ნორმალურადაა განაწილებული.

საბოლოოდ, მოდელის აგებისა და ვალიდურობის შემოწმების შემდგომ, მივიღეთ გრძელვადიანი შეზღუდვის მატრიცა:

$$F = \begin{bmatrix} 0.049 & 0 \\ 0.029 & 0.06 \end{bmatrix}$$

მიღებული მატრიციდან ჩანს, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტი, ისევე როგორც მონეტარული პოლიტიკა, დადებითად მოქმედებს შემდგომი პერიოდის მთლიან სამამულო პროდუქტზე. ამ სიტუაციაში თუ ავაგებთ იმპულსზე გამოხმაურების ფუნქციას, მას გრაფიკ 1-ზე მოყვანილი მუქი ტეხილის სახე ექნება.

გრაფიკი 1.

მთლიანი სამამულო პროდუქტის გამოხმაურება მონეტარული პოლიტიკის შოკზე



აგებულია ავტორის მიერ. მონაცემების წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკიდან ჩანს, რომ მონეტარული პოლიტიკა მართლაც დადებით გავლენას ახდენს მთლიან სამამულო პროდუქტზე. შევნიშნოთ ისიც, რომ ეს მოქმედება პერიოდულია (მონაცემები კვარტალურია) და მეორდება ყოველ ახალ პერიოდში, თუმცა შემცირებული ეფექტით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავუბრუნდეთ ჩვენს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ მონეტარული პოლიტიკის ეფექტი სამამულო პროდუქტზე, სხვა სიტყვებით, ბიზნესციკლებზე, დაახლოებით 3 წელი ვრცელდება. გრაფიკი გარკვეულწილად ადასტურებს ამას, ვინაიდან ვხედავთ, რომ მე-12 პერიოდის მიწურულს მონეტარული პოლიტიკის ფაქტობრივი ეფექტი (გრაფიკზე აღნიშნულია შავი მრუდი) რიცხობრივად 0-ს უახლოვდება. იმის გათვალისწინებით, რომ გვაქვს აღებული კვარტალური მონაცემები, მე-12 კვარტალი ზუსტად 3 წლის ბოლოს უწევს. ამ მოცემულობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიპოთეზა გამართლებულია და მონეტარული პოლიტიკა ბიზნესციკლებზე საქართველოში დაახლოებით 3 წლის განმავლობაში მოქმედებს ჩაქრობადი ეფექტით.

დასკვნა

ამრიგად, მონეტარული პოლიტიკა მძლავრი ინსტრუმენტია ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, თუ როგორ ვიყენებთ ამ ინსტრუმენტს. უნდა გვახსოვდეს, რომ ის შესაძლოა ზოგჯერ ზიანის მომტანი უფრო იყოს, ვიდრე სიკეთის.

ნაშრომში დასმული ჰიპოთეზა შემოწმდა საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტისა და ფულადი მასის 2003-2022 წლების მონაცემებით. მიღებული შედეგის თანახმად, მონეტარული პოლიტიკა მართლაც ეფექტურად მოქმედებს ეკონომიკაზე და ეს ეფექტი სხვა თანაბარ პირობებში 3-წლიანი შუალედით განისაზღვრება.

მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებით ჩვენი რეკომენდაციაა მკაფიო კომუნიკაცია და გამჭვირვალობაა. მონეტარული პოლიტიკის მიზნების, სტრატეგიებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ კომუნიკაცია და გამჭვირვალობა ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდას, რადგანაც იზრდება ცენტრალური ბანკის მიმართ ნდობა. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს საბაზრო მოლოდინების მართვას, ამცირებს გაურკვევლობას და აუმჯობესებს მონეტარული პოლიტიკის ტრანსმისიის არხების მუშაობას, რაც, საბოლოოდ, დადებითად აისახება მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობაზეც და მის, როგორც ბიზნესციკლების სტაბილიზატორის, გამოყენებაზე.

დასარულ. რამდენიმე სიტყვა თანამედროვე კეინზიანელების მოსაზრებაზე, ბიზნესციკლების წარმოშობის შესახებ. მაგალითად, მენქიუ მიიჩნევს, რომ მაკროეკონომიკური რყევები გამოწვეულია მიკროეკონომიკურ დონეზე მიღებული არაზუსტი გადაწყვეტილებების სიმრავლის კუმულაციით. ეკონომიკური აგენტები ცდებიან, და მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული აგენტისთვის ეს შეცდომა შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი, მაკროეკონომიკურ დონეზე თითოეული აგენტის ასეთი პატარა შეცდომა იწვევს სერიოზულ ცდომილებებს. ამას მივყავართ რეალური ბიზნესციკლების თეორიამდე (RBC თეორია), რომელიც ეფუძნება ისეთ თანამედროვე მაკროეკონომიკურ მოდელებს, როგორებიცაა დინამიკური სტოხასტიკური ზოგადი წონასწორობის მოდელები (DSGE).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი, ი. (2018). *დროითი მწკრივების ანალიზი.* სალექციო კურსი (ელ.ვერსია), თბილისი, თსუ.
2. ანანიაშვილი, ი. (2018). *მაკროეკონომიკური მოდელირება.* სალექციო კურსი (ელ.ვერსია), თბილისი, თსუ.
3. ჩიქობავა მ, კაკულია ნ. (2015). ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა. სალექციო კურსი (ელ. ვერსია), თბილისი, თსუ.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი – სტატისტიკური მონაცემები ფულადი მასის შესახებ. Retrieved from https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data ბოლოს ნანახია (16.07.2024)
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – სტატისტიკური მონაცემები ერთობლივი მოთხოვნის (მთლიანი სამამულო პროდუქტის) შესახებ. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/-modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp ბოლოს ნანახია (16.07.2024)
6. Benassy-Quere, A. Coeure B., Jacquet P., Pisani-Ferry J. (2010). *Economic Policy: Theory and Practice*, Oxford University Press.
7. King, G., Watson, M. (2007). *Testing Long-Run Neutrality*. Richomnd, Federal Reserve Bank.
8. Strongin S. (1988) Real botas rock: Monetary Policy rules and real business cycles, *Economic Perspectives Vol 12, 4th, No.6.*

მცხეთა- მთიანეთის რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის ზრდის სტატისტიკური ტენდენციები

სალომე მაისურაძე
თსუ მაგისტრანტი

მცხეთა-მთიანეთი ვიზიტორების მონახულების მაჩვენებლების მიხედვით, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რეგიონს წარმოადგენს საქართველოში. ამას მოწმობს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ტურისტული ნაკადების გაზრდილი რაოდენობა და ვიზიტორების კმაყოფილების მაღალი ხარისხი.

ნაშრომის ***ძირითად მიზანს*** *წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთის ტურისტული მომზიდველობის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი.*

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ზოგადი, ისე სტატისტიკური გამოკვლევის ეტაპების შესაბამისად სპეციფიკური სტატისტიკური მეთოდები: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია მცხეთა-მთიანეთის შიდა და საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკური მახასიათებლების ანალიზი, გაანალიზებულია ჩატარებული კვლევის შედეგები, გამოვლენილია რეგიონის ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი შიდა ტურიზმის ვიზიტორებისათვის მიმზიდველ ტურისტულ ლოკაციას წარმოადგენს; მცხეთა-მთიანეთი გაცილებით მიმზიდველია შიდა ვიზიტორებისათვის, ვიდრე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის.

ადგილობრივ ვიზიტორთა რაოდენობა მცხეთა-მთიანეთში ყოველ წელს იზრდებოდა საკვლევ პერიოდში საშუალოდ 10 %-ით. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ 8 %-ით. 2023 წლის მონაცემებით კი საქართველოში შემოსული უცხოელ ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობის 11% -მა მოინახულა მცხეთა-მთიანეთი, რაც ადგილობრივ ვიზიტორთა მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით მეტია. ყველაზე მეტი ვიზიტორი რეგიონს სტუმრობს თბილისიდან, რომელთა წილი ვიზიტორების 87%-ია, მოთხოვნად ტურისტულ პროდუქტებს წარმოადგენს: პილიგრიმული; შემეცნებითი;კულტურული; გასტრონომიული.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, სტატისტიკა, რეგიონი, ტენდენცია*

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი შიდა ტურიზმის ვიზიტორებისათვის მიმზიდველ ტურისტულ ლოკაციას წარმოადგენს; მცხეთა-მთიანეთი გაცილებით მიმზიდველია შიდა ვიზიტორებისათვის, ვიდრე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის.

ადგილობრივ ვიზიტორთა რაოდენობა მცხეთა-მთიანეთში ყოველ წელს იზრდებოდა საკვლევ პერიოდში საშუალოდ 10 %-ით. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ 8 %-ით. 2023 წლის მონაცემებით კი საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობის 11%-მა მოინახულა მცხეთა-მთიანეთი, რაც ადგილობრივ ვიზიტორთა მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით მეტია. ყველაზე მეტი ვიზიტორი რეგიონს სტუმრობს თბილისიდან, რომელთა წილი ვიზიტორების 87%-ია, მოთხოვნად ტურისტულ პროდუქტებს წარმოადგენს: პილიგრიმული; შემეცნებითი;კულტურული; გასტრონომიული.

შესავალი

მცხეთა-მთიანეთი ვიზიტორების მონახულების მაჩვებლების მიხედვით ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რეგიონს წარმოადგენს საქართველოში. ამას მოწმობს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ტურისტული ნაკადების გაზრდილი რაოდენობა და ვიზიტორების კმაყოფილების მაღალი ხარისხი. ეს კი მნიშვნელოანია, რადგან საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ეკონომიკაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ტურიზმის სექტორზე. (აბესაძე, ქინქლაძე, ჩიტალაძე, & აბესაძე, ტურიზმის სტატისტიკა: მეთოდოლოგია და პრაქტიკა., 2021)

ორწლიანი ეკონომიკური გაურკვევლობისა და შოკის შემდეგ საქართველოში ტურიზმის განვითარება ნელ-ნელა უბრუნდება პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას. (Abesadze, 2023) მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, „საქართველოს აქვს გახდეს კონკურენტუნარიანი ტურისტული ადგილი. (Robitashvili N., 2021) მცხეთა-მთიანეთი ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც ერთ-ერთი მიმზიდველი და ვიზიტორებისათვის საინტერესო რეგიონი. ეს გარკვეულწილად განპირობებულია მისი მნიშვნელოვანი კულტურული და რელიგიური ცენტრის სტატუსით. ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და სამთავროს მონასტერი შუა საუკუნეების საქართველოს მთავარი ძეგლებია. სამივე მათგანი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაშია. (https://whc.unesco.org/en/list/708) ეს საერთაშორისო აღიარება ხაზს უსვამს მათ უნივერსალურ კულტურულ ღირებულებასა და მნიშვნელობას, რაც მას მოთხოვნად და მიმზიდველ ტურისტულ ლოკაციად მყარად აყალიბებს. ტურისტებს იზიდავს ანანურის ციხის კომპლექსი, ბოდორნის ღვთისმშობლის, მჭადიჯვრის ეკლესია, ბოჭორმის უძველესი ციხის კომპლექსი, თავად ყაზბეგი, მცხეთა-მთიანეთის სამზარეულო, განსაკუთრებით დამბალხაჭო, ჩადუნა, მთიულური მხლოვანა, ხავიწი, ღურღუჭელი, კუს ერბო და ა.შ.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთის ტურისტული მიმზიდველობის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი.

ამ მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- მცხეთა-მთიანეთის ვიზიტორების რაოდენობის მაჩვენებლების გაანალიზება;
- ტურიზმის რეგიონული სტრუქტურის დახასიათება და მცხეთა-მთიანეთის სტრუქტურული მაჩვენებლების გაანგარიშება;
- მცხეთა-მთიანეთის ტურისტული პოტენციალის დახასიათება;
- რეგიონის ტურიზმის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სტატისტიკური ანალიზი;
- რეგიონის ტურიზმის პრობლემების იდენტიფიცირება და ა.შ.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ზოგადი, ისე სტატისტიკური გამოკვლევის ეტაპების შესაბამისად სპეციფიკური სტატისტიკური მეთოდები: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. (აბესაძე, ქინქლაძე, & ჩიტალაძე, 2018)

ძირითადი ტექსტი

მცხეთა-მთიანეთი თანაბრად საინტერესოა როგორც საერთაშორისო, ისე უცხოელი ვიზიტორებისთვის. 2015-2023 წლების მიხედვით, ადგილობრივი ტურიზმის დროს ვიზიტორების რაოდენობის დინამიკა მოცემულია დიაგრამაზე 1

დიაგრამა 1.

ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2015-2023 წლებში (ათასი) და ჯაჭვური ზრდის ტემპები (%)



წყარო: (https://tourism.geostat.ge/)

როგორც, დიაგრამა 1 გვიჩვენებს, მცხეთა-მთიანეთში ვიზიტორების რაოდენობის ტენდენცია მზარდია. COVID-19 პანდემიის პერიოდშიც კი, როდესაც ტურიზმის სტატისტიკური პარამეტრები ყველა რეგიონში მკვეთრად შემცირდა, ამ რეგიონში 2020 წელს წინა წელთან შედარებით მხოლოდ 3,2 %-იანი კლება, ხოლო 2021 წელს კი წინა წელთან შედარებით 76 %-იანი მატება დაფიქსირდა. საშუალოდ, 2015-2023 წლებში მცხეთა-მთიანეთში ვიზიტორების რაოდენობა საშუალოდ იზრდებოდა 29 875 კაცით. ამავე პერიოდში საშუალო წლიური ზრდის ტემპი შეადგენდა 110%, რაც იმას ადასტურებს, რომ ყოველწლიურად რეგიონში ვიზიტორების რაოდენობა 10%-ით იზრდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა ადგილობრივი ტურიზმის დროს ვიზიტორების სტრუქტურის მაჩვენებლებზე. წლების შესამაბისად იცვლებოდა მცხეთა-მთიანეთის ვიზიტორთა პროცენტული წილის მაჩვენებლები ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში. წილების დინამიკა იხ. დიაგრამაზე 2.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მცხეთა-მთიანეთის ვიზიტორთა წილის მაჩვენებლის ვარიაციის დიაპაზონი მერყეოს 9%-15%-ს შორის და ბოლო მონაცემებით 2023 წელს 11%-ს შეადგენს.

საბოლოოდ კი, ადგილობრივ ვიზიტორთა რიცხვის პროცენტული წილი მთელ რეგიონთა ვიზიტორთა რაოდენობაში 7%-ია.

რაც შეეხება საერთაშორისო შემომყვან ტურიზმს, აქ განსხვავებული ტენდენციები გამოვლინდა, 2018 წლამდე ვიზიტორების რაოდენობა მზარდია, 2015 წლიდან საშუალოდ ყოველწლიურად 37.5%-ით იზრდებოდა. 2019 წელს მათი რაოდენობა წინა წელთან შედარებით 6%-ით შემცირდა. თუ შიდა ტურიზმზე პანდემიამ ფაქტობრივად უმნიშვნელო გავლენა იქონია, საერთაშორისო ტურიმზის სტატისტიკური მაჩვენებლები ნულთან მიახლოებული გახდა. პანდემიის შემდეგ ისევ დაიწყო ვიზიტორების რაოდენობის ზრდა. მარტო 2023 წელს წინა წელთან შედარებით 25.7%-ით გაიზარდა, მაგრამ ვერ გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებლებს, როგორც ტურიზმის სტატისტიკის პორტალიდან აღებული მაჩვენებლები გვიჩვენებს, 2024 წელს უცხოელ ვიზიტორებში განსაკუთრებული ინ-

ტერესი გამოვლინდა მცხეთა-მთიანეთის ლოკაციებზე. ცხადია, ეს დადებითად აისახება საბოლოო წლიურ მაჩვენებლებზე და გაზრდის ამ რეგიონის პროცენტულ წილს საერთოდ საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობაში.

დიაგრამა 2.

ადგილობრივი ვიზიტორების წილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მთელ რაოდენობასთან შედარებით 2015-2023 წლებში (%)



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

აბსოლუტური მაჩვენებლების პარალელურად საინტერესეოა შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზი. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს, რამდენი ადამიანი მიდის მცხეთა-მთიანეთში საქართველოს მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებთ. გაანგარიშებებმა აჩვენა, პანდემიამდე საკვლევი პერიოდის განმავლობაში, შიდა ტურიზმის დროს, ყოველ 1000 კაცზე მცხეთა-მთიანეთის ვიზიტორთა რაოდენობა მერყეობდა 59-84 ადამიანს შორის. საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, თუ რა გავლენა მოახდინა COVID19-მა შიდა ტურიზმის განვითარებაზე. ამიტომ ერთმანეთს შევადარეთ 2019 წლის ანუ პანდემიამდე და 2023 წლის, ანუ პანდემიის შემდგომი პერიოდის მაჩვენებლები. გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ თუ 2019 წელს ყოველ 1000 კაცზე მცხეთა-მთიანეთში ვიზიტით იმყოფებოდა 84 ადამიანი, 2023 წლის მაჩვენებლების გაანგარიშებით კი მისი რაოდენობა 125-მდე გაიზარდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პანდემიამ შეცვალა ადამიანების დამოკიდებულება დედაქალაქთან ახლოს მდებარე სარეკრეაციო ზონების მიმართ და COVID19-ის შემდგომ უფრო დაიწყეს ვიზიტები და ეს აისახა შიდა ტურისტების რაოდენობის ზრდაზეც.

დიაგრამა 3.

უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2015- 2023 წლებში (ათასი) და ჯაჭვური ზრდის ტემპები (%)



წყარო: (https://tourism.geostat.ge/)

საკვლევ პერიოდში საშუალოდ ვიზიტორების რაოდენობა მცხეთა-მთიანეთში იზრდებოდა 24 345 კაცით, საშუალოწლიური ზრდის ტემპმა კი შეადგინა 108%. მაშასადამე, ვიზიტორების რაოდენობა 2015-2023 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა 8%-ით.

როგორია საერთაშორისო ვიზიტორებში მცხეთა-მთიანეთის ვიზიტორების ხვედრითი წილის მაჩვენებლები? როგორც დიაგრამა 4-დან ჩანს, ისინი ცვალებადია და ცვლილების დიაპაზონი 9%- 14% შორისაა.

დიაგრამა 4.

უცხოელი ვიზიტორების წილი მცხეთა- მთიანეთის რეგიონში ვიზიტორების საერთო რაოდენობაში 2015-2023 წლებში (%)



წყარო(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

ბოლო მონაცემებით, უცხოელ ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობის 11%-მა მოინახულა მცხეთა-მთიანეთი, რაც ადგილობრივ ვიზიტორთა მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით მეტია.

ყველაზე მეტი ვიზიტორი რეგიონს ესტუმრა თბილისიდან, მათი წილი ვიზიტორების 87%-ია, რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის გადაადგილების მიხედვით მცხეთა- მთიანეთია მეორე ადგილზე 4%-ით და შემდეგ უკვე შიდა ქართლი 3%-ით. ეს იქიდან გამომდინარე, რომ მცხეთა-მთიანეთი სხვა რეგიონებთან შედარებით ტერიტორიულად ყველაზე ახლოსაა დედაქალაქთან და გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობა ტრანსპორტირების დროის სიმცირის გამო.

რომ გამოკვეთილიყო პრიორიტეტული ტურიზმის სახეები, რომელსაც საერთოდ ვიზიტორები ირჩევენ, ჩავატარეთ პირდაპირი ინტერვიუირება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტოიაზე. პრიორიტეტული აღმოჩნდა:

1. პილიგრიმული;
2. შემეცნებითი;
3. კულტურული;
4. გასტრონომიული.

დიაგრამა 5.

ადგილობრივი ვიზიტორების რეგიონული სტუქტურა 2023 წელი



წყარო: (https://tourism.geostat.ge/)

საშუალოდ რეგიონში საქართველოს რეზიდენტები რჩებია ნ 0,7 დღით, რაც იმას უსვამს ხაზს, რომ პრიორიტეტულია ერთდღიანი ტურები, რაც ზოგადად ექსკურსანტების სიჭარბეზე მიუთითებს აღნიშნულ რეგიონში, მცირეა ტურისტული ვიზიტორები, რაც მინიმუმ ერთი ღამით მაინც რეგიონში დარჩნას გულისხმობს, რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორებს, აქ ღამეების საშუალო რაოდენობა 1,2-ია.

როგორც ვიცით, ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლების გაზრდა. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2023 წელს ამ დარგის კონტრიბუციამ ხელი შეუწყო 27 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 9.1%-ით მეტია.

რომ დადგენილიყო, არის თუ არა დამოკიდებული მცხეთა-მთიანეთში ვიზიტორების რაოდენობის ზრდა მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე, გაანგარიშდა კორელაციის პირსონის კოეფიციენტი. ცხრილიდან 1 ჩანს, რომ ვიზიტორთა საერთო რაოდენობა მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის შემოსავლებზე, ხელფასების ზრდასზე ან კლებაზე

მცირედით არის დამოკიდებული, რადგან r=0.51, ამიტომ ეს იქნება სუსტი დადებითი კორელაციური კავშირი.

ცხრილი 1.

ვიზიტორების საერთო რაოდენობა და მცხეთა-მთიანეთში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 2015-2023 წლებში

	ვიზიტორთა რაოდენობა(ათასი)	საშუალო ხელფასი(ლარი)
2015	394	738
2016	507	766
2017	624	795
2018	703	818
2019	736	902
2020	363	1045
2021	533	1095
2022	729	1325
2023	828	1500

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

გარდა ამისა, კვლევების თანახმად, წარმატებული მოგზაურობის დროს ხარჯების სწორად გადანაწილება და ფინანსების მობილიზაცია აუცილებელია. ამიტომ შეგვიძლია გავაკეთოთ იმის ანალიზი, თუ როგორ არის დამოკიდებული შიდა ტურიზმის განვითარების ზრდაზე საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები. ცხრილიდან 2 ჩანს, რომ ვიზიტორთა საერთო რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებთან ხელფასების ზრდასთან ან კლებასთან ზომიერად არის დამოკიდებული, რადგან r=0.61, ამიტომ ეს იქნება ნორმალურად დადებითი კორელაციური კავშირი.

ცხრილი 2.

ვიზიტორების საერთო რაოდენობა და საქართველოს მოსახლეობის საშუალო ხელფასი 2015-2023 წლებში

	ვიზიტორთა რაოდენობა(ათასი)	საშუალო ხელფასი(ლარი)
2015	394	900
2016	507	940
2017	624	999
2018	703	1068
2019	736	1129
2020	363	1191
2021	533	1305
2022	729	1543
2023	828	1858.2

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

ტურისტული ნაკადების ზრდა აუცილებლად მოითხოვს საკმარისი რაოდენობის განთავსების საშუალებების არსებობას. მართალია, ერთდღიანი ვიზიტები საკმარისად დიდი რაოდენობითაა რეგიონში განხორციელებულ ვიზიტებში, მაგრამ ბოლო წლებში შეინიშნება ტურისტული ვიზიტების სიჭარბე როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმისათვის. ბოლო მონაცემებით, მცხეთა-მთიანეთში 63 სასტუმროა 10+ ნომრით, 10-მდე ნომრით კი - 54, კოტეჯების რაოდენობა მცირეა, რეგიონში სულ 14 კოტეჯია. თუმცა ფაქტია, რომ განთავსების საშუალებების რაოდენობა იზრდება და 2022 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. მარტო 2022 წელს წინა წელთან შედარებით 10+ ნომრიანი სასტუმროების რაოდენობა - 12.5%- ით, 10-მდე ნომრიანი კი 54%-ით გაიზარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფართოვდება საოჯახო სასტუმროების არეალი. ეს განაპირობებს დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდასა და განთავსების საშუალებების შემოსავლების გაზრდასაც.

რეგიონის სასტუმროებში დღეს დასაქმებულია 1276 ადამიანი, რომელთა შორის 59.2% ქალია. საკვლევ პერიოდში, პანდემიის გარდა, ყველა წელს დასაქმებულთა რაოდენობა მზარდია. საშუალოდ, დასაქმებული ქალების რიცხვი 5.7%- ით იზრდებოდა, ხოლო კაცების - 4.1%- ით. იზრდებოდა სასტუმროების შემოსავლების მოცულობაც. მარტო 2022 წელს წინა წელთან შედარებით პანდემიის შემდგომი რეაბილიტაციის ფონზე - 90%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 79%-ით გაიზარდა. (https://tourism.geostat.ge/hotels/-HDefaultIndicators) რეგიონში განთავსებულ სასტუმროებში ჭარბობს ორადგილიანი ნომრები, მათი წილი რეგიონის სასტუმროების მთელი ნომრების რაოდენობაში 30%-ია, და შემდეგ გამოირჩევა სამი და მეტადგილიანი ნომრები 8.8% წილით. ერთადგილიან ნომრებს სჭარბობს ლუქსი ნომრების რაოდენობა. (https://tourism.geostat.ge/hotels/-HDefaultIndicators)

დასკვნა

- მცხეთა-მთიანეთის რეგიონი შიდა ტურიზმის ვიზიტორებისათვის მიმზიდველ ტურისტულ ლოკაციას წარმოადგენს;
- რეგიონი ვიზიტორებს სთავაზობს მის წილ საქართველოს მდიდარ ისტორიას;
- მცხეთა-მთიანეთი გაცილებით მიმზიდველია შიდა ვიზიტორებისათვის, ვიდრე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. 2015-2023 წლების განმავლობაში მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ვიზიტორთა რიცხვი საშუალოდ 29 875 კაცით გაიზრდა, ხოლო უცხოელ ტურისტთა რიცხვი - 24 345 კაცით.
- ადგილობრივ ვიზიტორთა რაოდენობა მცხეთა-მთიანეთში ყოველ წელს იზრდებოდა საკვლევ პერიოდში საშუალოდ 10 %-ით. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ 8 %-ით.
- 2023 წლის მონაცემებით კი, საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობის 11%-მა მოინახულა მცხეთა-მთიანეთი, რაც ადგილობრივ ვიზიტორთა მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით მეტია.
- რეგიონი აღჭურვილია შესაბამისი განთავსების საშუალებებით.
- ყველაზე მეტი ვიზიტორი რეგიონს სტუმრობს თბილისიდან, რომელთა წილი ვიზიტორების 87%-ია,
- მოთხოვნად ტურისტულ პროდუქტებს წარმოადგენს: პილიგრიმული; შემეცნებითი; კულტურული; გასტრონომიული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze, N. R. (2023). Statistical Study Of Priority Directions And Expectations Of Domestic Tourism Rehabilitation In Georgia. *Innovative Economics And Management.volume 10, Issue 1*, 104-113.
2. *https://tourism.geostat.ge/*. (n.d.). Retrieved from https://tourism.geostat.ge/.
3. *https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators*. (n.d.). Retrieved from https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators.
4. *https://whc.unesco.org/en/list/708* . (n.d.). Retrieved from https://whc.unesco.org/en/list/708 .
5. Robitashvili N., B. E. (2021). Value Chain Analysis of adventure tourism: a case study of Ajara Autonomous Republic (Georgia)“., (pp. (pp.373-381)). Jelgava, Latvia.
6. აბესაძე, ნ., ქინქლაძე, რ., & ჩიტალაძე, ქ. (2018). *სტატისტიკა ტურიზმისათის*. თბილისი: უნივერსალი.
7. აბესაძე, ნ., ქინქლაძე, რ., ჩიტალაძე, ქ., & აბესაძე, ო. (2021). *ტურიზმის სტატისტიკა: მეთოდოლოგია და პრაქტიკა*. თბილისი: ელ,ვერსია.
8. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. (n.d.). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი

გივი ნადირაძე
თსუ დოქტორანტი

ტარიფით რეგულირებადი საწარმოების ფინანსური მენეჯმენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისუფალი ფასწარმოქმნის მქონე საწარმოებისგან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული იყოს ყველა ის გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს ასეთი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობასა და მზარდ მომგებიანობაზე. მოცემული ნაშრომის მიზანია, თვისებრივი და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე სატარიფო რეგულირებადი საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის თავისებურების განხილვა, რისთვისაც იდენტიფიცირებულია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები და მარეგულირებელი კანონმდებლობა. წარმოდგენილია ტარიფის გაანგარიშებისა და განსაზღვრის ჩარჩო პრინციპები და განმარტებულია ხარჯების საპირწონე შემოსავლების მიღების გარემოებები. ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია, რომ საწარმომ მაქსიმალურად უნდა მიმართოს რესურსი საინვესტიციო პროექტების შესრულებაზე, აირიდოს მარაგების გრძელვადიანი დასაწყობება და ისეთი დანახარჯები, რომლებიც არ არის საოპერაციო საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებული. ამასთან, მჭიდრო შესაბამისობაში იყოს სატარიფო ნორმატიულ აქტებთან, რაც უზრუნველყოფს საწარმოს მომგებიანობის ზრდას. ანალიზის შედეგად წარმოდგენილია დასკვნა, თუ რა თავისებურებანი განასხვავებს ტარიფით რეგულირებად საწარმოს სხვა თავისუფალი ფასწარმოქმნის მქონე კომპანიებისგან, და სარეკომენდაციო წინადადებები.

საკვანძო სიტყვები: *ტარიფი; რეგულირება; დანახარჯების აუდიტი; ინვესტიციები; ფინანსური მენეჯმენტი; ხარჯ-სარგებლიანობა.*

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მაღალი ძაბვის შიდასახელმწიფოებრივი და ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემი ხაზებით უზრუნველყოფს ელექტროენერგიის ტრანსპორტირებას ქვეყნის მასშტაბით, ასევე, პასუხისმგებელია ინტერკონექტორებით დაკავშირებულ მეზობელ სახელმწიფოებთან საექსპორტო, საიმპორტო და სატრანზიტო ელექტროენერგიის ნაკადების მიმოცვლასა და საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებასა და საერთო კოორდინაციაზე (ელექტროსისტემა", ჩვენს შესახებ, 2024).

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საწარმო მოქცეულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში (მაცნე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2019). 2014 წლის ივნისში ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას, მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე საქართველო გახდა ენერგეტიკული გაერთიანების (Energy Community) სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა, რომლის ფარგლებშიც ქვეყანამ იკისრა ვალდებულება, ევროკავშირის დირექტივებისა და ენერგეტიკული პაკეტების გათვალისწინებით, გაატაროს კომპლექსური ენერგეტიკული რეფორმა, მათ შორის, ჩამოაყალიბოს თანამედროვე, გამჭვირვალე, კონკურენციასა და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ელექტროენერგიის ბაზარი (მაცნე, ასოცირე-

ბის შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014).

ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმის ფარგლებში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2021 წლის 1 ივლისიდან სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიანიჭა გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორის ლიცენზია („ელექტროსისტემა“, ლიცენზიები და სერტიფიკატები, 2024).

საწარმო არა მხოლოდ ელექტროენერგეტიკული სექტორის, არამედ სრულიად საქართველოსთვის კრიტიკული მნიშვნელობის ბუნებრივი მონოპოლისტია. კომპანიის შემოსავლებს უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ რეგულირებადი საქმიანობების შესაბამის ფორმებზე გონივრული მოგებით ხარჯ-ამონაგების საფუძველზე დადგენილი საფასურები: გადაცემა; ბაზრის ოპერირება; ქსელზე მიერთება.

დიაგრამა 1.

საწარმოს ტარიფის სტრუქტურა



წყარო: ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, 2020

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS), თუმცა საოპერაციო საქმიანობისა და ფინანსური მენეჯმენტის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპის ელექტროენერგეტიკული ან სხვა სექტორის საწარმოებისგან.

საწარმოს ფინანსურ მენეჯმენტში კრიტიკულად მნიშვნელოვანია მარეგულირებლის სატარიფო მეთოდოლოგია, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი, ინვესტიციების შეფასების წესი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. აღნიშნულის საფუძველზე, საწარმომ შესაძლოა გასწიოს ისეთი საოპერაციო ხარჯი, რომელიც, რეგულირების პრინციპების საფუძველზე, არ ექვემდებარებოდეს ტარიფიდან ეკვივალენტური ამონაგების მიღებას, ანუ ტარიფში გათვალისწინებას.

საწარმოს ტარიფი განისაზღვრება გასაწევი საოპერაციო და კაპიტალური ხარჯებისა და გონივრული მოგების საფუძველზე, ასევე, ცალკეულ საპროგნოზოდ დაგეგმილ და ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობის დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით კორექტირებაზე (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.).

საოპერაციო ხარჯები. საწარმოს საოპერაციო ხარჯები იყოფა 4 მსხვილ კომპონენტად:

- კონტროლირებადი – ისეთი დანახარჯები, რომელთა ოდენობაზე საწარმოს შეუძლია იქონიოს გავლენა (მაგ: სახელფასო ფონდი, მივლინება, საკანცელარიო, დაცვის მომსახურება, კომუნალური და სხვა). ასეთ დანახარჯებს მარეგულირებელი კომისია განსაზღვრავს მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში, წინა წლის საწარმოს ფაქტობრივი ხარჯების გონივრულობა-მიზანშეწონილობის კრიტერიუმების გათვალისწინებით. შესწავლილი და მიზანშეწონილი/გონივრული დანახარჯები შემდგომ წლებზე ვრცელდება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლით. კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებზე ვრცელდება ე.წ. „წახალისების მექანიზმი“, რაც გულისხმობს, რომ საწარმოს მიერ გასაწევ კონტროლირებად საოპერაციო ხარჯებში ნებისმიერი ეკონომია რჩება საწარმოს განკარგულებაში და აუთვისებელი თანხა არ ექვემდებარება კორექტირების გზით ამოღებას. მეორე მხრივ, ნებისმიერი გადახარჯვა საწარმოს აწვება აუნაზღაურებელ ხარჯად და შესაბამისად, ამცირებს მის წმინდა მოგებას (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.);
- არაკონტროლირებადი – ისეთი დანახარჯებია, რომელთა ოდენობაზე საწარმოს არ შეუძლია იქონიოს გავლენა (მაგ: ქონების გადასახადი, საპენსიო ანარიცხი, რეგულირების საფასური, სხვა). ასეთ დანახარჯებზე ვრცელდება ფაქტობრივი ხარჯის ეკვივალენტური ამონაგების პრინციპი. შესაბამისად, თუ ფაქტობრივად გაწეული არაკონტროლირებადი ხარჯები აღემატება ტარიფის დადგენისას საპროგნოზოდ განსაზღვრულს და, პირიქით, სხვაობა ექვემდებარება დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით კორექტირებისას ტარიფში ასახვას (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.);
- სპეციალური – ისეთი ხარჯებია, რომლებიც საწარმოს წარსულში (შესასწავლ წელს) არ ჰქონია, თუმცა მოსალოდნელია, რომ შემდეგ წლებში წარმოეშვება. ასეთ ხარჯებზე საწარმო წინასწარ აწვდის ინფორმაციას მარეგულირებელ კომისიას, რაც საპროგნოზო ოდენობით ექვემდებარება ტარიფში ასახვას (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.).
- გადამცემ ქსელში დანაკარგები – საწარმოს მიერ ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისას ბუნებრივი დანაკარგი. აღნიშნული ხარჯისთვის მარეგულირებელი კო-

მისია ადგენს ნორმატიულ დანაკარგს, რომელიც შესყიდვის ფასითა და ტრანსპორტირებას დაქვემდებარებული ელექტროენერგიის რაოდენობის შესაბამისად აისახება ტარიფში (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.).

კაპიტალური ხარჯები და გონივრული მოგება. ტარიფის გაანგარიშების წელს საწარმო მარეგულირებელ კომისიას წარუდგენს სატარიფო რეგულირების პერიოდში გასაწევი კაპიტალური ხარჯების სიას, შესაბამისი ღირებულებებით, დაფინანსების წყაროებითა და მიზნობრიობა-დასაბუთებით (კომისია, ინვესტიციების შეფასების წესი, 2021). როგორც წესი, საინვესტიციო გეგმა გამომდინარეობს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, საწარმოს მიერ ყოველწლიურად შემუშავებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმიდან".

წარდგენილი საინვესტიციო გეგმა ექვემდებარება დეტალურ ანალიზს და უნდა აკმაყოფილებდეს მარეგულირებელი კომისიის დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, კერძოდ, უნდა ჩატარდეს ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი, დასაბუთდეს დაფინანსების წყაროზე ხელმისაწვდომობა, წარდგენილ იქნეს ალტერნატიული სცენარი და მიზანშეწონილობა (კომისია, ინვესტიციების შეფასების წესი, 2021). აღნიშნულის საფუძველზე, მარეგულირებელი კომისია შემდეგი წესით ასახავს ტარიფში შეთანხმებულ ინვესტიციებს (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.):

1. შემუშავებული ცვეთა-ამორტიზაციის ნორმების საფუძველზე, ექსპლუატაციაში შესვლის წლიდან დაადგენს სასარგებლო მომსახურების ვადის ფარგლებში ყოველწლიურ ცვეთა-ამორტიზაციას;
2. ისტორიული ღირებულების საფუძველზე, განსაზღვრავს ყოველწლიურ ნარჩენ საბალანსო ღირებულებას;
3. ყოველწლიურ ნარჩენ საბალანსო ღირებულებას გაამრავლებს WACC განაკვეთზე[1], რაც საწარმოს კონკრეტული წლის გონივრული წმინდა მოგებაა;
4. ტარიფში ასახავს სატარიფო რეგულირების ფარგლებში აქტივის ჯამურ ცვეთა-ამორტიზაციასა და გაანგარიშებულ წმინდა მოგებას.

კორექტირება. საწარმოს ტარიფში კორექტირებას ექვემდებარება ფაქტობრივად გაწეულ და საპროგნოზოდ დადგენილ ხარჯებს შორის სხვაობა, დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით (გარდა კონტროლირებადი საოპერაციო ხარჯებისა). ამასთან, კორექტირების კომპონენტია ფაქტობრივ და მიზნობრივ ინფლაციებს შორის სხვაობა, თუმცა სახელფასო ფონდზე ზედა 10%-იანი და ყველა საოპერაციო ხარჯზე (გარდა ქსელში ნორმატივის ფარგლებში დანაკარგისა, რომელზეც არ ვრცელდება ინფლაციის მაჩვენებელი) ქვედა 0%-იანი შეზღუდვით (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.).

გამომდინარე იქიდან, რომ სპეციალური საოპერაციო ხარჯები ტარიფში აისახება საპროგნოზო მაჩვენებლების საფუძველზე, სხვაობა კორექტირდება ფაქტობრივი სიზუსტით. გადამცემ ქსელში დანაკარგები ტარიფში აისახება საპროგნოზოდ გადასაცემი ელექტროენერგიის რაოდენობიდან ნორმატიული დანაკარგის გაანგარიშებითა და შეს-

[1] ადგენს მარეგულირებელი კომისია სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით

ყიდვის საპროგნოზო ფასის გათვალისწინებით. კორექტირებისას, ზენორმატიული დანახარჯი არ ექვემდებარება ტარიფში დამატებას, ამასთან, ნორმატივის ფარგლებში ნებისმიერი ეკონომია რჩება საწარმოს განკარგულებაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივად გადაცემულ და საპროგნოზოდ დაგეგმილ ელექტროენერგიის რაოდენობას შორის ცდომილება იწვევს დანაკარგის მოცულობის ზრდას ნორმატივის მაჩვენებლის უცვლელობისასაც კი, რაც გაითვალისწინება. ამასთან, კორექტირებას ექვემდებარება შესყიდვის ფასებს შორის სხვაობაც (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.).

საყურადღებოა, რომ ტარიფი განისაზღვრება დაგეგმილ ხარჯებსა და გადასაცემი კილოვატ-საათებით თანაფარდობით. შესაბამისად, გადასაცემი ელექტროენერგიის რაოდენობის ზრდა, ისევე როგორც შემცირება, გავლენას ახდენს საწარმოს შემოსავალზე. ამრიგად, კორექტირების კომპონენტია საწარმოს მიერ ელექტოენერგიის გადაცემიდან მიღებული შემოსავალიც. ამასთანავე, ყურადღება ექცევა საწარმოს მიერ მიღებულ ისეთ დამატებით შემოსავლებს, რომელთა გამომუშავებაში გამოყენებული იყო ისეთი აქტივები, რომელთა ხარჯებიც წარსულში ან მიმდინარე პერიოდში უკვე ასახულია საწარმოს ტარიფში. თუმცა, აქაც ვრცელდება წახალისების მექანიზმი და საწარმოს მოტივაციისთვის, კორექტირებისას ექვემდებარება ამ გზით მიღებული შემოსავლების არასრული ოდენობა (კომისია, ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია, თ. გ.).

ხარჯები, რომლებიც არ გაითვალისწინება ტარიფში. საწარმოს გააჩნია ისეთი დანახარჯები, რომლებიც დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის თანახმად, არ ექვემდებარება ტარიფში გათვალისწინებას და მათ სანაცვლო შემოსავალს საწარმო ვერ მიიღებს, რაც ფინანსდება და შესაბამისად ამცირებს საწარმოს წმინდა მოგებას. ასეთი ხარჯებია (კომისია, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიში, 2020):

- პირგასამტეხლოები, ჯარიმები, კომპენსაციები, სანქციები;
- სასამართლო დავებთან და არბიტრაჟთან დაკავშირებული ხარჯები;
- ფინანსური, საოპერაციო, პოლიტიკური, ბიზნესრისკების, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ადმინისტრაციული პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევა;
- რეკლამა და მარკეტინგი, გარდა მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებისა;
- ძირითადი საშუალებებისა და მასალების ჩამოწერის თვითღირებულება;
- ფასიანი ქაღალდების გამოშვება;
- ზენორმატიული სამივლინებო ხარჯები;
- უიმედო ვალების ჩამოწერა.

დასკვნა

საწარმოს ფინანსური მენეჯმენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისუფალი ფასწარმოქმნის მქონე კომპანიებისგან და მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ტარიფით განსაზღვრულ კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებს.

საინვესტიციო პროექტები ექსპლუატაციაში შესვლის ვადების გათვალისწინებით, უნდა დაიგეგმოს სკეპტიკურად, რადგან პროექტის თითოეული წლით გადავადება იწ-

ვევს საწარმოს ტარიფის უარყოფითი ნიშნით კორექტირებას დროში ფულის ღირებულების ოდენობით. ამასთან, მიზანშეწონილია დამატებით მიღებული შემოსავლების რეინვესტირება კაპიტალურ პროექტებში, რაც საწარმოსთვის უზრუნველყოფს დამატებითი ფულადი რესურსებისა და მოგების გენერირებას, ამასთან, გადაფარავს უშუალოდ ამ კომპონენტის კორექტირებით გამოწვეულ დროში ფულის ღირებულების უარყოფით ოდენობას.

მნიშვნელოვანია, მომხმარებლებზე დარიცხული მოთხოვნების ამოღების თითქმის მაქსიმალური მაჩვენებელი. შეძლებისდაგვარად უნდა იქნას არიდებული სამართლებრივი დავები. ამასთან, რადგან მარაგები (გარდა კრიტიკული ავარიული მარაგ-ნაწილებისა) არ აისახება ტარიფში, აუცილებელია მოქნილი ლოგისტიკური დაგეგმარება, მარაგების სწრაფი ბრუნვა და 1 კალენდარულ წელზე ნაკლები ვადით დასაწყობება.

საყურადღებოა, რომ საწარმო მაქსიმალურად უნდა იყოს მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ სატარიფო მეთოდოლოგიასთან, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტისა და ინვესტიციების შეფასების წესთან. იხელმძღვანელოს არსებულ ნორმატიულ აქტებში განსაზღვრული პრინციპებით და ფინანსური მენეჯმენტი განხორციელდეს მათი შესაბამისობით, რაც უზრუნველყოფს კომპანიის წმინდა მოგების მზარდ მაჩვენებელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელექტროსისტემა“, ს.“. (2024). *ლიცენზიები და სერტიფიკატები*. მოპოვებული www.gse.com.ge.-დან
2. ელექტროსისტემა“, ს.“. (2024). *ჩვენს შესახებ*. მოპოვებული www.gse.com.ge.-დან
3. კომისია, ს. ე. (2020). *სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიში.*
4. კომისია, ს. ე. (2021). *ინვესტიციების შეფასების წესი*. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/-document/view/5227106?publication=0-დან
5. კომისია, ს. ე. (თ. გ.). *ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგია*. მოპოვებული www.matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/-view/5058936?publication=7-დან
6. მაცნე, ს. ს. (2014 წლის 05). *ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის*. მოპოვებული www.matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/-view/2496959?publication=4-დან
7. მაცნე, ს. ს. (2019). *„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი*. მოპოვებული www.matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747785?publication=9-დან

ინოვაციური მეწარმეობის პოლიტიკა საქართველოში

გიორგი ორაგველიძე
თსუ დოქტორანტი

თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ ტრადიციული ეკონომიკური/სამრეწველო პოლიტიკა ველარ უზრუნველყოფს მაღალი ზრდისა და დასაქმების გარანტიას, სამაგიეროდ, როგორც ინოვაციური, ისე მეწარმეობის პოლიტიკამ მიიპყრო ყურადღება. ორივე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და ინდუსტრიის განახლებისთვის და დიდი ადგილი უკავია სახელმწიფოთა პოლიტიკის დღის წესრიგში. მათი კომბინაცია (ანუ ინოვაციური მეწარმეობა) არის ფენომენი, რომელიც ბოლო წლებია ყურადღების ცენტრში მოექცა. ინოვაცია იძლევა წინაპირობას, მცირე და საშუალო საწარმოებმაც მიაღწიონ წარმატებისა და პოპულარობის იმ მწვერვალებს რომლებიც ადრე მხოლოდ მსხვილი გლობალური კორპორაციებისთვის იყო ხელშესახებ. იმავდროულად, ინოვაციური მეწარმეობა საქართველოს მსგავს გარდამავალი ეკონომიკის მცირე რესურსების ქვეყანასაც უჩენს იმედს, თავი დაიმკვიდროს გლობალური ბიზნესის კონკურენტულ გარემოში. მეწამეობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ცოდნის ეკონომიკაში, რადგან ერთ კომპანიაში შექმნილი მიგნება შესაძლოა გავრცელდეს სხვა ორგანიზაციებშიც და ნაციონალურ დონეზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ინოვაციური მეწარმეობის პოლიტიკის ჩარჩოზე და მის ეფექტებზე საქართველოში. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ინოვაციური მეწარმეობის წამყვან თეორიებზე, საერთაშორისო და ეროვნულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საქართველოში ინოვაციური მეწარმეობის პოლიტიკის მიღწევები, ხელისშემშლელი ფაქტორები და ამ ფაქტორების დაძლევის მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური მეწარმეობის პოლიტიკა, ინოვაციური მეწარმეობის მამოძრავებელი ძალები, განათლება და კვლევაზე დაფუძნებული ტექნოლოგიები.*

მეწარმეობა და ინოვაცია მჭიდრო კავშირშია. სამეწარმეო საქმიანობის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, მოიცავს ინოვაციებს და, ანალოგიურად, მეწარმეები გადამწყვეტი არიან ინოვაციის პროცესისთვის. გარდა ამისა, ტურბულენტობა (კრეატიული ნგრევა), რომელიც წარმოიქმნება ბიზნესში შესვლისა და გასვლის აქტივობის მაღალი მაჩვენებლით, თავისთავად ასოცირდება ეკონომიკაში ინოვაციების მაღალ დონესთან. შესაძლებელია დაკვირვება ინოვაციისა და მეწარმეობის პოლიტიკის კონვერგენციას შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოლიტიკის მიზანია ახალი, მაღალი, მზარდი ინოვაციური ფირმების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ საჯარო პოლიტიკა ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობისთვის.

გლობალიზაციის შედეგად შედარებითი უპირატესობა ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ საქმიანობას მიენიჭა (Audretsch & Thurik, 2001). მსხვილმა მწარმოებელმა კორპორაციებმა ძვირად ღირებულ პოზიციებზე დაკარგეს თავიანთი კონკურენტული უპირატესობების დიდი ნაწილი და ისინი იმ მცირე სამეწარმეო ფირმებმა ჩაანაცვლა, რომლებიც ქმნიან ინოვაციებს (Audretsch, 1995).

Waasdorp (2002) განასხვავებს „ინოვაციურ“ და „ჩვეულებრივ“ მეწარმეობას, ვარაუდობს, რომ მეწარმეობის ამ ორმა ტიპმა შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული ეკონომიკური შედეგები. ჩვეულებრივი მეწარმეობის მთავარი წვლილი, რომელსაც ყველაზე ხშირად ახასიათებს ზემოთ ნახსენები „ცხოვრების წესი“ მეწარმე, არის სამუშაო ადგილების შექმნა. ინოვაციური მეწარმეობა, იწვევს უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების სა-

მუშაო ადგილებისა და სიმდიდრის შექმნას და ფირმებს უფრო სწრაფი ზრდის ტემპებით, დამფუძნებლები შესაძლოა უფრო მეტად აიძულონ ზრდისკენ საწარმოსა და მისი ინოვაციური შესაძლებლობების გამო (სტივენსონი, 2002). მეორე მხრივ, ჩვეულებრივი მეწარმეობა შეიძლება იყოს საფუძველი მზარდი ბიზნესისთვის, თუმცა საქართველოს მსგავსი მცირე ტერიტორიისა და რესურსის რეტროეკონომიკის ქვეყნისთვის ტრადიციული მეწარმეობა არაკონკურენტუნარიანია, რადგან ის ვერ გაუწევს კონკურენციას გლობალური ტრადიციული მეწარმეობის ლიდერებს, მაგალითად, როგორებიცაა ჩინეთი ან ინდოეთი. საქართველოსთვის ინოვაციური მეწარმეობა ქმნის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის გაწევის ერთადერთ პერსპექტივას, აქედან გამომდინარე, აუცილებელია ინოვაციურ პოლიტიკაზე დაკვირვება და მისი ეფექტიანობის ზრდა.

ინოვაციური მეწარმეობის პოლიტიკის ჩარჩო

მეწარმეობა და ინოვაცია ერთმანეთთან არის დაკავშირებული (ნახ. 1). 2001 OECD-ის ზრდის კვლევამ გამოავლინა მეწარმეობა და ინოვაცია, როგორც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ეკონომიკური ზრდის ოთხი მიკროეკონომიკური მამოძრავებელი ფაქტორთაგანი (დანარჩენი ორი არის ადამიანური კაპიტალი და ICT). ჰოფმანი (2005) ასახელებს მეწარმეობას, როგორც ინოვაციის ოთხი მამოძრავებელიდან ერთ-ერთს, ადამიანურ რესურსებთან, ცოდნის მშენებლობასა და გაზიარებასთან და ICT-სთან ერთად. გაბრი და ჰოფმანი (2006) ვარაუდობენ, რომ მეწარმეობის ხუთი მამოძრავებელი ძალაა. აქედან, მათ შეიმუშავეს მეწარმეობის ზრდის მამოძრავებლების ზოგადი პოლიტიკის ჩარჩო, რომელსაც ისინი განმარტავენ ინოვაციური (მაღალი ზრდის) მეწარმეობის თვალსაზრისით. არუნდელისა და ჰოლანდის (2005) აზრით, მეწარმეობა შესაძლოა იყოს ინოვაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა, მაგრამ ასევე ერთ-ერთი ყველაზე რთული გასაზომი, რადგან ის მოიცავს რისკებისადმი დამოკიდებულებას, შესაძლებლობებს, რომლებიც ამცირებს რისკს, ახალი იდეებისადმი მიმღებლობას და წვდომას.

(Lundstro¨ m and Stevenson 2005) ასკვნიან, რომ პოლიტიკა „ინოვაციური“ მეწარმეობის სასარგებლოდ უნდა განიხილებოდეს „ჰოლისტური“ მეწარმეობის პოლიტიკის ჩარჩოს კონტექსტში. ასეთი პოლიტიკა ეხება რიგ საკითხებს, როგორებიცაა მეწარმეობის კულტურის სოციალური მხარდაჭერა; მეწარმეობის ხელშეწყობა; სამეწარმეო განათლება სკოლებში. ასევე უნდა გადაიჭრას ზოგადი ადმინისტრაციული, მარეგულირებელი და საკანონმდებლო ბარიერები ბიზნესის შესვლისთვის, მოქნილი შრომის ბაზრისთვის, საწყისი და დამწყები დაფინანსებისთვის, ასევე ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებები ახალბედა მეწარმეების განვითარებისთვის, რათა მათ განახორციელონ ნებისმიერი სახის ბიზნესიდეა. „ინოვაციური მეწარმეობის“ პოლიტიკის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკის ეფექტიანობა შეიძლება შეფერხდეს, თუ მეწარმეობის კულტურა განუვითარებელია, ბიზნესის მფლობელების სიმჭიდროვე ძალიან მცირეა, არ არის განათლების მხარდაჭერის სრული სპექტრი და ასე შემდეგ.

კარგად მოქმედი პოლიტიკა უნდა იყოს ან (ა) ზოგადად მეწარმეობის წახალისება, ან (ბ) ყოვლისმომცველი ფოკუსირება მაღალი მზარდი ფირმების შექმნაზე (შეიძლება საჭირო გახდეს ძვირადღირებული სისტემის შექმნა).

ამრიგად, ინოვაციური მეწარმეობის პოლიტიკა უნდა იყოს ძალიან მკაფიო იმის შესახებ, არის თუ არა მისი მიზანი, წაახალისოს დიდი რაოდენობის სამეწარმეო ფირმების

შექმნა, თუ ის შექმნილია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს უფრო მცირე რაოდენობის სწრაფად მზარდი ფირმების შექმნას. ეს პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც აუცილებელია მათ მისაღწევად, სავარაუდოდ, სრულიად განსხვავებული იქნება.



ნახ.1 ეკონომიკური ზრდის, ინოვაციებისა და მენარმეობის მამოძრავებელი ძალები

საქართველოს ინოვაციური მეწარმეობის პოლიტიკის ძირითადი შედეგები და გამოწვევები

მეწარმეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა დამოუკიდებლობიდან დღემდე არაერთ ეფექტიან ევოლუციას ითვლის, რომლის მიზანიც მეწამეობის მოტივაციის ზრდაა. შედეგად, მეწარმეთა კანონმდებლობა მოწინავეა მეწარმეთა ხელშეწყოფისა და ბიუროკრატიული სიმარტივის კუთხით. რაც შეეხება ინოვაციის შესახებ კანონმდებლობას, საქართველომ ის 2016 წელს მიიღო და 2023 წელს განახორციელა რიგი ცვლილებები კანონში. ძირითადად ინოვაციის შესახებ კანონმდებლობაში განისაზღვრა საჯარო სამართლის იურდიულ პირად საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელის სახელმწიფო და საერთაშორისო პარტნიორების დახმარების შედეგად ახორციელებს ინოვაციების სტიმულირებას ქვეყანაში სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების, სუბსიდიებისა და გრანტების გაცემის კუთხით. ასევე ინოვაციების შესახებ კანონში განსაძღვრულია ინოვაციების ხელშემწყობი ინფრასტუქტურის სუბიექტები და მათი ფუნქცია-მოვალეობები.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მუშაობის ანალიზის საფუძველზე (2018-2024 ივნისი) გამოიკვეთა, რომ გაცემული გრანტები და სუბსიდიები მკვეთრად ცენტრალიზებულია და მათი 90 პროცენტზე მეტი გაცემულია თბილისში რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებზე (ჯამურად 223 ბენეფიციარი), რაც, ერთი მხრივ, რეგიონული ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის ცენტრალიზებულობაზე მეტყველებს. სააგენტომ სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად 2016 წლიდან დღემდე არაერთი დახმარება და კრედიტი აიღო საერთაშორისო პარტნიორებისგან, კერძოდ: მსოფლიო ბანკი IBRD-დან; Erasmus + Programme of the European Union; ევროკავშირი; ფონდი – მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ; ევროკავშირი – „ICT-ის გაძლიერებული უნარების მხარდაჭერა; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). 2018-2023 წელში ინოვაციების მხარდასაჭერად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 63,732.88 ათასი ლარი.

ცხრილი 1.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ
გაცემული გრანტების განაწილება ბენეფიციარებზე ადგილმდებარეობის
მიხედვით (2018-2024 (ივნისი) წლები)

ქალაქი

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	ახმეტა	1	.4	.4	.4
	ახმეტის რაიონი, ს. ქვემო ალვანი	1	.4	.4	.8
	ბათუმი	5	2.0	2.0	2.8
	ბაღდათი	1	.4	.4	3.3
	გორი	3	1.2	1.2	4.5
	ზუგდიდი	1	.4	.4	4.9
	თბილისი	223	90.7	90.7	95.5
	თელავი	3	1.2	1.2	96.7
	მცხეთა	2	.8	.8	97.6
	საჩხერე	1	.4	.4	98.0
	ქარელი	1	.4	.4	98.4
	ქუთაისი	4	1.6	1.6	100.0
	Total	246	100.0	100.0	

ინოვაციური მეწარმეობისთვის აუცილებელია ბიზნესინკუბატორები, ტექნოლოგიური პარკები და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, რომლებიც ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას უწყობენ ხელს. სახელმწიფოსა და ინოვაციური სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოში ფუნქციონირებს რვა ერთეული ტექნოლოგიური პარკი - ერთი დედაქალაქში, ხოლო შვიდი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ტექნოპარკებით მოსარგებლეთა რაოდენობა ყოველწლიურად რეკორდულად იზრდება და 2023 წლისთვის ჯამურად 18 000 -სს მიაღწია. ტექნოპარკების ბენეფიციარები მეწარმეობის მხარდაჭერასთან ერთად განათლებასაც იღებენ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, მუდმივად მზარდია იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც განახორციელეს ინოვაციები მომსახურებასა თუ საქონლის წარმოების დროს 2023 წლის მონაცემებთ საწარმოთა 13 პროცენტს ჰქონდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, 2024 c) განხორციელებული ინოვაცია მომსახურებასა ან პროდუქტის წარმოებისას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილი ზომის საწარმოების წილი ინოვაციების განხორციელებისას

მუდმივად ჭარბობს მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობას. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, საწარმოთა გამოკითხვის შედეგად საწარმოს მიერ შემუშავებული ინოვაცია იყო უნიკალური და საწარმოსთვის შექმნილი, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ინოვაციის დონესს და საქართველოში დარეგისტრირებულ პატენტების რაოდენობას. იმავდროულად, ამავე გამოკითხვის თანახმად, 2022-2023 წლებში წინა წლებთან შედარებით მკვეთრად შემცირებულია უცხოელი ფინანსური პარტნიორების წილი საწარმოებისთვის ინოვაციის განხორციელების პროცესში.

გლობალური ინოვაციის ინდექსის (GII) მიხედვით, საქართველო 2023 წელს 132 ქვეყანას შორის 65-ე ადგილს იკავებს რაც 2022 წლის მონაცემთან შედარებით გაუმჯობესებაა, თუმცა ბოლო წლების მონაცემებთან შედარებით მკვეთრი გაუარესებაა აღნიშნულით საქართველო 2020-21 წლებში 63-ე ადგილს იკავებდა. (WIPO, 2023) სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციებისა და მეწარმეობის დაფინანსება წლიდან წლამდე იზრდება, ასევე იზრდება კვლევითი დაწესებულებების რაოდენობა მათ მიერ შესრულებულ საქმეთა ღირებულებასთან ერთად, ასევე მუდმივად მზარდია რაოდენობრივად განათლებული სამუშაო ძალის პოპულაციაც. მიუხედავად ამისა, უარესდება ინოვაციის საერთაშორისო მაჩვენებელი, ასევე, მეწარმეობის ხარისხიც და პატენტების რაოდენობაც წილიდან-წლამდე მცირდება და მერყეობს ორმოცი ერთეულის ფარგლებში.

დასკვნა

საქართველო უკვე რამდენიმე წელია ინარჩუნებს ეკონომიკური ზრდის სტაბილურ ტემპს, თუმცა ინოვაციური მეწარმეობის წილი ჯერ კიდევ დაბალია, რაც გარდამავალი ეკონომიკის განვითარებადი ქვეყნისთვისთვის ბუნებრივია და საჭიროებს საერთაშორისო კავშირების მეტ ჩართულობას. საქართველო აქტიურად მუშაობს ინოვაციების განვითარების მიმართულებით, შექმნილია სხვადასხვა პროგრამა და ინიციატივა, როგორებიცაა „სტარტაპ საქართველო“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საააგენტო“, თუმცა საქართველოს ეროვნულ დონეზე მართებს მეწარმეობის სტიმულირებისთვის რეგიონული ინოვაციური მეწარმეობის ფართო მხარდაჭერა.

ინოვაციური მეწარმეებისათვის დაფინანსების მოპოვება ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს. ადგილობრივ ბაზარზე კაპიტალის ნაკლებობა და ინვესტორების რისკის გაუთვალისწინებლობა ხელს უშლის განვითარებას. კვლევისა და R&D სექტორის სუსტი განვითარება აფერხებს ინოვაციური იდეების სრულყოფას და კომერციალიზაციას. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ჯერ კიდევ არსებობს ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომლებიც აფერხებს სტარტაპების ზრდას. აუცილებელია, მეტი ყურადღება მიექცეს ფინანსური ინსტრუმენტების შექმნას, რომლებიც დაეხმარება სტარტაპებს ადრეულ ეტაპზე განვითარებაში, განსაკუთრებით უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაში მაღალტექნოლოგიური განვითარების ქვეყნებიდან. აუცილებელია ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება, რაც გაამარტივებს ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას. უმაღლესი განათლების დაწესებულებების როლი უნდა გაიზარდოს ინოვაციური იდეების გენერირებასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციაში. მნიშვნელოვანია განათლების დონის ზრდასთან ერთად ხარისხობრივი მახასიათებლის გაუმჯობესებაც.

ინოვაციური მეწარმეობის მხარდამჭერი საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესება აუცილებელია, რათა ბიზნესებს ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობები და მოქნილობა. ინოვა-

ციური მეწარმეობის პოლიტიკა საქართველოში მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის, თუმცა ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევაა. აუცილებელია სისტემური და სტრატეგიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებული იქნება გრძელვადიან გეგმაზე და მოიცავს ყველა საკვანძო კომპონენტს, როგორებიცაა ფინანსური მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება და საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესება. ასევე აუცილებელია ეროვნულ დონეზე ინოვაციური მეწარმეობის კომპონენტების დამუშავებისთვის გადაიხედოს მონაცემთა შეგროვების არსებული მეთოდი, რათა სამომავლო კვლევებისთვის არსებობდეს სანდო ბაზისური მონაცემები. მხოლოდ ამგვარი მიდგომითაა შესაძლებელი ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მყარი საფუძვლების შექმნა და საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024 a), სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით https://www.geostat.ge/ka/modules/categories/-683/dasakmeba-umushevro
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024 b), სამეცნიერო კვლევითი საქმიანობით დაკავებული დაწესებულებები და პატენტების რაოდენობა https://www.geostat.ge/ka/-modules/categories/194/metsniereba
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024 c), საწარმოთა ინოვაციური აქტივობა https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba
4. შენგელია, თ. (2020) გლობალური ბიზნესი. თბილისი: უნივერსალი.
5. შენგელია, თ (2019) *ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები*. თბილისი. უნივერსალი
6. პაპავა ლ. (2020) *არატრადიციული ეკონომიკსი*. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. (თავი 13)
7. Golden, W., Higgins, E., & Lee, S. (2003). *National innovation systems and entrepreneurship. Centre for Innovation & Struc- tural Change* (CISC) Working Paper No. 8. Galway, Ireland: National University of Ireland. (მაისი 15, 2024) from http://www.nuigalway.ie/cisc
8. Hollanders, H., & Arundel, A. (2006). *European innovation score- board 2005, innovation and economic performance.* Brussels: Enterprise Directorate-General, The Innovation/SMEs Programme, European Commission.
9. Lindholm D. Stevenson L (2010) *Innovative entrepreneurship policy: linking innovation and entrepreneurship in a European context* . School of Economics and Technology, Halmstad University, Halmstad, Sweden.
10. World Intellectual Property Organization (WIPO) (2023) Citation: The Global Innovation Index 2023. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202024/%E1%83%91%E1%83%A0%E1%8%9D%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%20-%202024..pdf

უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის გამოყენებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება

გრიგოლ ქარცივაძე
თსუ მაგისტრანტი

სტატიაში განხილულია ChatGPT-ის, ხელოვნურ ინტელექტზე (AI) დაფუძნებული ტექნოლოგიის, პოტენციალი, რომელსაც შეუძლია, რევოლუცია მოახდინოს უმაღლესი განათლების სწავლების პროცესში. კვლევის მიზანია, შეიქმნას მოდელი, რომელიც შეისწავლის ChatGPT-ის მიღებისა და გამოყენების პროგნოზებს სტუდენტებს შორის უმაღლეს სასწავლებლებში.

სტატიაში შესრულებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სამუშაო: განხილულია და გაანალიზებულია თეორიული ლიტერატურა საკვლევი თემის გარშემო, ჩატარებულია კვლევა, რომელიც შეისწავლის ChatGPT-ის გამოყენებისადმი სტუდენტთა დამოკიდებულებას უმაღლეს განათლებაში.

ამ კვლევის მიზანია, შეისწავლოს და გააანალიზოს ChatGPT-ის გავლენა სტუდენტების აკადემიურ საქმიანობაზე, მათი ქცევითი განზრახვები და მზაობა ახალი ტექნოლოგიების მიღებისა და გამოყენების კუთხით.

კვლევამ აჩვენა, რომ ChatGPT-ის გამოყენება უმაღლეს განათლებაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტების აკადემიურ წარმატებაზე და მათ ჩართულობაზე სწავლის პროცესში. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტების უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს ChatGPT-ის გამოყენებას და მიიჩნევს, რომ იგი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სწავლის პროცესს.

ნაშრომის მთავარი ღირებულება ისაა, რომ იგი პირველად შეისწავლის ChatGPT-ის გამოყენების გავლენას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს განათლების სისტემის გაუმჯობესებისთვის და ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვისთვის. ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები დაეხმარება უნივერსიტეტებსა და სტუდენტებს ChatGPT-ის გამოყენების ოპტიმალური გზების განსაზღვრასა და მისგან მაქსიმალური სარგებლის მიღებაში.

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი, უმაღლესი განთლება, ChatGPT, სტუდენტების დამოკიდებულება.*

ChatGPT არის ჩათბოტი, შექმნილი OpenAI-ის მიერ, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის ნოემბერში და ხელმისაწვდომია უფასოდ OpenAI-ის ანგარიშის მეშვეობით. ამ ტექნოლოგიაში გამოყენებულია LLM(Large language model) მოდელები, რომლებიც საშუალებას იძლევა, შეიქმნას ორიგინალური ტექსტი მომხმარებლის მოთხოვნის მიხედვით (OpenAI, 2023). ეს ჩათბოტები ავტომატურად ასრულებენ ამოცანებს, უზრუნველყოფენ პერსონალიზებულ სწავლებას და სთავაზობენ მომხმარებელს ადეკვატურ, რელევანტურ პასუხებს დასმულ კითხვებზე (Abbas et al., 2022; Mijwil & Aljanabi, 2023).

OpenAI-მ ცოტა ხნის წინ წარადგინა უახლესი ენობრივი მოდელი GPT-4, რომელიც ნაწილობრივ ინტეგრირებულია ChatGPT Plus-ში. GPT-4-ს შეუძლია ფოტო გამოსახულებების და ტექსტების დამუშავება. დროთა განმავლობაში სწავლისა და ადაპტაციის შესაძლებლობებით, ChatGPT-ს აქვს პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია განათლებაში, გააუმჯობესოს მისი ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა სტუდენტებისთვის მთელ მსოფლიოში (Mijwil et al., 2023; Nazaretsky et al., 2022).

ChatGPT ტექნოლოგიაა, რომელიც სავარაუდოდ შეცვლის ტრადიციული აკადემიური საქმიანობის პროცესს და იგი უკვე გამოიყენება მილიონობით პროფესორისა და სტუდენტის მიერ გლობალურად (Lo, 2023; Sullivan et al., 2023).

უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის გამოყენება სულ უფრო პოპულარული ხდება, რაც ზრდის მის როლს სწავლების პროცესში. ეს ტექნოლოგია სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ პერსონალიზებული სწავლის გამოცდილება და სწორად და ადეკვატურად უპასუხონ კითხვებს.

ChatGPT-ის აკადემიური საქმიანობისთვის გამოყენების თემის აქტუალურობა იზრდება ყოველდღე და ამ ტექნოლოგიის შესწავლა და მისი განათლებაში გამოყენების შედეგების ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც განათლების სისტემის გაუმჯობესებისთვის, ისე სტუდენტების მომავალი პროფესიული განვითარებისთვის.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია მომხმარებელთა ქცევა, ხოლო ობიექტია: ChatGPT-ის აკადემიური მიზნებისთვის გამოყენების გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს რაოდენობრივ კვლევას, რომლის მიზანია შეისწავლოს და გააანალიზოს სტუდენტების დამოკიდებულება ChatGPT-ის გამოყენების მიმართ უმაღლეს განათლებაში. მონაცემები შეგროვდა ანკეტირების მეშვეობით, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა კითხვებს, რომლებიც ეფუძნებოდა UTAUT 2 მოდელს. რესპონდენტები შეირჩნენ მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

მონაცემები გაანალიზდა SPSS-29 პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. ანალიზი მოიცავდა დესკრიპტიულ სტატისტიკას, კორელაციებს და რეგრესიის ანალიზს, რათა შეფასებულიყო ცვლადებს შორის კავშირი და ზეგავლენა.

ChatGPT-ის როლი განათლების სფეროში

ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებამ რევოლუცია მოახდინა განათლების სფეროში. იგი გავლენას ახდენს სტუდენტების ცოდნის მიღების პროცესზე და აძლევს მათ უზარმაზარ ინფორმაციაზე წვდომის საშუალებას (Rudolph & Tan, 2023).

ბევრი პედაგოგი განიხილავს ChatGPT-ს, როგორც აკადემიური პროცესების გაუმჯობესების ხელსაწყოს, თუმცა არსებობს პედაგოგთა ჯგუფი, რომელიც აღნიშნავს რისკებს, რომლებიც შეიძლება ახლდეს ChatGPT-ის გამოყენებას, რადგან სტუდენტემა შესაძლოა ბოროტად გამოიყენონ ეს ტექნოლოგია (Baidoo & Owusu, 2023).

ChatGPT საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მიიღონ დიდი მოცულობის ინფორმაცია და გაიღრმაონ ცოდნა (Cotton et al., 2023). მას შეუძლია სტუდენტებთან ერთად მუშაობა, კომენტარებისა და შენიშვნების მიწოდება შესრულებულ დავალებებზე, რაც უფრო ეფექტურად სწავლის საშუალებას იძლევა და ზოგავს დროს. იგი ასევე ეხმარება მათ საშინაო დავალებების შესრულებაში და სწრაფად პასუხობს ნებისმიერ კითხვას (Khalil & Er, 2023) (Williamson et al, 2023).

ChatGPT-ს შეუძლია ტექსტების ზუსტად თარგმნა, რაც სტუდენტებს წერითი უნარების გაუმჯობესებაში ეხმარება (Rudolph & Tan, 2023). გარდა ამისა, ChatGPT-ს შეუძლია შეაფასოს სტუდენტების ცოდნა და უნარები, აგრეთვე გააცნოს მათ პროგრესის დონე და პრობლემების გადაჭრის გზები (Baidoo & Owusu, 2023). ამ გზით, ChatGPT ეხმარება სტუდენტებს თვითსწავლაში, ინტერაქტიული და თამაშზე დაფუძნებული შეფასებების სისტემის შექმნაში, რაც ზრდის მათ ჩართულობას და ხელს უწყობს დისტანციურ სწავ-

ლებას (Cotton et al., 2023). შედეგად, სტუდენტების ჩართულობა და აკადემიური მოსწრების ხარისხი იზრდება (Susnjak, 2022).

მიუხედავად იმისა, რომ ChatGPT სასარგებელოა სტუდენტებისთვის, მისი გამოყენება განათლების კონტექსტში შეიძლება იყოს სხვადასხვა ეთიკური დარღვევის გამომწვევი მიზეზი. მართლაც, ბევრი ეთიკური საკითხი, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხიც დგება ეჭვქვეშ და ამან შეიძლება წარმოშვას პრობლემები ChatGPT-ის გამოყენებისას აკადემიურ საქმიანობაში (Rahimi et al., 2023) (Sallam, 2023). მაგალითად, ChatGPT-მა შეიძლება უნებლიეთ მოგვაწოდოს ისეთი პასუხები, რომლებიც შეიძლება მომხმარებლის მიერ მოთხოვნილ საკითხთან ახლოს იყოს, თუმცა შინაარსი ისე დააგენერიროს, რომ სტუდენტმა ვერ გამოიტანონ აზრი მიწოდებული ინფორმაციიდან (Rahimi & Abadi, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩატბოტს შეუძლია კითხვების ფართო სპექტრის პასუხების გენერირება, არსებობს რისკი იმისა, რომ პასუხები შეიძლება იყოს არაზუსტი ან მიკერძოებული. შესაბამისად, აკადემიური კვლევისა და სწავლებისას, თუ კი გავრცელდება არასწორი, არაზუსტი ან მიკერძოებული ინფორმაცია, ეს გამოიწვევს სერიოზულ ნეგატიურ შედეგებს. მართლაც, სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ კონკრეტულ გარემოებებში, ChatGPT-მა ზოგჯერ შეიძლება დააგენერიროს არაზუსტი ინფორმაცია, როგორიცაა ცნობები, ციტატები, მათემატიკური გამოთვლები და სამეცნიერო დასკვნები (Lund et al., 2023).

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ChatGPT-ის გამოყენების ეთიკურ და აკადემიურ საკითხებს, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ მისი შესაძლებლობები და ვაკონტროლოთ სავარაუდო რისკები. ChatGPT-ს შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს სწავლების პროცესები და გაზარდოს აკადემიური მუშაობის ხარისხი, რაც მის სარგებელს, რისკებთან შედარებით, აძლიერებს (Baidoo & Owusu, 2023) (Cotton et al., 2023).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- მოსამზადებელი;
- ძირითადი;
- მონაცემების დამუშავების;
- მონაცემთა ანალიზის.

ლიტერატურის მიმოხილვისთვის პირდაპირი კვლევის ჩასატარებლად, კვლევის დასაწყისში შეგროვდა მეორეული მონაცემები კვლევის თემასთან დაკავშირებით. უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის გამოყენებისადმი სტუდენტების დამოკიდებულების კვლევის არსებული თეორიების ანალიზისა და ახალი ინფორმაციის განზოგადებისთვის, კვლევაში გამოყენებულია დედუქციური მეთოდი (Bryman & Bell, 2011). ჩვენი კვლევის დიზაინი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: აუცილებელი ინფორმაციის განსაზღვრა, კვლევის მეთოდების შერჩევა, ანკეტის შემუშავება და გაზომვის მახასიათებლის დადგენა, შერჩევის ზომის გაანგარიშება და მონაცემების ანალიზი (Malhotra, 2010). კვლევისათვის შესაფერისია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, აღწერითი კვლევა. კვლევაში გამოყენებულია რესპონდენტთა ონლაინ გამოკითხვის მეთოდი, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შეირჩა რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შემდგარი ანკეტა.

გენერალური ერთობლიობის შესასწავლად გამოყენებულია საალბათო შერჩევის მეთოდი. კვლევის არე საქართველოა.

კვლევის ანალიზი

საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა 3.694 მილიონ ადამიანს შეადგენს. მათ შორის, უმაღლესი და პროფესიული განათლების სტუდენტების, დოქტორანტების და პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა 192588-ია. ეს ჯგუფი წარმოადგენს კვლევის მიზნობრივ გენერალურ ერთობლიობას (საქსტატი, 2024). ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე და კრეიჩისა და მორგანის ფორმულის გამოყენებით, შერჩევის ზომა გვექნება: 384 ადამიანი.

სოციალური ქსელებისა და პირისპირ გამოკითხვის მეშვეობით, ჯამში 470 რესპონდენტს დავუკავშირდით. შერჩევის დემოგრაფიული სტრუქტურა ნაჩვენებია 1-ელ ცხრილში. კითხვაზე: ხართ თუ არა ChatGPT-ის მომხმარებელი? 390-მა რესპონდენტმა (82.9%) უპასუხა დადებითად. ამ მომხმარებლებიდან 231 (59.2%) ქალი იყო, ხოლო 159 (40.8%) – მამაკაცი. მიღებული მონაცემები SPSS-29 პროგრამის გამოყენებით დამუშავდა. სულ გამოიკითხა 470 რესპონდენტი. გამოკითხულთა 17,1% (N=80) არ არის ChatGPT-ის მომხმარებელი, ხოლო 82,9% (N=390) იყნებს ChatGPT-ის აკადემიურ საქმინობაში (იხ. დიაგრამა 1).

ცხრილი 1.

შერჩევის დემოგრაფიული სტრუქტურა (N=390)

ცვლადები	**სიხშირე(%)**	**ცვლადები**	**სიხშირე(%)**
განათლება		**ასაკი**	
არასრული უმაღლესი განათლება(სტუდენტი)	187(47,9%)	18-25 წელი	322(82,6%)
პროფესიული განათლება	10(2.6%)	26-35 წელი	52(13,3%)
ბაკალავრი	119(30,5%)	36-45 წელი	12(3,1%)
მაგისტრი	71(18,2%)	46-ზე წელზე მეტი	4(1%)
დოქტორი	3(0.8%)		

დიაგრამა 1 ასახავს, თუ რამდენი ხანია იყენებენ სტუდენტები ChatGPT-ის აკადემიური მიზნებისთვის. უმრავლესობა (51.3%) მას 6 თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში იყენებს. 27.2% იყენებს 6 თვიდან 1 წლამდე, 16.7% 1-დან 2 წლამდე, ხოლო 4.9% მას 2 წელზე მეტი ხანია იყენებს. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ChatGPT-ის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის ჯერ კიდევ ახალია სტუდენტებისთვის. გამოკითხულთა უმეტესობამ (51.3%) ახლახანს დაიწყო ამ ინსტრუმენტის გამოყენება, რაც, სავარაუდოდ, მიუთითებს ChatGPT-ის პოპულარობის ზრდას ბოლო პერიოდში (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 1.

აკადემიური მიზნებისათვის ChatGPT -ის გამოყენების ხანგრძლივობა



წყარო: ავტორი

დიაგრამა 2.

აკადემიური მიზნებისათვის ChatGPT -ის გამოყენების სიხშირე



წყარო: ავტორი

მე-2 დიაგრამა აჩვენებს, რომ სტუდენტების 6.4% ყოველდღე იყენებს ChatGPT-ის, 23.8% – კვირაში რამდენჯერმე, 7.2% – კვირაში ერთხელ, 21.8% – თვეში რამდენჯერმე, ხოლო 40.8% იშვიათად. უმრავლესობა (40.8%) იშვიათად იყენებს ChatGPT-ს, ხოლო 23.8% კვირაში რამდენჯერმე. ეს შეიძლება მიანიშნებდეს, რომ ChatGPT ხშირად გამოიყენება კონკრეტული დავალებებისა და კვლევებისთვის, თუმცა ჯერ კიდევ არ არის ინტეგრირებული ყოველდღიურ აკადემიურ პროცესებში.

დიაგრამა 3.

აკადემიური მიზნებისათვის ChatGPT -ის გამოყენების სარგებლიანობის დონე



წყარო: ავტორი

კითხვაზე, თუ როგორ შეაფასებენ სტუდენტები ChatGPT-ის სარგებლიანობას აკადემიური მიზნებისთვის, 25.9% პასუხობს, რომ ChatGPT ძალიან სასარგებლოა, 42.1% თვლის, რომ ის სასარგებლოა, 17.2%-ს ნეიტრალური პოზიცია უჭირავს, 14.1% მიიჩნევს, რომ გარკვეულწილად სასარგებლოა, ხოლო 0.8% ფიქრობს, რომ ChatGPT უსარგებლოა. უმრავლესობა (68%) მიიჩნევს, რომ ChatGPT სასარგებლოა ან ძალიან სასარგებლოა აკადემიური მიზნებისთვის, რაც მიუთითებს, რომ ამ ინსტრუმენტს მაღალი შეფასება აქვს სტუდენტებში. მხოლოდ 0.8% ფიქრობს, რომ ის აკადემიური მიზნებისთვის უსარგებლოა (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4.

აკადემიური მიზნებისათვის ChatGPT-ის გამოყენებაზე დახარჯული დრო



წყარო: ავტორი

მე-4 დიაგრამის მიხევით სტუდენტების 23.8% ხარჯავს 10 წუთამდე დროს ChatGPT-ის გამოყენებაში, 44.1% 10-30 წუთს, 23.3% 30 წუთიდან 1 საათამდე, 6.4% 1-2 საათს, ხო-

ლო 2.3% 2 საათზე მეტს. ზემოაღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ სტუდენტების უმრავლესობა (67.9%) იყენებს ChatGPT-ს 0-30 წუთის განმავლობაში თითო სესიის დროს, რაც მიუთითებს ინსტრუმენტის ეფექტურ და ოპტიმალურ გამოყენებაზე მოკლე დროში.

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ChatGPT მალე უფრო პოპულარული გახდება სტუდენტებში, განსაკუთრებით მათ შორის, ვინც ახლახან დაიწყო მისი გამოყენება. სტუდენტების უმეტესობა პოზიტიურად აფასებს ChatGPT-ის სარგებლიანობას და ეფექტურად იყენებს მას, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის არ არის მათი ძირითადი ინფორმაციის წყარო. გამოყენების სიხშირის და დროის ხარჯვის მიხედვით, ChatGPT სტუდენტებისთვის სწრაფი და ეფექტური ინფორმაციის მიღების საშუალებას წარმოადგენს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის გამოყენებისადმი დამოკიდებულება დადებითია. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტები დადებითად აფასებენ ChatGPT-ის პრაქტიკულობას და სარგებლიანობას სწავლების პროცესში. ChatGPT-ის წარმატებული ინტეგრაცია სასწავლო პროცესში შესაძლებელი გახდა მისი ხელმისაწვდომობისა და მარტივად გამოყენების გამო, რაც ხელს უწყობს მის გავრცელებას განათლების სხვადასხვა სფეროებში.

ChatGPT-ის მიერ გენერირებული ინფორმაცია სტუდენტების უმეტესობისთვის საკმარისად ზუსტი და სანდოა, რაც ხელს უწყობს მის აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. სტუდენტები მზად არიან გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები და მათი გამოყენება არ წარმოადგენს სირთულეს. ChatGPT-ის გამოყენების განზრახვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტუდენტების ინოვაციური მიდგომებისადმი მზადყოფნაზე. ChatGPT-ის გამოყენების გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს სხვა სტუდენტების და პედაგოგების მოსაზრებები და შეხედულებები, რაც მიუთითებს სოციალურ გავლენაზე.

ChatGPT-ის გამოყენების ქცევითი განზრახვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სტუდენტების ინტერაქციას, რაც ზრდის სტუდენტების ჩართულობას და სწავლის ხარისხს. მისი გამოყენების შედეგად სტუდენტებში კმაყოფილების დონე მაღალია, რაც აჩვენებს მის დადებით გავლენას სასწავლო პროცესზე. მისი გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიურ წარმატებას, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, უკეთესად მოემზადონ გამოცდებისთვის და სრულფასოვნად დაეუფლონ სასწავლო მასალას.

ChatGPT-ის ინტეგრაციისა და გამოყენების კვლევა შეიძლება გახდეს პლატფორმა სხვა ინოვაციური ტექნოლოგიების შესწავლისთვის, რაც გააუმჯობესებს განათლების ხარისხს და ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის განვითარებას.

იმისათვის, რომ ChatGPT-ის გამოყენება უმაღლეს განათლებაში უფრო ეფექტური და პროდუქტიული იყოს, შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები:

საჭიროა პედაგოგების და სტუდენტების ინფორმირება ChatGPT-ის შესაძლებლობებისა და მისი გამოყენების გზების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მის სრულფასოვნად გამოყენებას სასწავლო პროცესში.

- აუცილებელია ChatGPT-ის მიერ გენერირებული ინფორმაციის სიზუსტისა და სანდოობის მონიტორინგი და გაუმჯობესება, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო შეცდომები და მიკერძოებები.

- ChatGPT-ის ინტერაქტიული ფუნქციების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სტუდენტების ჩართულობას და სწავლების პროცესის უფრო ინტერაქტიულ და საინტერესო გახდება.
- აუცილებელია ChatGPT-ის გამოყენების შესახებ პოზიტიური ინფორმაციის გავრცელება და მისი სარგებლის წარმოჩენა, რათა გაიზარდოს სტუდენტების და პედაგოგების ჩართულობა.
- სხვადასხვა უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის კოლაბორაცია და ChatGPT-ის გამოყენების გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.
- საჭიროა სტუდენტებისა და პედაგოგების რეგულარული უკუკავშირის შეგროვება ChatGPT-ის გამოყენების შესახებ, რათა მისი ფუნქციები მუდმივად გაუმჯობესდეს და ადაპტირდეს მომხმარებელთა მოთხოვნებთან

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024, 07 16). *უმაღლესი განათლება. ინტერნეტრესურსი*. Retrieved from https://www.geostat.ge: https://www.geostat.ge/ka/modules/-categories/61/umaghlesi-ganatleba
2. Abbas, N., Whitfield, J., Atwell, E., Bowman, H., Pickard, T., &. (2022). Online chat and chatbots to enhance mature studentengagement in higher education. *International Journal ofLifelong Education*. Retrieved from https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/02601370.2022.2066213
3. Baidoo, A., & Owusu, A. (2023). Education in the Era of Generative Artificial Intelligence (AI): Understanding the Potential Benefits of ChatGPT in Promoting Teaching and Learning. *SSRNElectronic Journal*. Retrieved from https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4337484
4. Bryman A., & Bell E. (2011). Business Research Methods. 3rd Edition. *New York: Oxford University Press*.
5. Cotton, D. R., Cotton, P. A., & Shipway, J. R. (2023). Chatting and cheating: Ensuring academic integrity in the era of ChatGPT. *Innovations in Education and Teaching International*. Retrieved from https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14703297.2023.2190148
6. Khalil, M., & Er, E. (2023). Will ChatGPT get you caught? Rethinking of Plagiarism Detection. *arXiv preprint arXiv:2302.04335*. Retrieved from https://arxiv.org/abs/2302.04335
7. Krejcie R. V. & Morgan D. W. (1970). Determining Sample Size for Research Activities. *Educational and Psychological Measurement*, 607-610.
8. Lo, C. K. (2023). What is the impact of ChatGPT on education? A rapid review of the literature. *Education Sciences*. Retrieved from https://www.mdpi.com/2227-7102/13/4/410
9. Lund, B. D., Wang, T., Mannuru, N. R., Nie, B., Shimray, S., &Wang, Z. (2023). ChatGPT and a new academic reality: ArtificialIntelligence-written research papers and the ethics of the largelanguage models in scholarly publishing. *ournal of the Association forInformation Science and Technology*. Retrieved from https://asistdl.onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/asi.24750
10. Malhotra, N. (2010). Marketing Research: An Applied Orientation. *Pearson Education*.
11. Mijwil, M., & Aljanabi, M. (2023). Towards artificial intelligence-basedcybersecurity: The practices and ChatGPT generated ways to combatcybercrime. *Iraqi Journal for Computer Science and Mathematics*. Retrieved from https://journal.esj.edu.iq/index.php/IJCM/article/view/538
12. Mijwil, M., Aljanabi, M., & Ali, A. H. (2023). ChatGPT: Exploring therole of cybersecurity in the protection of medical information. *Mesopotamian Journal of Cyber Security*. Retrieved from https://journals.mesopotamian.press/index.php/CyberSecurity/article/view/29
13. Nazaretsky, T., Ariely, M., Cukurova, M., & Alexandron, G. (2022). Teachers' trust in AI-powered educational technology and a professionaldevelopment program to improve it. *British Journal of*

EducationalTechnology. Retrieved from https://bera-journals.onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/bjet.-13232

14. OpenAI. (2023). *ChatGPT: Optimizing language models for dialogue*. Retrieved from https://openai.com: https://openai.com/index/chatgpt/
15. Rahim, N. I. M., Iahad, N. A., Yusof, A. F., & Al-Sharafi, M. A. (2022). AI-Based Chatbots adoption model for higher-education institutions:A hybrid PLS-SEM-neural network modelling approach. *Sustainability*. Retrieved from https://www.mdpi.com/2071-1050/14/19/12726
16. Rahimi, F., & Abadi, A. (2023). ChatGPT and publication ethics. *Archives of Medical Research*. Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0188440923000383?via%3Dihub
17. Rudolph J. & Tan S. (2023). ChatGPT: Bullshit spewer or theend of traditional assessments in higher education? *Journal ofApplied Learning & Teaching*. Retrieved from https://journals.sfu.ca/jalt/index.-php/jalt/article/view/689
18. Sallam, M. ,. (2023). ChatGPT utility in health care education, research,and practice: Systematic review on the promising perspectivesand valid concerns. *Healthcare*. Retrieved from https://www.mdpi.com/-2227-9032/11/6/887
19. Sullivan, M., Kelly, A., & McLaughlan, P. (2023). ChatGPT in higher education: Considerations for academic integrity and student learning. *Journal of Applied Learning and Teaching*. Retrieved from https://journals.sfu.ca/jalt/index.php/jalt/article/view/731
20. Susnjak, T. (2022). ChatGPT: The End of Online Exam Integrity? *arXiv:2212.09292*. Retrieved from https://arxiv.org/abs/2212.09292
21. Williamson, B., Macgilchrist, F., & Potter, J. (2023). Re-examining AI, automation and datafication in education. *Learning, Media and Technology*. Retrieved from https://www.tandfonline.com/doi/full/-10.1080/17439884.2023.2167830

„ჰოლანდიური დაავადება“: ნორვეგიული მოდელის თავისებურებანი

ჰეიდარ ალიევი
თსუ დოქტორანტი

1980-იან და 1990-იან წლებში ბევრმა მეცნიერმა გამოიკვლია ბუნებრივი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები და დაასკვნეს, რომ ამ ქვეყნებს აქვთ უარესი ეკონომიკური მაჩვენებლები და შედარებით დაბალი გრძელვადიანი ზრდის ტემპები, ვიდრე ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ ნაკლები ბუნებრივი რესურსები.

არსებობს მრავალი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის ანალიზი, რომელსაც შეუძლია ახსნას ეს უარყოფითი ურთიერთობა ეკონომიკურ ზრდასა და ბუნებრივი რესურსების სიმრავლეს შორის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებმა შეგნებულად იმოქმედონ ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას. იმის გამო, რომ ბუნებრივ რესურსებს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე სიკეთეს, თუ მათ არასწორად მართავენ ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ეს რესურსები.

ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების აღმოჩენისა, ამ ბუნებრივი რესურსების სექტორის განვითარებისა და ქვეყანაში დანარჩენი სხვა სექტორების მნიშვნელობის დაკარგვის შედეგად, ეკონომიკაში არსებული დისბალანსი ეკონომიკურ ლიტერატურაში შევიდა, როგორც ჰოლანდიური დაავადება.

ჩვენ შევეცდებით ავხსნათ ჰოლანდიური დაავადების ინფიცირების შედეგები. როგორც ცნობილია, ჰოლანდიური დაავადება იწყება ქვეყნის ვალუტის გადაფასებით და გრძელდება დეინდუსტრიალიზაციის პროცესით. ამ მიზეზების გამო, საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის მინშვნელოვანია, წარმატებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა ჰოლლანდიური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკვანძო სიტყვები: *ბუნებრივი რესურსი, ჰოლანდიური დაავადება, ნორვეგიული მოდელი, მოდელის თავისებურებები.*

საბჭოთა კავშირიდან გასვლის შემდეგ საქართველო აღმოჩნდა არასტაბილურ მდგომარეობაში. ამ ვითარებამ მკვეთრად იმოქმედა ეკონომიკასა და სოციალურ სექტორზე. დამოუკიდებლობიდან 13 წლის შემდეგ, ანუ 2003 წლიდან, საქართველომ დაიწყო სწრაფი განვითარებისა და მოდერნიზაციის პროცესი, რომელიც გრძელდებოდა ქვეყნის ყველა სფეროში. ყოველწლიურად იზრდებოდა ეკონომიკისა და შინამეურნეობების საჭიროებები.

მთავრობამ დაიწყო სწრაფი ბრძოლა კორუფციასთან და განხორციელდა საჯარო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. მთავრობის ამგვარმა პოლიტიკამ გაზარდა ქვეყნის საერთაშორისო მიმზიდველობა. ქვეყანაში უცხოურ ვალუტაში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ლარი გაამყარა. სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლისას ჰოლანდიური დაავადების ერთ-ერთი პირველი სიმპტომია ქვეყანაში მოკლე დროში შემოსული კაპიტალის დიდი რაოდენობა. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდი კაპიტალის შემოდინების შედეგად შედარებითმა სიმდიდრემ შესაძლოა უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.

იმავდროულად, ბევრი ეკონომისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსაზრება, რომ ბუნებრივი რესურსებით ეკონომიკური ზრდა ბევრ ქვეყანაში, გრძელვადიან პერსპექტივა-

ში სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით შენელდება, სადაც ბუნებრივი რესურსები შედარებით მცირეა.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნების წინაშე მდგარი გამოწვევები მრავალფეროვანი და რთულია, ისტორიაში ბევრი ცუდი მაგალითი გვხვდება იმისა, თუ როგორ უნდა გადაიტანოს ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული შემოსავლები ეკონომიკაში. ბუნებრივ რესურსებს ზოგადად აქვს მაღალი ცვალებადობა და, შესაბამისად, ძალიან რთულია არასტაბილური გარემოს მართვა.

ამ კონტექსტში, კვლევის პირველი ნაწილი შეისწავლის ჰოლანდიური დაავადების სიმპტომების მიზეზებს და მოცემული იქნება ინფორმაცია ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების შესახებ.

მეორე ნაწილში დეტალურად იქნება განხილული ნორვეგიის მოდელი და წარმატებული გამოცდილება ჰოლანდიური დავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნორვეგიამ მოახერხა თავი დაეცვა ჰოლანდიური დაავადების უარყოფითი გავლენისგან. 1969 წელს ნორვეგიაში ნავთობის აღმოჩენის შემდეგ ქვეყანის ეკონომიკა გაიზარდა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ეკონომიკად იქცა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, თუ რა მოდელს იყენებს ნორვეგია ნავთობის სექტორის მიერ მოწოდებული ამ დიდი შემოსავლების სამართავად. ამ მიზეზის გამო გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა ეს კვლევა, ვფიქრობთ, უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ნორვეგიული მოდელის შესწავლა.

მესამე ნაწილში, საქართველოს სამშენებლო სექტორთან დაკავშირებული საჭირო მონაცემების შესწავლის შემდეგ, განიხილება საქართველოს სამშენებლო სექტორზე ჰოლანდიური დაავადების სიმპტომების არსებობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხსენება არის ის, რომ ეს კვლევა არ არის ნორვეგიისა და საქართველოს ეკონომიკის შედარება და ეს კვლევა არ არის ანალიზი, რომელიც ცდილობს გაარკვიოს, განიცდიდა თუ არა ნორვეგია ან საქართველო ჰოლანდიური დაავადების გავლენას თავის ეკონომიკაზე. ეს თეზისი წარმოადგენს საფრთხის ანალიზს, რომელიც ემუქრება ბუნებრივი რესურსების ეკონომიკას და ეკონომიკას, რომელიც განიცდის დიდი რაოდენობის სავალუტო შემოდინებას.

პრობლემის აქტუალურობა

როგორც ცნობილია, ზოგადად, არსებობს მოსაზრებები და მაგალითები, რომ ბუნებრივი რესურსების მქონე ზოგიერთი ქვეყანა ეკონომიკურად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნები. თუმცა, შესაძლებელია, რომ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნები უფრო განვითარებული არიან, ვიდრე ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნები, და ამის საუკეთესო მაგალითია ის, რომ იაპონია და სამხრეთ კორეა უფრო განვითარებულია, ვიდრე ნიგერია, ვენესუელა და რუსეთი.

ასევე, ჰოლანდიური დაავადება, როგორც წესი, დამახასიათებელია ნავთობისა და გაზის ექსპორტიორი ქვეყნებისათვის. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან მდიდარი ბუნებრივი რესურსებით სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაძლოა ასევე მოუწიოთ ბრძოლა ჰოლანდიურ დაავადებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლანდიური დაავადების საკითხი აქტუალურია საქართველოსნაირი განვითარებადი ეკონომიკებისთვისაც.

კვლევის მიზანი და ამოცანები

საკვლევ საკითხს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტოსათვის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა კომერციული ბანკებისა და საფინანსო დაწესებულებებისათვის. ასევე, კვლევა საინტერესო იქნება მათთვის, ვისაც სურს ჰოლანდიური დაავადების შესწავლა.

კვლევის მიზანია შეისწავლოს, რა არის ჰოლანდიური დაავადება და განსაზღვროს ნორვეგიის მიერ მიღებული სიფრთხილის ზომები ჰოლანდიური დაავადების წინააღმდეგ.

საკვლევი საგანი, ობიექტი და კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის საგანია ჰოლანდიური დაავადება და ქვეყნების ეკონომიკაში ინფიცირების უარყოფითი ვითარება.

კვლევის ობიექტია ჰოლანდიური დაავადებასთან ბრძოლაში ნორვეგიის მოდელი. ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებული იქნა ინტერნეტსაშუალებები და ეკონომიკის სფეროს სუბიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციები.

ჰოლანდიური დაავადება

1959 წელს ჩრდილოეთის ზღვაში აღმოჩნდა გაზის დიდი საბადო, რამაც ნიდერლანდებს საშუალება მისცა, მნიშვნელოვნად გაეზარდა გაზის ექსპორტი და ამით გაზრდილი სავალუტო შემოსავლები მიეღო (პაპავა ვ., 2020, s. 295). თუმცა, ნიდერლანდების ბუნებრივი გაზის მზარდმა ექსპორტმა უარყოფითად იმოქმედა ჰოლანდიის ეკონომიკაზე.

ტერმინი ჰოლანდიური დაავადება პირველად გამოიყენა The Economist-მა „Trade Theory and Policy“ 1977 წელს და კორდენმა და ჩამოაყალიბა 1982 წელს, რათა აღეწერა ნიდერლანდებში გრონინგენის გაზის აღმოჩენის და წარმოების სექტორის დაცემის შემდეგ (Corden and Neary 1982, 92). ეს იწვევს პირდაპირ და არაპირდაპირ დეინდუსტრიალიზაციას, რაც ზიანს აყენებს ეკონომიკას, და რესურსების წყევლას (Alssade and Benhin 2021, 1).

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ჰოლანდიური დაავადება ასევე შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა ფაქტორმა, რომელიც ზრდის მთლიან მოთხოვნას და იწვევს უცხოური ვალუტის შემოდინებას (Kumar and Patel 2024, 2).

როგორც ცნობილია, დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსების აღმოჩენა ზოგადად ჰოლანდიურ დაავადებას იწვევს. ამ შემთხვევაში ის სექტორი, რომლის წარმოებაც შემცირდება, არის მრეწველობა ან სოფლის მეურნეობა (Akçacı და Karaata 2014, 2). ასევე, ჰოლანდიური დაავადების სიმპტომები შესაძლოა გამოვლინდეს უცხოური დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგ, რაც იწვევს ფულის დიდ შემოდინებას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში უკვე შემდეგი სურათი გამოიკვეთა: უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინებამ ხელი კი შეუწყო ადგილობრივი ვალუტის გამყარებას (რევალვაციას), რის შედეგადაც, გაზის გარდა, სხვა პროდუქციის (კერძოდ კი, გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის) ექსპორტი გაძვირდა, ხოლო იმპორტი კი

გაიაფდა. შედეგად, გაზის გარდა, სხვა პროდუქციის ექსპორტი შემცირდა, რაც, მთლიანობაში, ნიდერლანდების ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა (პაპავა ვ. , 2020, გვ. 295).

იმპორტირებული პროდუქტების გაიაფებით ხალხმა დაიწყო საჭიროებების დაკმაყოფილება იმპორტირებული საქონლით. დიდი ოდენობით სავალუტო რეზერვების გამო ინფიცირებული ჰოლანდიური ეკონომიკის ეროვნული ვალუტა გამყარდა. ამ მიზეზების გამო, ბუნებრივი გაზის სექტორის გარდა, დანარჩენი სექტორები შიდა ბაზარზე კარგავდა კონკურენტუნარიანობასა და მიმზიდველობას (Şahin და Kutluay Şahin 2015, 601). ეს მდგომარეობა ლიტერატურაში შევიდა, როგორც ჰოლანდიური დაავადება.

ჰოლანდიური დაავადების კონცეფციის მიხედვით, ეკონომიკა იყოფა სამ ნაწილად: ბუნებრივი რესურსების სექტორი, სადაც სექტორი მოულოდნელად იზრდება (მაგ. ნავთობი, ბუნებრივი გაზი), ეკონომიკის დანარჩენი ნაწილი, სადაც მცირდება საქონლის წარმოება (მაგ. ბუნებრივი რესურსის გარდა) და ეკონომიკის არასავაჭრო ნაწილი (მაგ. სამშენებლო, განათლება). პირველ ორ სექტორში საქონელი წარმოებულია მსოფლიო ფასების გათვალისწინებით, მესამე სექტორში წარმოებული საქონელი არ არის დაკავშირებული მსოფლიო ფასებზე (Destek, Okumuş და Yıldırım 2017, 227).

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმპორტის ზრდა იწვევს დეინდუსტრიალიზაციის პრობლემას. გასულ წლებში ნავთობის წარმოებისა და ექსპორტის გამო – ნიგერია და ვენესუელა, ყავის ექსპორტის გამო – კოლუმბია, დგანან დეინდუსტრიალიზაციის პრობლემების წინაშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ ჰოლანდიური დაავადება ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოსვლის გამო ქვეყნის სავალუტო რეზერვის ბალანსსაც არღვევს და იწვევს ინფლაციას. ასევე, ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების აღმოჩენა ზრდის შესაბამისი ბუნებრივი რესურსების ექსპორტს და ზრდის ქვეყნის შემოსავლის დონეს.

თუმცა, თუ ქვეყანაში შემოსული მთელი უცხოური ვალუტა იმპორტზე დაიხარჯება, ვალუტის ზრდა ფულის მიწოდებასა და ადგილობრივ პროდუქტებზე მოთხოვნაზე პირდაპირ გავლენას არ მოახდენს ან ცენტრალური ბანკი ჰოლანდიური დაავადების უარყოფითი შედეგების გასანეიტრალებლად ცდილობს, ქვეყანაში შემოსული მზარდი ოდენობის უცხოური ვალუტა შეისყიდოს (ეროვნული ვალუტის გაყიდვის ხარჯზე) და ამით სავალუტო ბაზარზე გაზარდოს ეროვნული ვალუტა და შეამციროს უცხოური ვალუტის ოდენობა (პაპავა ვ. , 2020, გვ. 297).

ჰოლანდიური დაავადების მიზეზების უკეთ ასახსნელად, მაგალითად, შეგვიძლია გამოვიყენოთ ვერცხლი, რომელიც 1547 წელს ესპანელებმა ამერიკის გაძარცვის შემდეგ შემოიტანეს ქვეყანაში. ესპანური ეკონომიკის ეტაპობრივი გამდიდრების შედეგად ქვეყანაში წარმოება შემცირდა და ფასების საერთო დონე გაიზარდა. ეს სიტუაცია 400 წლის შემდეგ გაჩნდა ჰოლანდიური დაავადების კონცეფციით.

ჰოლანდიური დაავადება, როგორც წესი, დამახასიათებელია ნავთობისა და გაზის ექსპორტიორი ქვეყნებისათვის. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან მდიდარი ბუნებრივი რესურსებით სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაძლოა ასევე მოუწიოთ ბრძოლა ჰოლანდიურ დაავადებასთან.

ამავე დროს, რადგან ჰოლანდიური დაავადება არღვევს სექტორებს შორის ბალანსს, ამ ნაშრომში შევეცდებით გამოვიკვლიოთ ჰოლანდიური დაავადების კვალის არარსებობა საქართველოს სამშენებლო სექტორში.

ჰოლანდიური დაავადების გავლენა ეკონომიკაზე

თუ ქვეყანაში აღმოჩენილია ბუნებრივი რესურსი ან არსებულ ბუნებრივ რესურსზე უცხოური მოთხოვნა მნიშვნელოვნად იზრდება, საგრძნობლად იზრდება შესაბამისი ბუნებრივი რესურსის ექსპორტი. როცა იზრდება ქვეყნის ექსპორტი, მრავალჯერ იზრდება ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის რაოდენობა. თუმცა, თუ ქვეყანაში შემოსული მთელი უცხოური ვალუტა იმპორტზე დაიხარჯება, ამ შემთხვევაში ვალუტის ზრდა ადგილობრივ პროდუქტებზე, ფულის მიწოდებასა და მოთხოვნაზე პირდაპირ გავლენას არ მოახდენს.

ჰოლანდიური დაავადება დროებითი პრობლემაა თუ მუდმივი? ამ პრობლემასთან დაკავშირებით არ არსებობს კონსენსუსი ეკონომისტებს შორის. როდესაც კაპიტალი და შრომა გადადის ერთი სექტორიდან მეორეზე, წარმოება იმ ინდუსტრიაში, სადაც ზარალი ხდება, ეკონიმიკა შემცირდება და მუშებს ახალი სამუშაოს პოვნა მოუწევთ. ეს მდგომარეობა უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკის გრძელვადიან ზრდაზე. გარდა ამისა, ადამიანების უმუშევრობა და სამუშაო ადგილების დახურვა უარყოფითად იმოქმედებს პოლიტიკოსებზე.

ჰოლანდიაში 1970-1977 წლებს შორის უმუშევრობის დონე 1.1%-დან 5.1%-მდე გაიზარდა (Şahin და Kutluay Şahin 2015, 600). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის უარყოფითი დონე არ იყო ჰოლანდიის ეკონომიკის ერთადერთი პრობლემა.

როცა ეკონომიკა ინფიცირებულია ჰოლანდიური დაავადებით, მაშინ შეინიშნება ქვეყანაში გაცვლითი კურსის ზრდა, კომპანიების კონკურენტუნარიანობის შემცირება, ძვირადღირებული ნივთების, საქონლისა და მომსახურების იმპორტის ზრდა და რეალური ხელფასის ზრდა.

გაცვლითი კურსის ზრდა: ნედლეულის აღმოჩენის ან ექსპორტის ზრდასთან ერთად გაიზრდება უცხოური ვალუტის შემოდინება შესაბამის ქვეყანაში და ეროვნული ვალუტა გამყარდება. ამის მიზეზი ისაა, რომ ნედლეულის მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაშია. მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოს ჩრდილოეთ ზღვაში, როდესაც ინგლისმა აღმოაჩინა ნავთობი სტერლინგის ღირებულება სწრაფად გაიზარდა.

კონკურენტუნარიანობის შემცირება: ეროვნული ვალუტის გამყარება ამცირებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ვაჭრობაში. შესაბამისად, მწარმოებელ სექტორში მოთხოვნა მცირდება. მეტიც, ეკონომიკაში ხდება გადამამუშავებელი სექტორიდან პირველად სექტორებზე გადასვლა. მაგალითად, 1980-იანი წლების დასაწყისში სტერლინგის გამყარების შედეგად დიდ ბრიტანეთში დაფიქსირდა წარმოების სექტორის მნიშვნელოვანი შემცირება.

ძვირად ღირებული ნივთების, საქონლისა და მომსახურების იმპორტის ზრდა: როგორც ცნობილია, ნედლეულის წარმოებისა და ექსპორტის გაზრდით, ხალხის შემოსავლის დონე გაიზრდება. შედეგად, გაიზრდება მოთხოვნა ძვირად ღირებული საქონელსა და მომსახურებაზე. ძვირად ღირებულის იმპორტის გამო ადგილობრივი კომპანიების შემოსავალი შემცირდება.

რეალური ხელფასის ზრდა: როდესაც კეთილდღეობის დონე იზრდება, მომსახურების სექტორში თანამშრომლებზე მოთხოვნა იზრდება. ეს გამოიწვევს ეკონომიკაში რეალური ხელფასების ზრდას. გარდა ამისა, რეალური ხელფასების ზრდა გამოიწვევს წარმოების სექტორში დასაქმებულთა ხელფასის ზრდას. ხელფასების გაზრდა წარმოების სექტორში გამოიწვევს ხარჯების ზრდას და, საბოლოოდ, ფასების ზრდას ან წარმოების შემცირებას. წარმოების შემცირება ნიშნავს დარგის შემცირებას.

ჰოლანდიური დაავადების პრობლემების მქონე ქვეყნები

ჰოლანდიური დაავადება არ ხდება ყველა ქვეყანაში ერთი და იმავე მიზეზების გამო და არც ერთსა და იმავე შედეგებს იძლევა. ამ მიზეზით, მოცემულია ინფორმაცია ზოგიერთი ქვეყნის შესახებ, სადაც ჰოლანდიური დაავადება გვხვდება.

ნორვერგია

ჰოლანდიური დაავადების სიმპტომები ნორვეგიაში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოჩნდა. ამ პრობლემის საფუძველი წარმოიშვა 1970-80 წლებში ნავთობის რესურსების მაღალი შემოსავლის მოლოდინებიდან (Tüzüner 2022, 12). შემდეგ თავებში დეტალური ინფორმაცია მოცემული იქნება ნორვეგიის მოდელის შესახებ ჰოლანდიური დაავადების წინააღმდეგ.

ნიგერია

კიდევ ერთი ქვეყანა, სადაც ჰოლანდიური დაავადების შედეგები ჩანს, არის ნიგერია. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიური დაავადების სიმპტომების გამოვლენამდე სოფლის მეურნეობის სექტორი წინა ხაზზე იყო ამ ქვეყანაში, აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის სექტორის შემდგომი კლება. მიუხედავად იმისა, რომ დეინდუსტრიალიზაციით წოდებულმა პროცესმა ადგილი დაუთმო დეაგრაკულტურიზაციას ნიგერიაში, ამ პერიოდში დაფიქსირდა ნავთობის წარმოების/მოხმარების კლება, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სექტორში, და ნავთობიდან მიღებული შემოსავლები არ იქნა გამოყენებული ეფექტურად (Gurbanov 2018, 47).

კოლუმბია

ყავის წარმოების გავლენა შეიძლება ხაზგასმული იყოს კოლუმბიაში, რომელიც არის ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც ჰოლანდიური დაავადება შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სფეროში, გარდა ბუნებრივი აირის ძიებისა. ამ ქვეყნისთვის სოფლის მეურნეობის სექტორი 1970-1983 წლებში მთლიანი პროდუქტის 60%-ს შეადგენდა. სოფლის მეურნეობის წარმოების 32% ჰყავას შეადგენდა. ამავე პერიოდში, ყავის ექსპორტმა შეადგინა მთლიანი ძირითადი საქონლის ექსპორტის 45%. ამ ვითარებამ გამოიწვია ყავის ფასის ზრდა. ყავის წარმოებისა და ექსპორტის ზრდასთან ერთად მოხდა ცვლილებები დასაქმების პროფილში და აღინიშნა სხვა სექტორებიდან ყავის სექტორზე გადასვლის პროცესი. ამ პერიოდში და განსაკუთრებით 1975 წლის შემდეგ კოლუმბიის ეროვნულმა ვალუტამ 30%-იანი ღირებულება მოიპოვა, თუმცა ყავის ფასების უკიდურესად გაზრდის გამო ექსპორტის ფასებიც გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვითარებამ შესაძლებელი გახადა ფართომასშტაბიანი ეროვნული რეზერვების შექმნა, მან ასევე გააძლიერა ინფლაციის ზრდა (Garcia 1991, 23-33).

ვენესუელა

კიდევ ერთი ქვეყანა, სადაც 1970-იანი წლების დასაწყისში ჰოლანდიური დაავადება გამოჩნდა, ვენესუელაა. განსაკუთრებით 1970 წელს ვენესუელაში ახალი აღმოჩენებით ნავთობის მარაგების მნიშვნელოვანმა ზრდამ შეცვალა ქვეყნის ეკონომიკის წარმოების სტრუქტურა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ როცა რესურსის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ნავთობის ფასების მერყეობა, მან ნავთობი ქვეყნის ეკონომიკის ფოკუსად აქცია. მაშინ, როდესაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე აღნიშნულ პერიოდში იყო 1344 $, სიღარიბის სწრაფმა ზრდამ მომდევნო პერიოდებში გააძლიერა ქვეყანაში ჰოლანდიური დაავადების არსებობის თეზისი, ასე რომ სიღარიბის დონემ 1989 წელს მიაღწია 53%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიური დაავადების სიმპტომები 2006 წელს გამოვლინდა, ნავთობის შემოსავლების თანაფარდობამ მშპ-სთან შეადგინა 23,8% იმავე პერიოდში (Gurbanlı 2010, 69).

ნორვეგიული მოდელი ჰოლანდიის დაავადების წინააღმდეგ

ნორვეგია არის ქვეყანა, რომელსაც აქვს ბუნებრივი რესურსების ფართო სპექტრი, როგორიცაა ნავთობი, ბუნებრივი გაზი, თევზი, ტყე, ჰიდროელექტროენერგია და მაღაროები, მაგრამ ნორვეგიის ეკონომიკაში უდიდესი წვლილი ნავთობისა და ბუნებრივი აირისგან მოდის.

1969 წელს ნორვეგიის წყლებში პირველი ნავთობის საბადო – Ecofisk-ი აღმოაჩინეს. ეკოფისკი არის ერთ-ერთი უდიდესი ნავთობის საბადო, რომელიც ოდესმე აღმოჩენილა ნორვეგიის ტერიტორიულ წყლებში და კვლავ უზრუნველყოფს უფრო დიდ წარმოებას. ამ აღმოჩენით ქვეყანაში დაიწყო დიდი ეკონომიკური აქტივობა და შედეგად გაგრძელდა მოძიება და კიდევ მრავალი დიდი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის საბადო აღმოაჩინეს (Kallevig 2013, 41).

ნორვეგიის ეკონომიკაში 1980-იან წლებში ჰოლანდიური დაავადების სიმპტომები გამოჩნდა. 1970-იან და 1980-იანი წლების დასაწყისში დაავადების მიზეზი იყო მთავრობის ძალიან მაღალი მოლოდინი ნავთობიდან. ნავთობის აღმოჩენით კეთილშობილური კეთილდღეობის სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ტრადიციული ნორვეგიული ინდუსტრია დაეცა. 1986 წელს ნავთობის ფასების დაცემასთან ერთად, ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის შემცირებამ ნორვეგია კრიზისის წინაშე დააყენა.

ამ წლების განმავლობაში ნორვეგიულმა ბიზნესებმა დაკარგეს კონკურენტუნარიანობა. უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა და ნორვეგიის ეკონომიკას მრავალწლიანი პერიოდი დასჭირდა კრიზისის შედეგებისგან გამოჯანმრთელებისათვის. გაკვეთილები, რომლებიც ნორვეგიამ ისწავლა ამ კრიზისიდან ნავთობის პირველი აღმოჩენის შემდეგ წლებში, დაეხმარა მას უკეთ მომზადებულიყო შემდგომი პერიოდებისთვის.

ნორვეგიამ განსაზღვრა თავისი გრძელვადიანი გეგმები მდიდარი ნავთობის რესურსების მართვისთვის. ნორვეგიული მოდელი ეფუძნება 3 საყრდენს, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში მართავს ბუნებრივი გაზისა და ნავთობის რესურსების სექტორს.

1) პირველი საყრდენი მძიმე გადასახადებია ნავთობისა და გაზის კომპანიების მოგებაზე. ამის მიზეზია იმის უზრუნველყოფა, რომ მთელი ქვეყნის მოსახლეობას შეუძლია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა.

2) მეორე საყრდენი ნავთობისა და გაზის სიმდიდრის კონტროლირება და მართვაა „სახელმწიფოს პირდაპირი ფინანსური ინტერესის“ (State's Direct Financial Interest) მიერ, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო სისტემასთან.

3) მესამე საყრდენი არის ნორვეგიის სახელმწიფოს საპენსიო ფონდი (The Government Pension Fund).

ნორვეგიის ნავთობის სექტორის ეკონომიკურმა ზომამ განაპირობა ისეთი ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბება, როგორიცაა „სახელმწიფო საპენსიო ფონდი“ (The Government Pension Fund). ნავთობის შემოსავლები გროვდება „ნორვეგიის ნავთობის ფონდის“ (ამჟამად სახელმწიფო საპენსიო ფონდი) სახელწოდებით და ნავთობის შემოსავლების მართვა ფინანსთა სამინისტროდან ნორვეგიის ცენტრალურ ბანკზე გადავიდა, რამაც პოლიტიკოსებსა და ფონდს შორის მანძილი გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის სახელმწიფოს საპენსიო ფონდი დღეს მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფო ფონდია და ფონდი ფლობს მსოფლიო აქციების დაახლოებით 1%-ს, ხოლო ევროპული აქციების დაახლოებით 2,5%-ს ფლობს ნორვეგიის მთავრობა (Norges Bank Investment Management: “Government Pension Fund Global” 2013). ჰოლანდიური დაავადების შედეგებისგან და ეკონომიკის გადახურებისგან თავის დასაცავად, ფონდის ყველა ინვესტიცია ხორციელდება საერთაშორისო დონეზე.

ფონდის საინვესტიციო პორტფელი დივერსიფიცირებულია და საინვესტიციო სტრატეგიის პორტფელი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის აქციებსა და ობლიგაციებს. მაშინ როცა ფონდის საფონდო პორტფელი მოიცავს 7000-ზე მეტ აქციას 47 ქვეყნიდან; ობლიგაციების პორტფელი მოიცავს დაახლოებით 10000 ობლიგაციებს 26 ქვეყნიდან.

სახელმწიფოს საპენსიო ფონდის შექმნის მთავარი მიზეზი იყო ნავთობის შემოსავლების ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯებისგან გამიჯვნა. ასევე, ბუფერის შექმნა, რომელიც იმოქმედებს როგორც შუამავალი ნავთობის მუდმივად ცვალებად ფასებსა და მატერიკულ ეკონომიკას შორის.

არსებობს ფისკალური წესი, რომელიც გამოიყენება ნორვეგიის ეკონომიკაში სახელმწიფო საპენსიო ფონდიდან ნავთობის ფულის გამოყენების რეგულირებისთვის, მას „ბიუჯეტის წესი“ ეწოდება. ბიუჯეტის წესს აქვს 2 ძირითადი არგუმენტი:

- არგუმენტის გაზიარება: ეს უზრუნველყოფს სიმდიდრის მომავალ თაობებზე გადაცემას.
- ზრდის არგუმენტი: ემსახურება როგორც ინსტრუმენტს, რათა შეამოწმოს მთავრობის მიერ ნავთობის ფულის პასუხისმგებლობით გამოყენება და თავიდან აიცილოს ეკონომიკის ზედმეტად დამოკიდებულება ნავთობის ფულზე.

ბიუჯეტის წესი გეგმავს ეროვნულ ბიუჯეტს ნავთობის ფასების რყევების მიხედვით. იმის გამო, რომ თანხა ამოღებულია სახელმწიფო საპენსიო ფონდიდან, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ფასების მერყეობა ბიუჯეტში რყევებს არ იწვევს. მეტიც, ბიუჯეტის წესი უზრუნველყოფს ნავთობიდან მიღებული შემოსავლების სტაბილურ შეყვანას ეკონომიკაში, რაც იცავს ეკონომიკას შოკებისგან.

როგორც ჩანს, ბიუჯეტირების წესი ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება ეკონომიკის სტიმულირებისთვის ან დასამშვიდებლად მაღალი ან დაბალი ბიზნესციკლის პერიოდებში. ამ ინსტრუმენტის წყალობით ძლიერდება ეკონომიკის მდგომარეობის პროგნოზირებადობა და ხელისუფლების ცვლილება არ ცვლის პროგნოზირებადობას. ეს ზრდის ნორვეგიის ეკონომიკის ნდობას და მომავლის ზუსტ პროგნოზებს.

მონეტარული პოლიტიკის ახალი სამიზნე სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაციის საფუძველზე დაახლოებით 2.5% განისაზღვრა. ნორვეგიული კრონის საერთაშორისო ღირებულება განისაზღვრება სავალუტო ბაზრებზე გაცვლითი კურსის მიხედვით. გარდა ამისა, მოსალოდნელია, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მიზნობრივი დონის ±1%-ის ფარგლებში დარჩეს. ფასის სტაბილურობის გარდა, ფინანსური სტაბილურობა და ინვესტიციების ეფექტური ნორვეგიის ცენტრალური ბანკის მიზნებს შორისაა, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას. ამასთან დაკავშირებით, ნორვეგიის ეკონომიკაში ნავთობისა და გაზის სექტორის ინფლაციური ზემოქმედების კონტროლის მიზნით, შემოღებულ იქნა მთავრობის საპენსიო ფონდთან დაკავშირებული ბიუჯეტის წესი.

ბიუჯეტის წესის 4%-იანი განაკვეთი ყოველ წელს მოქმედებდა, გარდა 2008 წლისა. მხოლოდ 2008 წლის ფინანსური კრიზისის საპასუხოდ და ნორვეგიის რეცესიაში ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად, მთავრობამ გადაწყვიტა მეტი თანხის გამოყენება.

ნორვეგიის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა, სვეინ გედრემმა, 1980-იან წლებში ნორვეგიის მიერ ჰოლანდიური დაავადების შემდეგ მიღებული გაკვეთილები შემდეგნაირად შეაჯამა:

- იმ ქვეყნებში, სადაც ბუნებრივი რესურსების შემოსავლები მაღალია, ძალზე მნიშვნელოვანია არაბუნებრივი რესურსების ეკონომიკური სექტორების (მე-2 სექტორის) კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.
- მნიშვნელოვანია საჯარო სექტორის მიერ დაფინანსებული საწარმოების ეკონომიკური დისციპლინა.
- ნავთობის წარმოება სხვა სექტორებთან შედარებით უფრო მაღალ მოგებას იძლევა. ამ მიზეზით, ძალიან მნიშვნელოვანია მჭიდრო პოლიტიკური კონტროლი ნავთობის სიმდიდრეზე და მკაცრი კონტროლი პოლიტიკოსებზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს გამჭვირვალე სისტემას და საზედამხედველო ორგანოებს, რათა გააკონტროლონ ის პოლიტიკური ორგანოები, რომლებიც აკონტროლებენ ნავთობის სიმდიდრეს.

ნორვეგიაში კომპანიებს შორის თანამშრომლობა და კონკურენცია ძალიან მნიშვნელოვანია. თითოეულ კომპანიას აქვს სხვადასხვა ტექნიკა, განსხვავებული ორგანიზაციული სტრუქტურა და სპეციალიზირებულია სხვადასხვა სფეროში. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს იმას, რომ ნორვეგიას დღეს ჰყავს საკუთარი ნავთობკომპანიები, ინდუსტრიის კონკურენტუნარიანი სტრუქტურა და სექტორიდან მიღებული შემოსავლები.

თუმცა, ნორვეგიას აქვს იდეალურად მოქმედი საგადასახადო სისტემა და ნორვეგიის ნავთობის საგადასახადო სისტემის მთავარი მიზანია წარმოუდგენლად მაღალი შემოსავლების გამომუშავება ბუნებრივი რესურსებიდან და მიმზიდველი ანაზღაურება კერძო კომპანიების ინვესტორებისთვის.

ეკონომისტების მიერ აღიარებულია, რომ ჰოლანდიური დაავადების წინააღმდეგ ნორვეგიის მთავრობის ზომები ეფექტიანია.

საქართველოს სამშენებლო სექტორი

როგორც ცნობილია, საქართველოს სამშენებლო სექტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია საქართველოს ეკონომიკაში. მშენებლობა ქვეყნის ინფრასტრუქტურასთან ერთად საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ნაგებობების შენებას მოიცავს.

მშენებლობის სექტორში ზრდას შეუძლია, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა გამოიწვიოს და, პირიქით, როდესაც ქვეყანაში სწრაფი ეკონომიკური ზრდაა, მშენებლობის სექტორიც სწრაფად იზრდება. მშენებლობის სექტორზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბანკო სექტორი (იპოთეკური სესხების გამო) და პირიქით, საბანკო სექტორი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამშენებლო სექტორზე, როგორც კრედიტებზე მოთხოვნის ძირითად წყაროზე.

ამ ნაწილში შევეცდებით წარმოგიდგინოთ სამშენებლო სექტორის ხედვა. ვნახოთ, შემცირდა თუ არა მრეწველობაში სამუშაო ძალის რაოდენობა სამშენებლო სექტორის ზრდის შედეგად.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013-2017 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ წლიურად 3.8%-ით იზრდებოდა, როცა ამავე პერიოდში მშენებლობის სექტორის საშუალო წლიური ზრდა 3-ჯერ მეტი, 12.8% იყო. 2018 წელს სამშენებლო სექტორში 7.2% კლება დაფიქსირდა, ხოლო 2019-ში უმნიშვნელო ზრდა იყო – 0.7%. ეს 2-წლიანი ჩავარდნა გამკაცრებულმა სამშენებლო და საბანკო რეგულაციებმა გამოიწვია.

საქართველოს სამშენებლო სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8%-ია და 60 ათას ადამიანზე მეტს ასაქმებს. ბოლო 10 წელიწადში მშენებლობის საშუალო წილი მშპ-ში 8%-ია. ასევე, სამშენებლო სექტორი 2018 წლამდე საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა, ხოლო 2018-2021 წლებში სექტორი მკვეთრად შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ მშპ, 2020 წლის გარდა, სულ იზრდებოდა.

გრაფიკი 1.

მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა, წლების მიხედვით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2020 წელს მშენებლობის სექტორში 8%-იანი, ხოლო 2021 წელს 24%-იანი ვარდნა იყო. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის წლებში მთავრობა მშენებლობის სექტორს ასუბსიდირებდა, მაინც მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა. პოსტპანდემიურ პერიოდში მშენებლობის სექტორში სწრაფი ზრდა დაიწყო, 2022-ში 14.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2023 წლის იანვარ-ივნისში – 19%-ით. ასეთ მაღალ ზრდას უკრაინა-რუსეთის ომმაც შეუწყო ხელი, იმიგრანტებმა საცხოვრებელ სახლებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაზარდეს.

2023 წლის პირველ ნახევარში მშენებლობის სექტორის წილი 7.2%-ია. შედარებისთვის, 2022 წლის პირველ ნახევარში 6.9% იყო, რაც ნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, 2023 წლის ბოლომდე მშენებლობის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

გრაფიკი 2.

მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში, წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ანგარიში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სექტორში არსებულ პრობლემებს გამოხატავს, დასაქმებაა. სექტორი 65.5 ათას ადამიანს ასაქმებს, რაც მთლიანი დასაქმების 5.5%-ია. თუმცა, მაგალითად, 2017 წელს მშენებლობა 19%-ით მეტს – 76 ათას ადამიანს – ასაქმებდა.

ბოლო წლებში სექტორში არსებულ პრობლემებს ხაზს უსვამს მასში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაც. 2018 წლიდან ინვესტიციების ფარდობა მშპ-სთან სულ მცირდებოდა და 2022 წლის მაჩვენებელი უკვე 10-ჯერ ნაკლები იყო.

გრაფიკი 3.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014-2018 წლებში მშენებლობის სექტორი მნიშვნელოვნად ფინანსდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით – წელიწადში, სულ მცირე, 140 მლნ დოლარი შემოდიოდა.

2019 წლიდან უფრო მეტად შიდა ინვესტირებასა და დაკრედიტებაზე გახდა დამოკიდებული. გაიზარდა მთავრობის ინვესტიციები, რომლებიც ინფრასტრუქტურასა და სხვადასხვა კატეგორიის საჯარო მოხელეების სახლების მშენებლობაზეა მიმართული. მაგალითად, 2018 წელს მთავრობამ ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე 3 მლრდ ლარი დახარჯა, 2023 წელს კი 6 მლრდ-ზე მეტს ხარჯავს.

გრაფიკი 4.

მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დროთა განმავლობაში უძრავი ქონება ძვირდება. გაძვირებას ორი ფაქტორი განაპირობებს: საცხოვრებელ თუ სხვა დანიშნულების შენობებზე მოთხოვნის ზრდა და მშენებლობის ხარჯების ზრდა. საქსტატი 2021 წლიდან აქვეყნებს საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსს, რომლის მიხედვით, 2023 წლის მე-2 კვარტალში საქართველოში საცხოვრებელი სახლები საშუალოდ 13.1%-ით გაძვირდა. 2021 წლის მე-2 კვარტალს თუ შევადარებთ, ზრდა 18.3%-ია.

საქსტატი აქვეყნებს მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსსაც, რომელიც 2020-2022 წლებში 43-ით გაიზარდა, ანუ სამშენებლო მასალები საშუალოდ 43%-ით გაძვირდა. 2023 წლის მარტიდან ფასებმა იკლო და წელს, აგვისტოში, 2022 წლის აგვისტოსთან შედარებით 5%-ით შემცირდა, თუმცა ბოლო 4 წლის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდა. 2023 წელს სამშენებლო მასალების გაიაფება, სავარაუდოდ, ლარის კურსის გამყარებამ განაპირობა.

ცხრილი 1.

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	2020	**2021**	**2022**
სულ	**1,241.8**	**1,217.4**	**1,283.7**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	246.3	230.3	229.2
მრეწველობა	141.3	137.2	152.4
მშენებლობა	85.2	94.4	108.6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების შეკეთება	188.0	180.7	192.7
ტრანსპორტი და დასაწყობება	79.1	76.4	80.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	36.0	33.4	42.6

ინფორმაცია და კომუნიკაცია	19.7	18.1	15.3
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	29.9	29.5	29.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3.2	5.2	3.4
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	19.2	21.5	22.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	19.6	19.4	23.0
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	94.5	92.4	91.6
განათლება	145.8	145.9	149.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	62.0	66.3	69.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	30.0	28.7	31.3
სხვა სახის მომსახურება	25.0	22.1	22.4
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	15.0	12.9	17.0
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	2.0	2.7	1.5
არაიდენტიფიცირებული	-	0.3	0.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014-2023 წლებში სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი საშუალოდ 37%-ით მეტი იყო საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით. 2023 წლის პირველ ნახევარში სამშენებლო სექტორში არსებული საშუალო თვიური ხელფასი (დაბეგვრამდე) 2,368 ლარი იყო, რაც საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასზე 34%-ით მეტი იყო. ბოლო 3 წელიწადში მშენებლობაში საშუალო თვიური ხელფასი 38%-ით გაიზარდა, ბოლო 8 წელიწადში კი გაორმაგებულია.

გრაფიკი 5.

მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამშენებლო სექტორის ფუნქციონირებაზე დიდ გავლენას მთავრობის რეგულაციები და სუბსიდიები ახდენს, განსაკუთრებით კი სექტორის იმ 47%-ზე, რომელიც საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებს უკავშირდება (დანარჩენი 53% მოიცავს საავტომობილო გზებისა და რკინიგზების მშენებლობას, საინჟინრო ნაგებობების მშენებლობასა და სხვა სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოებს, რომლებშიც, ძირითადად, ხელისუფლება პირდაპირაა ჩართული).

გრაფიკი 6.

მრეწველობაში განხორციელებული ინვესტიციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვინაიდან უძრავი ქონების სექტორში ტრანზაქციების უდიდესი ნაწილი დოლარში ხორციელდება, ამ ვალუტასთან ბრძოლამ უარყოფითად იმოქმედა სესხების ხელმისაწვდომობაზე, საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტემპებსა და სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სტიმულებზე.

დასკვნა

ჰოლანდიური დაავადება არის მდგომარეობა, როდესაც ნედლეულის მაღალი ექსპორტი, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის სასარგებლო მოვლენაა, წლების განმავლობაში უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰოლანდიური დაავადება არის წარმოების ფაქტორების გაყვანა ეკონომიკის სხვა სფეროებიდან და გადასვლა იმ სექტორზე, რომელსაც აქვს კეთილდღეობის გამაძლიერებელი ეფექტი.

ჰოლანდიური დაავადება წარმოიშვა ნიდერლანდების მიერ ბუნებრივი გაზის მარაგების სწრაფად მოპოვებისა და მსოფლიო ბაზრებზე მათი გაყიდვის შედეგად და ბუნებრივი აირის შემოსავლების გამო უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინების შედეგად, ეროვნული ვალუტა და ბუნებრივი აირი გაძვირდა. შემოსავლები მიმართული იყო მოხმარებაზე და არა ინვესტიციებზე. ამ მიზეზით, ეს შემთხვევა შეტანილია ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც ჰოლანდიური დაავადება.

ჰოლანდიური დაავადების პირველ ეტაპზე ეროვნული ვალუტა ზედმეტ ღირებულებას იძენს ქვეყანაში ახლად აღმოჩენილი ნედლეულის ან ძალიან ბევრი ექსპორტის გამო. შედეგად, იმპორტი იაფდება და იზრდება. ექსპორტი ძვირდება და მცირდება. იმპორტის მატებასთან ერთად ქვეყანაში წარმოება მცირდება.

ხალხს ემუქრება დეინდუსტრიალიზაცია, რაც დროთა განმავლობაში წარმოების შემცირების შედეგად ხდება. იმ წლებში, როდესაც ჰოლანდიური დაავადება ჩნდება, იზრდება მოთხოვნა მომსახურებასა და საქონელზე, რომელიც არ არის ვაჭრობა მოხმარებაში და საგარეო ვაჭრობაში. ყველა ამ ცვლილებების შედეგად, სანამ ეროვნულ ეკონომიკაში იზრდება მშრომელთა ხელფასები, საგარეო ვაჭრობას დაქვემდებარებული საქონლის მომგებიანობა მცირდება. ჰოლანდიური დაავადებით ქვეყანაში უცხოური ვალუტის სიუხვეა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სავალუტო სიმრავლე შეიძლება წარმოიშვას ზოგიერთ ქვეყანაში ნახშირწყალბადების (ნავთობი, ბუნებრივი აირი) ექსპორტიდან, ზოგიერთ ქვეყანაში ის შეიძლება წარმოიშვას სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (ყავა, ვარდი, ზეთისხილი და ა.შ.) ექსპორტიდან.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ეკონომიკაც აღმოჩნდა ჰოლანდიური დაავადებით ინფიცირებული. ეს კი უშუალოდ უკავშირდება ვარდების რევოლუციის შედეგად გატარებულ ღონისძიებებს. ვარდების რევოლუციის შემდეგ, კორუფციასთან ბრძოლის საბაბით, არაერთი თანამდებობის პირი დააკავეს, რომლებმაც თავისუფლება შესაბამისი საფასურის გადახდით მიიღეს. ბუნებრივია, მათ თანხა დოლარებში ჰქონდათ გადანახული, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება ლარია, ამიტომ ბაზარზე დიდი ოდენობით დოლარი გადახურდავდა ლარში (პაპავა ვ. , 2020, s. 297).

ვარდების რევოლუციამ საქართველოს დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი მოუტანა, რამაც პრივატიზაცია მიმზიდველი გახადა. ინვესტორებს, უმთავრესად, აშშ დოლარი (ნაკლებად, ევრო) შემოაქვთ, მაგრამ რადგანაც ქვეყანაში კანონიერი საგადამხდელო საშუალება ლარია, ეს დოლარებიც ლარში გადაიცვლება. უცხოური კაპიტალი საქართველოში პრივატიზაციის გარეშეც შემოდის, როცა საქართველოს რეზიდენტისაგან ყიდულობენ კერძო საკუთრებას. ამ ყველაფერმა 2004-2008 წლებში – აშშ დოლარის მასის ზრდა და მისი გაუფასურება, ხოლო ლარის გამყარება გამოიწვია. მაშასადამე, საქართველოში ჰოლანდიური დაავადების გამომწვევი მიზეზები იყო ანტიკორუფციული ღონისძიებები, ფულადი გზავნილები და უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (პაპავა ვ. , 2020, გვ. 298).

ეს კვლევა მიზნად ისახავდა, გაანალიზებულიყო სამშენებლო სექტორსა და ინდუსტრიულ სექტორს შორის კავშირი, რომელმაც აჩვენა საქართველოში ბოლო წლებში სწრაფი ზრდა და უარყოფითი გავლენა სამრეწველო სექტორზე. სამშენებლო სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ხელისუფლების მხრიდან აქტიური ჩარევა ყოველდღიურობის ნაწილია. უკანასკნელი წლების განმავლობაში სექტორს მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნება და ეს სწორედ სახელისუფლებო პოლიტიკიდან მომდინარეობს.

ცხრილი 1-ზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრეწველობა და სამშენებლო სექტორი ერთ-ერთი სექტორია, სადაც საქართველოში ყველაზე მეტი სამუშაო ძალაა დასაქმებული.

იმავდროულად, გრაფიკი 1-ისა და გრაფიკის 5-ის შედარების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამშენებლო სექტორის ზრდა უარყოფითად არ აისახება სამრეწველო სექტორის სამუშაო ძალაზე. ამ მიზეზით შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამშენებლო ინდუსტრია ჰოლანდიური დაავადების სინდრომს არ განიცდიდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა, ვლადიმერ. 2020. *არატრადიციული ეკონომიკსი.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2022. „საქართველოს ეროვნული ანგარიში.“ *სტატისტიკური პუბლიკაცია* 18.
3. Alssade, Marwan, and James Benhin. 2021. "Oil boom, exchange rate and sector output: An empirical analysis of Dutch disease in oil-rich countries." *Resources Policy* 1.
4. Corden, Worner Max, and Peter Neary. 1982. "Booming Sector and De-industrialization in a Small Open Economy." *Economic Jurnal* 825-848.
5. Garcia, Jorge Garcia. 1991. "Agricultural Prices and Wages in Colombia: Impact of the Coffee Boom and Government Expenditures." *Food Policy* 23-33.
6. Kumar, Nikeel Nishkar, and Arvind Patel. 2024. "A test of the tourism Dutch disease hypothesis in devoloping countries." *Journal of Air Transport Management* 2.
7. 2013. *Norges Bank Investment Management: "Government Pension Fund Global".* 04 13. http://www.nbim.no/en/About-us/Government-Pension-Fund-Global/.
8. Akçacı, Taner, და Aydan Karaata. 2014. „Türkiye'de Uluslararası Fonların Paradoksal Etkisi: Hollanda Hastalığı.“
9. Destek, Mehmet Akif, İlyas Okumuş, და Abdülmecit Yıldırım. 2017. „Tarımsal Katma Değer Üzerinde Hollanda Hastalığı Etkileri: Azerbaycan, Kazakistan, Kırgızistan ve Özbekistan için Bulgular.“ *Bilig* 225-239.
10. Efeoğlu, Rabia, and Ceren Pehlivan. 2018. "Hollanda Hastalığı: Venezuela, Suudi Arabistan, Rusya ve Nijerya ülkeleri üzerine bir araştırma." *Düzce Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi* 197-216.
11. Gurbanlı, Şadiman. 2010. *Azerbaycan Ekonomisinde Petrolün Önemi ve Hollanda Hastalığı Açısından Değerlendirilmesi.*
12. Gurbanov, Sarvar. 2018. *Hollanda Hastalığı Teorisi ve Ülke Örnekleri.* Akis Kitap .
13. Kallevig, Serap Gümüş. 2013. "NORVEÇ VE TÜRKİYE ÖRNEKLERİ ÜZERİNDEN HOLLANDA HASTALIĞI TEORİSİ VE SICAK PARA KARŞILAŞTIRMASI."
14. Şahin, Levent, და Dilek Kutluay Şahin. 2015. „Hollanda Hastalığının Etkileri: Rusya Örneği.“ *Hitit Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüdü Dergisi* 599-610.

კონკურენციის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა

ქრისტინა ჯულაყიძე
თსუ დოქტორანტი

ნაშრომი ეძღვნება კონკურენციის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობ ეკონომიკურ პოლიტიკას, მისი მიზანია, გამოავლინოს კონკურენციის დაცვისა და განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები და განსაზღვროს მათი აღმოფხვრის გზები მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციებისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: *კონკურენციის პოლიტიკა, კონკურენციის ფორმირება, კონკურენციის დაცვა, კონკურენციის განვითარება, საბაზო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემზღუდველი მექანიზმი*

ნაშრომში ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომების ანალიზზე დაყრდნობით და საერთაშოისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით დასაბუთებულია რეალური კონკურენტული გარემოს შექმნის აუცილებლობა საქართველოში.

თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნა არის ქვეყნის წარმატების უპირველესი საწინდარი. თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების რეგულირებას, ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, ამაღლებს პროდუქტიულობას, შესაბამისად, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა იზრდება. აქედან გამომდინარე კონკურენციის პოლიტიკის შედეგად საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა იზრდება.

კონკურენციის პოლიტიკა მიმართულია ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოსა და მისი შესრულების მეთვალყურეობის შექმნით მიაღწიოს ეფექტიან კონკურენციას. იგი ხორციელდება: კონკურენციისათვის ხელის შეწყობით (მონოპოლიურ სფეროებში ან გამყარებულ ოლიგოპოლიებში), კონკურენციის დაცვით (იქ, სადაც კონკურენციის ფუნქციებს „საფრთხე“ ემუქრება, მაშასადამე, პოლიპოლიასა და შემზღუდველ ოლიგოპოლიაში) და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე ზედამხედველობით (საბაზრო ძალაულების მქონე საწარმოების მიერ ბაზრის კონტროლი ან მონოპოლია).

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა, არის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა; იქიდან გამომდინარე, რომ ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები პირდაპირ უკავშირდება მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების მოწესრიგებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ინფრასტრუქტურას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას, სამუშაო ძალის კვალიფიციურობას და სხვა.

კონკურენტული გარემოს ფორმირება, მისი დაცვა და ხელშეწყობა

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველია თავისუფალი და სამართლიანი საბაზრო კონკურენცია. შესაბამისად, საქართველოში მოქმედებს კანონმდებლობა კონკურენციის დაცვის შესახებ, რომლის აღსრულებაზე ძირითადი პასუხიმგებელი პირია საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებელის დაცვის სააგენტო. თავდაპირველად, 1996 წელს, პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახური. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოში 2014 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად კონკურენციის სააგენტო კვლავ დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა. ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმების თანახმად კონკურენციის დაცვა მნიშვნელოვან პრიორიტეტად არის განხილული.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებელის დაცვის სააგენტოს **ძირითადი ამოცანაა** საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

სააგენტოს მიზანი: ბაზარზე უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობები, გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული და სამართლებრივი ბარიერები.

- დაცული იყოს ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპი და მიღწეულ იქნეს კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა.
- უზრუნველყოფილი იყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.

მიმოვიხილოთ რამდენიმე საქმე რომელზეც იმუშავა სააგენტომ, რომლის ძირითადი ამოცანა ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის განხორციელებაა. ყველა საქმე, მიუხედავად საქმის კვალიფიკაციისა, საინტერესო და განსხვავებულია შინაარსობრივად და შესაბამისად, დეტალურ და ინდივიდუალური შეფასებას საჭიროებს.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია: სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის" საქმე საქართველოს კონკურენციის სააგენტომ 2020 წლის 30 ოქტომბერს დაასრულა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის" საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა, რომელიც ეხებოდა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის" ბათუმის რეგიონალური წარმომადგენლის მხრიდან კონკურენტი კომპანიის რეპუტაციის შემლახავ საქმიანობას. მოკვლევის შედეგად დადგინდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 ტერცია მუხლის (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედების აკრძალვა) მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის (ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა, მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია) დარღვევის ფაქტი, რაც გამოიხატებოდა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის" წარმომადგენლის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის" რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელებაში.

საბოლოოდ, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგს" დაევალა – დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გავრცელებული ცნობების უარყოფა შპს „Caucasian Metals Terminal"-ისათვის

ოფიციალური წერილის გაგზავნის გზით და აღნიშნული ქმედების თაობაზე ინფორმაცია წერილობითი ფორმით მიაწოდოს სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“ და საქართველოს კონკურენციის სააგენტოს.“

(https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/5e586ce99531467d9b4cf7f7f9c9c19a.pdf, თ. გ.)

კონკურენციის შემზღდველი შეთანხმებები: ფარმაცევტული ბაზრის საქმე კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ონკოლოგიური მედიკამენტების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 4 კომპანიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (შეთანხმებული ქმედება) დარღვევა დაადგინა. კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2021-2023 წლებში (აგვისტოს ჩათვლით), 4 კომპანიის მიერ (ავერსი, გეფა, პსპ, მერმისი) ადგილი ჰქონდა ონკოლოგიური მედიკამენტების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში შეთანხმებულ ფასებს, ფასების ფიქსაციას. სააგენტოს გადაწყვეტილებით, კომპანიებს დაეკისრათ ჯარიმა, საერთო ჯამში 53 მილიონ ლარამდე.მოკვლევის დაწყების საფუძველს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, 2023 წლის 23 მარტს ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიების მხრიდან ფასების ზრდის და ამავე მედიკამენტებზე იდენტური ფასწარმოქმნის შესახებ გასაჯაროვებული ინფორმაცია წარმოადგენდა.

(https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdIl2xm.pdf, თ. გ.)

კონცენტრაციების კონტროლი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და შპს გნ კოს საქმე „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებით, ეკონომიკური აგენტების მიერ წარმოდგენილი შეტყობინება – სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ და შპს „გნ კოს“ მოსალოდნელი კონცენტრაციის თაობაზე. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, კონკურენტულ გარემოსთან თავსებადია. კონკურენციის სააგენტოს თანხმობის მოპოვების პირობით, სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“, როგორც მყიდველი, სს „ევექსის ჰოსპიტლებისგან“ შეიძენს შპს „გნ კო“-ს წილთა 40%-ს, რომელიც წარმოადგენს შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის, საუნივერსიტეტო კლინიკის“ 100%-იანი წილის მესაკუთრეს.

კონცენტრაციის შეფასების მეთოდოლოგიით, ბაზრის მსხვილ მოთამაშეს სს „ევექსის ჰოსპიტალებს“ აკლდება შპს „გნ კო“ და მასთან დაკავშირებული მეწარმე სუბიექტების შემოსავლების მოცულობა, რაც ქმნის შესაბამის სასაქონლო ბაზარზე კონცენტრაციის შემცირების მოცემულობას.“

(https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/932de840af6e4c4db6c43e52454bc23b.pdf, თ. გ.)

საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემზღუდველი მექანიზმების ფორმირება

საქართველოში კონკურენციის დაცვისა და განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად გამოვიყენებ 2023 წლის წლიურ ანგარიშს.

2023 წლის მოვლენებიდან შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი:

- ცვლილებები კანონმდებლობაში
- ანტიდემპინგი

ცვლილებები კანონმდებლობაში

2024 წლის 1 იანვრიდან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში მიღებული ცვლილებები ძალაში შევიდა, რომლის მიხედვითაც – გაძლიერდა კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულება და უწყების სახელწოდება შეიცვალა – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო.

სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის და სტრუქტურული ოპტიმიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე, უწყების დებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რომელიც 2023 წლის 1 ნოემბრიდან ძალაშია.

მიღებული ცვლილებების შესაბამისად:

- სააგენტოს თავმჯდომარეს ორის ნაცვლად ერთი მოადგილე ჰყავს.
- შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული – სასწავლო-კვლევითი ცენტრი, რომელიც როგორც შიდა – სააგენტოს თანამშრომლებისთვის, ისე გარე – დაინტერესებული მხარეების სასწავლო პროექტების განხორციელებაზე არის პასუხისმგებელი.
- გაძლიერდა კომუნიკაციების დეპარტამენტი საერთაშორისო და ადგილობრივი მიმართულებით.
- შემოსულ ზარებზე ეფექტური რეაგირებისა და მონიტორინგის წარმოების მიზნით, სააგენტოში შეიქმნა ქოლ-ცენტრის მიმართულება.
- დაიხვეწა შიდა აუდიტის ფუნქციები და გაძლიერდა ფინანსურ ადმინისტრაციული მიმართულება.

2023 წელს, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში რიგი ცვლილებები შევიდა, რომომლებიც სრულად შეესაბამება ევროკავშირის სამართალს.

(https://gcca.gov.ge/uploads_script/public_information/tmp/GCCA%20-%20წლიური%20ანგარიში%202023_compressed.pdf, თ. გ.)

ანტიდემპინგი

დემპინგი წარმოადგენს საერთაშორისო ფასისმიერი დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას, როდესაც კომპანია პროდუქტს იმპორტიორ ქვეყანაში ყიდის იმაზე დაბალ ფასად (ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად), ვიდრე ექსპორტიორის ადგილობრივი ქვეყნის ბაზარზე. საქართველოს კანონი „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ მიზნად ისახავს ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვას დემპინგური იმპორტით მიყენებული ზიანისაგან ან ამგვარი ზიანის საფრთხისაგან.

სააგენტოში განცხადების შემოტანა შეუძლია ადგილობრივ ინდუსტრიას, რომელიც აწარმოებს შესწავის ობიექტის მსგავს პროდუქტს; ადგილობრივი ინდუსტრიის სახელით მოქმედ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ნებისმიერს გაერთიანებას.

ანტიდემპინგური შესწავლის პერიოდი გრძელდება არაუმეტეს 12 თვისა, რომელიც შეიძლება გახანგრძლივდეს არაუმეტეს 6 თვით.

სააგენტოს მიერ დასკვნის წარდგენიდან 30 დღის ვადაში საბოლოო გადაწყვეტილებას ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების შესახებ იღებს საქართველოს მთავრობა – ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების, გადახედვის ან გაუქმების შესახებ.

(https://gcca.gov.ge/uploads_script/public_information/tmp/GCCA%20-%20წლიური%20ანგარიში%202023_compressed.pdf, თ. გ.)

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკა ლიბერალიზაციის მაღალი დონით და საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ბარიერების სიმცირით ხასიათდება. ამის მიუხედავად, საქართველოში ეკონომიკის ძირეული სტრუქტურული პრობლემები ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობით არის განპირობებული, ვინაიდან ლიბერალიზაციის პროცესი კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გარეშე წარუმატებელია; ჩვენი ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში მკვეთრად გამოხატული ტენდენციები მიუთითებს შესაბამის ბაზარზე მოთამაშე ეკონომიკური აგენტების მონოპოლიურ ქმედებებზე, რაც უარყოფითად აისახება მომხმარებელთა და, შესაბამისად, საზოგადოების კეთილდღეობაზე, ჩვენს ეკონომიკასა და საინვესტიციო იმიჯზე.

კონკურენტული ბაზრის არსებობა ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნის არსებობის წინაპირობაა, შესაბამისად კონკურენტული ბაზრის სწორად ფუნქციონირებისთვის საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი ხდება კონკურენციის ორგანოს ჩარევა ბაზრის პროცესებში. მან უნდა იმოქმედოს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით. კონკურენციასთან თავსებადი და წარმოქმნილი პრობლემიდან გამომდინარე შესაბამისი მონიტორინგი და ქმედითი რეფორმების განხორციელებით მიიღწევა საბოლოო მიზანი – კონკურეციის დაცვა და ხელშეწყობა.

კვლევაში განხილული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილია, საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები: კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება ქვეყანაში დღევანდელი გამოწვევების და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ, კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება, რათა ეფექტიანად განხორციელდეს კონკურენტული გარემოს სახელმწიფო მონიტორინგი და შეიქმნას კონკურენციის დაცვისა და ხელშემწყობის უკეთესი პირობები და ბერკეტები; ასევე აუცილებელია უზრუნველყოფა, გამონაკლისები, რომლებიც არსებობს კანონმდებლობაში, არ ქმნიდეს იმის შესაძლებლობას, რომ შესაბამის ბაზარზე შესაბამისი პროდუქციისთვის კონკურენცია საერთოდ გამოირიცხოს. და ბოლოს, აუცილებელია, ბიზნესის სხვადასხვა სექტორში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციების ეფექტიანი გამიჯვნა.

გამოყენებულ ი ლიტერატურა

1. https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/0b4afbc9dce04b369695993034bf2251.pdf, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, შპს „ჯეევერს დეველოპმენტის“ საქმე, 2020.
2. https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/5e586ce99531467d9b4cf7f7f9c9c19a.pdf, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საქმე, 2020.

3. https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdIl2xm.pdf, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, ფარმაცევტული ბაზრის საქმე, 2023.
4. https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/932de840af6e4c4db6c43e52454bc23b.pdf, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და შპს გნ კოს საქმე, 2020.
5. https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/a6a1a29f29514086aa79eef04ef1a104.pdf, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, ხორბლისა და პურ-პროდუქტების ბაზრის მონიტორინგი, 2020
6. https://gcca.gov.ge/index.php?m=2, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, წლიური ანგარიში, 2023

დასაქმების საჯარო სერვისები და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში

თინათინ ლოლაძე
თსუ დოქტორანტი

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის თანმხლები სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. ეკონომიკურ ლიტერატურაში დასაქმებისა და უმუშევრობის, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შესახებ არსებული თეორიული შეხედულებების ფორმირება შრომის ბაზრის თეორიასთან მჭიდროდ დაკავშირებული მიმდინარეობს. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა დადგინდეს ის კანონზომიერებები, რომლებიც ხსნიან დასაქმებისა და უმუშევრობის დონესა და დინამიკას, მათზე მოქმედ ფაქტორებს, უმუშევრობის წარმოშობის მიზეზებს, მისი გამოვლენის ფორმებსა და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს.

ნაშრომში განხილულია შრომის ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები. ასახულია, თუ როგორ შეცვალა Covid 19 პანდემიამ ბაზარზე არსებული მიღწევები. განხილულია დასაქმების ხელშეწყობისათვის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი - „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა“ (ALMP), რომელიც ახალი სამუშაო ადგილების მოძიება-დასაქმებისთვის მოქალაქეებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს. ამასთან, აღწერილია შრომის ბაზრის საინფორმაციო და ანალიზის სისტემები (LMIA), რომლებიც წარმოადგენს დასაქმებისა და შრომის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის ბერკეტს და ახორციელებს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას, მონიტორინგსა და შეფასებას.

საკვანძო სიტყვები: *დასაქმების საჯარო სერვისები, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა, პოტენციური სამუშაო ძალა, შრომის ბაზრის ერთიანი საინფორმაციო სისტემა*

ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტუალურია პოსტკომუნისტური ქვეყნების სოციალური მოდელების შესწავლა. კვლევებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს აკვირდებიან (Drahokoupil & Myant, 2009; Cazes & Nesporova, 2003; Aidukaite, 2009). პოსტსაბჭოთა სოციალური პოლიტიკა ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი სფეროა. რაც შეეხება საქართველოს, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგია (2019-2023) წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას შრომისა და დასაქმების სფეროში განსახორციელებელი სისტემური და სტრატეგიული რეფორმებისა და ღონისძიებების შესახებ, რადგან სიღარიბე და უმუშევრობა არის ის ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლებთან გამკლავებას დასავლეთის განვითარებული ეკონომიკები განსხვავებული სოციალური მოდელებითა და კეთილდღეობის პროგრამებით ცდილობენ. აქედან გამომდინარე აღნიშნული თემების გაშლა, ვფიქრობ, საინტერესოა და მნიშვნელოვანია განვითარების ამ ეტაპზე.

რადგან საქართველო მსოფლიო გლობალიზაციის ნაწილია, მნიშვნელოვანია გავიაზროთ მსოფლიოში არსებული პრობლემების დაძლევის გზები. სწორედ ამიტომ, დასაქმების საჯარო სერვისები და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა მნიშვნელოვანი საკითხებია როგორც საქართველოსთვის, ისე მსოფლიოსთვის.

სასემინარო ნაშრომის მიზანი და ამოცანები. რადგან დასაქმების ხელშეწყობა პოპულარული და მნიშვნელოვანი საკითხია როგორც საქართველოსთვის, ისე მთელი

მსოფლიოსთვის, დასაქმების ხელშეწყობისთვის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა“ (ALMP), რომელიც ახალი სამუშაო ადგილების მოძიება-დასაქმებისთვის მოქალაქეებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს. ჩემი თემის მიზანი და ამოცანაა სწორედ დასაქმების საჯარო სერვისები და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხილვაა, რომელიც მოიცავს ასევე შრომის ბაზრის საინფორმაციო და ანალიზის სისტემას (LMIA).

პრობლემის ფორმულირება. საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას უმუშევრობის შემცირება და შესაბამისად დასაქმების ზრდა წარმოადგენს, რაც ამასთანავე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის კუთხით. ამ საკითხების სწორად გააზრებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა არის შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა (ALMP) და რა მნიშვნელობა აქვს შრომის ბაზრის საინფორმაციო და ანალიზის სისტემებს (LMIA), გლობალიზაციის ჭრილში უნდა შეფასდეს შრომის ბაზრის ბოლოდროინდელი მდგომარეობა.

1. შრომის ბაზრის ფუნქციონირებისა და განვითარების თანამედროვე ტენდენციები განვითარებულ ქვეყნებში

დღეის მდგომარეობით COVID-19-ის შეზღუდვები ყველა ქვეყანაში მოიხსნა და ეკონომიკური აქტივობა განახლდა. თუმცა, ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების გამო ბევრ სექტორსა და ინდუსტრიაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაუარესდა მდგომარეობა. COVID-19-თან დაკავშირებული შეფერხებები ჩინეთში კვლავაც ნეგატიურ გავლენას ახდენს, გლობალურ ეკონომიკაზე ამ ქვეყნის პოზიციის გამო, რადგან იგი გლობალური ღირებულების ჯაჭვებში მთავარი მოთამაშეა. უკრაინაში კონფლიქტმა გამოიწვია სურსათისა და ენერგიის ფასების ზრდა და ზეწოლა გლობალურ მიწოდების ქსელებზე. ეს ფაქტორები ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას უმეტეს ქვეყნებში, მათ შორის განვითარებულ ეკონომიკებში, რომლებსაც არ ჰქონდათ მაღალი ინფლაცია ბოლო პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ეკონომიკის მთავრობები და ცენტრალური ბანკები ზრდიან საპროცენტო განაკვეთებს ინფლაციის კონტროლის მიზნით, მოსალოდნელია კერძო ინვესტიციების შემცირება, რაც სავარაუდოდ გამოიწვევს სამუშაო ადგილების შემდგომ დაკარგვას და სამუშაო ადგილების არასაკმარის შექმნას. გარდა ამისა, განვითარებად ეკონომიკებში სახელმწიფო ხარჯები კიდევ უფრო შემცირდება ვალის მომსახურების უფრო მაღალი ხარჯების გამო, რაც გამოიწვევს ინვესტიციების შემცირებას საჯარო სერვისებში – მათ შორის საჯარო დასაქმების სერვისებში, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) განხორციელების სხვა მექანიზმების ჩათვლით.

დასაქმების სერვისებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შრომის ბაზრის მხარდაჭერაში კრიზისის დროს. პანდემიის დროს ILO-მ შემოგვთავაზა ოთხსაფეხურიანი პოლიტიკის ჩარჩო COVID-19 კრიზისის ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედების დასაძლევად. ეს ითვალისწინებდა პოლიტიკის ერთობლიობას ხალხისა და ბიზნესის მხარდასაჭერად კრიზისის ოთხი ფაზის განმავლობაში, კერძოდ, ეს 4 ფაზა მოიცავდა **შეკავებას, სტაბილიზაციას, ჩაკეტვისგან გამოსვლას და დასაქმების ხელახალ გააქტიურებას.** ზემოაღნიშნული ოთხი ფაზის განმავლობაში საჯარო დასაქმების სამსახურებმა გასცეს სხვადასხვა სახის შეღავათები.

COVID-19 კრიზისმა უპრეცედენტო ზეწოლა მოახდინა დასაქმების სერვისებზე სამი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, ვირუსის გავრცელების შეკავების მიზნით პრაქტი-

კულად ყველა ქვეყანაში დაწესებული გადაადგილების შეზღუდვები და ჩაკეტვა ერთდროულად შეეხო ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორს, რამაც გამოიწვია სამუშაო ადგილების მასიური დაკარგვა, რამაც მკვეთრად გაზარდა დასაქმების სერვისებზე მოთხოვნა. მეორეც, ზოგიერთ სექტორსა და ინდუსტრიას შეექმნა მათ პროდუქტებსა და სერვისებზე მოთხოვნის უეცარი ზრდა (მაგალითად, ჯანდაცვის სერვისები, სახის ნიღბები და ხელის სადეზინფექციო საშუალებები) და არსებულმა სამუშაო ძალამ ვერ შეძლო მოთხოვნის დაკმაყოფილება. მესამე, დასაქმების საჯარო სამსახურებს ექმნებათ იგივე საზოგადოებრივი ჯანდაცვის შეზღუდვები, როგორც სხვა სუბიექტებს, რაც ზღუდავს მათ საოპერაციო შესაძლებლობებს და პერსონალური სერვისების მიწოდებას. ამ გამოწვევებს ფეხი აუწყო მან, ვინც ინვესტიცია ჩადო ტექნოლოგიაში, რათა გაუმჯობესებულიყო სერვისის მიწოდება კრიზისამდე და მათ, ვისაც ჰქონდათ მკაფიო სტრატეგია ციფრული ტრანსფორმაციისთვის.

2. პოტენციური სამუშაო ძალის ინდიკატორები და მისი გავლენა შრომის ბაზარზე

ბოლო წლებში უმუშევრობის დონის შეზღუდვები, როგორც შრომის ბაზრის მუშაობის ინდიკატორი, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე ასახავს სამუშაო ასაკის ადამიანებს, რომლებიც ეძებენ სამუშაოს და ხელმისაწვდომია სამუშაოდ, ის ეფექტურად გამორიცხავს მათ, ვისაც სურს მუშაობა, მაგრამ არ შეუძლიათ. ეს არის ბევრი ახალგაზრდა დედის შემთხვევა, რომლებიც ვერ ეძებენ სამსახურს ბავშვზე ზრუნვის გამო. უმუშევრობის დონე ასევე გამორიცხავს იმ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან სამუშაოდ, მაგრამ აქტიურად არ ეძებენ სამუშაოს. ეს მოიცავს იმედგაცრუებულ მუშაკებს, რომლებმაც უარი თქვეს სამუშაოს ძებნაზე. აქ არიან ასევე ახალგაზრდები. პოტენციურ სამუშაო ძალაზე დაფუძნებულ ინდიკატორებს შეუძლიათ ამ ხარვეზის გამოსწორება. ქვემოთ მოყვანილი *სქემა 1.1* გვიჩვენებს შრომისუნარიან ასაკის მოსახლეობაში შრომის არასაკმარისი გამოყენების კომპონენტებს, კერძოდ, უმუშევრობას, დროსთან დაკავშირებულ არადასაქმებულობას (Time-related underemployed[1]) და პოტენციურ სამუშაო ძალას. ILO-მ შეიმუშავა კომბინირებული ინდიკატორების ნაკრები უმუშევრობის მიღმა შრომის არასაკმარისი გამოყენების (LU) წყაროების გამოსავლენად. ინდიკატორი LU1 არის უმუშევრობის სტანდარტული მაჩვენებელი. LU2 აერთიანებს დროსთან დაკავშირებულ არადასაქმებულობას და უმუშევრობას. LU3 არის უმუშევრობისა და პოტენციური სამუშაო ძალის კომბინაცია (ცხრილი 1.1). ამ მაჩვენებლებიდან LU3-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასაქმების საჯარო სამსახურებში. ის მოიცავს უმუშევარს – დასაქმების საჯარო სერვისების ჩვეულებრივ კლიენტებს – და პოტენციურ სამუშაო ძალას, ანუ ყველა მათ, ვინც არ არის დასაქმებული, მაგრამ ვისაც სურს მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქტიურად არ ეძებენ სამუშაოს. უმუშევარი არის სამუშაო ძალის სტანდარტული განმარტების ნაწილი, რადგან ისინი აქტიურად ეძებენ სამუშაოს. **LU3 ინდიკატორი იძლევა შრომის ბაზრის იმ გამოწვევების უფრო ზუსტ სურათს, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია დასაქმების სერვისების მიერ შრომის ბაზრის პოლიტიკის მეშვეობით.**

ზემოთ წარმოდგენილი სხვადასხვა მაჩვენებელი აჩვენებს, რომ უმუშევრები შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილია, რომელსაც ესაჭიროება დასაქმების

[1] Time-related underemployed: დროსთან დაკავშირებული არადასაქმებული ეხება ყველა დასაქმებულ პირს, ვისაც (i) სურდა ემუშავა დამატებითი საათებით, (ii) მუშაობდა მითითებულ საათზე ნაკლებს და (iii) ხელმისაწვდომნი იყო დამატებით საათებზე სამუშაოდ. ესაა მეტი მუშაობის შესაძლებლობა.

სერვისები. მიუხედავად იმისა, რომ როგორც უმუშევრები, ისე პოტენციურ სამუშაო ძალაში შემავალი პირები იზიარებენ საერთო გამოწვევებს, არსებობს დამატებითი ბარიერები, რომლებიც ამ უკანასკნელზე უფრო დიდ გავლენას ახდენს. მართლაც, მრავალმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების მიუწვდომლობა ან უუნარობა (ცხრილი 1.2).

სქემა 1.1.

შრომის არასაკმარისი გამოყენების კომპონენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დასაქმების დაუკმაყოფილებელი საჭიროების მონიტორინგისთვის



წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ, სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. Benes and Walsh (2018) ლიტერატურის გამოყენებით.

ცხრილი 1.1.

არასაკმარისი შრომის ILO-ს ინდიკატორები

LU1	უმუშევრობა
LU2	დროსთან დაკავშირებული არადასაქმება + უმუშევრობა
LU3	უმუშევრობა + პოტენციური სამუშაო ძალა
LU4	უმუშევრობა + დროსთან დაკავშირებული დასაქმება + პოტენციური სამუშაო ძალა

პირველ ყოვლისა, არსებობს შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი ბარიერები, როგორებიცაა დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილი უნარების დონე, კვალიფიკაცია და გამოცდილება. მეორე, არის სამუშაოს ძიებასთან დაკავშირებული ბარიერები, როგორებიცაა ვაკანსიების მოძიება, ბიოგრაფიის დაწერა და მესამე არის შრომის ბაზრისთვის ეგზოგენური ბარიერები, როგორებიცაა ბავშვზე ზრუნვის მხარდაჭერის ნაკლებობა, ცუდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სამუშაო ადგილამდე დიდი მანძილი, დაუცველობა და გენდერული სტერეოტიპული როლები, რომლებიც ენიჭება ქალებს ზოგიერთ საზოგადოებაში.

ცხრილი 1.2.

შრომის ბაზრის ბარიერების ტიპოლოგია

არსებითი	დაკავშირებულია სამუშაოს ძიებასთან	ეგზოგენური
ტექნიკური უნარები **ძირითადი უნარები** **კვალიფიკაცია** **გამოცდილება**	ვაკანსიის ძიება CV-ის შედგენა უნარები გასაუბრებისთვის შეზღუდული ქსელები	ბავშვის მოვლის მხარდაჭერის ნაკლებობა ცუდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შორ მანძილზე სამუშაო ადგილი დისკრიმინაცია დაუცველობა კულტურული ფაქტორები არაფორმალურობა

3. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) ძირითადი მიმართულებები, კატეგორიები განვითარებულ ქვეყნებში

ALMP-ები მიზნად ისახავს ინდივიდების შრომის ბაზარზე ინტეგრაციის გაუმჯობესებას. ასეთ პოლიტიკას შეიძლება ჰქონდეს მრავალი განსხვავებული ფორმა: ზოგი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მიწოდების მხარეზე, ზოგიც მოთხოვნის მხარეზე, ზოგი კი გამიზნულია შრომის მიწოდების მოთხოვნასთან შესაბამისობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ALMP-ების უმეტესობა მიმართულია უმუშევართა და არადასაქმებულებზე და იმ ადამიანებზე, რომლებმაც დატოვეს შრომის ბაზარი და ზოგიერთი აშკარად მიზნად ისახავს დაუცველ ჯგუფს, მათ შორის დაბალკვალიფიციურ და დაბალანაზღაურებად მუშაკებს, ახალგაზრდა და ხანდაზმულ მუშაკებს, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ქალებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მუშაკებს (Auer, Efendioğlu & Leschke, 2008; ILO, 2016).

არსებობს ALMP-ის ხუთი ძირითადი კატეგორია (ILO, 2016):

- ✓ **ტრენინგი:** შრომის ბაზრის ტრენინგი მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინდივიდების დასაქმების უნარი და ამით ხელი შეუწყოს მათი მომავალი კარიერული განვითარების გზებს (მაგალითად, უფრო მაღალი შემოსავლის ან სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების გზით). ტრენინგი ხშირად მიზანმიმართულია შრომის ბაზრის

გარკვეულ ჯგუფებზე, როგორებიცაა ახალგაზრდები, ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ხანდაზმული მუშები. OECD-ის ქვეყნებში ALMP-ს ძირითადი ხარჯი მოიცავს ტრენინგს. განვითარებად ქვეყნებში, ასევე, ტრენინგი არის ALMP-ის ყველაზე გავრცელებული ტიპი.

- ✓ **საჯარო დასაქმების პროგრამები:** მას ჩვეულებრივ მოიხსენიებენ, როგორც საჯარო სამუშაოების პროგრამებს. მათი უმთავრესი მიზანია ბენეფიციარებისთვის მოკლევადიანი დასაქმების შესაძლებლობების მიწოდება და შემოსავლები საზოგადოებისთვის ღირებული მომსახურების მიწოდებისას. საჯარო დასაქმების პროგრამები ხშირად გამოიყენება ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, რადგან მათი ერთ-ერთი მიზანი შრომის ბაზარზე მიბმულობის შენარჩუნებაა. ასეთი პროგრამების გამოყენება შემცირდა OECD-ის ქვეყნებში მათი აყვავების პერიოდის შემდეგ 1970-იან და 1980-იან წლებში; ისინი ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში.
- ✓ **დასაქმების სუბსიდიები:** ეს საზომი ეხება მუშაკების დაქირავებას ან სამუშაო ადგილების შენარჩუნების სტიმულების შექმნას შრომის ხარჯების შემცირებით. OECD-ის ქვეყნებში, დასაქმების სუბსიდიები ძირითადად უზრუნველყოფს შეზღუდული ხანგრძლივობის მხარდაჭერას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებიც აწყდებიან შრომის ბაზარზე ინტეგრაციის განსაკუთრებულ დაბრკოლებებს. განვითარებად ქვეყნებში ეს სუბსიდიები ასევე, როგორც წესი, გამიზნულია მუშებზე, რომლებსაც აქვთ ისეთი მუდმივი სირთულეები შრომის ბაზარზე ინტეგრაციასთან დაკავშირებით, როგორებიცაა ოჯახის უფროსი ქალი, დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების წევრები, უმუშევარი ახალგაზრდები და სკოლამიტოვებულები. (Bloom, 2010).
- ✓ **მიკროსაწარმოების შექმნის მხარდაჭერა:** ეს ღონისძიებები მიზნად ისახავს ფინანსური და ლოგისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას უმუშევარ ან არააქტიურ პირებზე, რომლებსაც სურთ დაიწყონ ეკონომიკური საქმიანობა, როგორც თვითდასაქმების გზით-გახდნენ მიკრომეწარმეები. OECD-ის ქვეყნებში ეს პოლიტიკა მიმართულია ახალგაზრდა და მაღალკვალიფიციურ პირებზე, ვინაიდან ემპირიული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ასეთი ინტერვენციები ეფექტურია, როდესაც ისინი კონკრეტულად მიზნად ისახავს უმუშევარ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან სამუშაოსთვის (Martini, 2000). განვითარებად ქვეყნებში მიკრომეწარმეობის მხარდაჭერა განიხილება, როგორც დასაქმების შექმნის გზა როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სექტორში (ILO, 2016).
- ✓ **დასაქმების შუამავლობის სერვისები:** ეს ღონისძიებები ეხება სამუშაოს მაძიებელთა დაკავშირებას დამსაქმებლებთან მთელი რიგი სერვისების მეშვეობით, როგორებიცაა კარიერული რჩევა, შრომის ბაზარზე ორიენტაცია, სამუშაოს ძიებაში დახმარებისა და შრომის ბაზრის რეინტეგრაციის სხვა ღონისძიებები, როგორიცაა ტრენინგი. ეს სერვისები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის დასაქმების საჯარო სამსახურების მიერ.

4. შრომის ბაზრის ერთიანი საინფორმაციო სისტემა (LMIA), შრომის სფეროს პოლიტიკის ფორმირების და რეალიზაციის მნიშვნელობანი ინსტრუმენტი

შრომის ბაზრის საკითხების შესწავლა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, დამოკიდებულია მონაცემების, ინფორმაციისა და ანალიზის ხელმისაწვდომობაზე. შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაცია და ანალიზი (LMIA) წარმოადგენს დასაქმებისა და შრომის პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან საფუძველს, რომელიც ახდენს პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას. LMIA ასევე ხელს

უწყობს შრომის ბაზრის ტრანზაქციის ხარჯების შემცირებას, რადგან ის ეხმარება შრომის ბაზრის აგენტებს არასრულყოფილი ინფორმაციის დაძლევაში.

ქვეყნების უმეტესობა მომხრეა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემების განვითარების. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში LMIA სისტემების ფუნქციონირება, თუ ასეთი სისტემები საერთოდ შეიქმნა, შეფერხებულია სხვადასხვა შეზღუდვით, მათ შორის მონაცემთა შეზღუდულობით.

პირველი ფუნქცია წმინდა ანალიტიკურია და, როგორც ასეთი, იგი გარკვეულწილად სრულდება აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების მიერ. თუმცა LMIA სისტემების მთავარი მიზანი, რომელიც შეიქმნა აკადემიის გარეთ, არის ინფორმაციისა და ანალიზის წარმოება პოლიტიკის შემქმნელებისთვის და შრომის ბაზრის სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. LMIA სისტემა ასევე შეიძლება უშუალოდ იყოს ჩართული დასაქმებისა და შრომის პოლიტიკის მონიტორინგსა და ანგარიშგებაში (მეორე ფუნქცია). თუ პოლიტიკის მონიტორინგისა და ანგარიშგების გარდა, LMIA სისტემა გამოყენებული იქნება პოლიტიკის ანალიზისა და შეფასებისთვის, სისტემა გააერთიანებს პირველ და მეორე ფუნქციებს. როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე LMIA სისტემის ინსტიტუციური როლი შეიძლება გაფართოვდეს მესამე ფუნქციით. ეს ფუნქცია შეიძლება მერყეობდეს ცნებების, განმარტებებისა და სტანდარტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებიდან მონაცემთა შეგროვების ან კონკრეტული ანალიტიკური აქტივობების შესახებ რესურსების განაწილებამდე (მაგ. შეფასებები, ეკონომეტრიკული მოდელები).

LMIA სისტემები მოიცავს ანალიტიკურ კვლევებს, რათა მოხდეს შრომის ბაზრის განვითარებისა და ტენდენციების იდენტიფიცირება და ინტერპრეტაცია. ანალიტიკური კვლევების თვალსაზრისით, LMIA სისტემები შეიძლება განვითარდეს სამ დონეზე. პირველ დონეზე LMIA სისტემა ახდენს ინდიკატორების მონიტორინგს. აქტივობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ისეთი ძირითადი LMIA სისტემის შესაქმნელად, როგორებიცაა მონაცემთა შეგროვება, შესაბამისი მონაცემთა ბაზების შექმნა, შრომის ბაზრის რეგულარული ანგარიშების წარმოება და ინფორმაციისა და ანალიზის გავრცელება, შეიძლება განხორციელდეს სამთავრობო დეპარტამენტის, კერძოდ LMIA-ს განყოფილების მიერ, შრომის ბაზრის კვლევით დაინტერესებულ მხარეებთან, სტატისტიკის სააგენტოებსა და კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. განყოფილება უნდა დაკომპლექტდეს შრომის ბაზრის ანალიტიკოსებით, სტატისტიკოსებით და მონაცემთა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დამუშავებით დაკავებული პერსონალით.

ინდიკატორების მონიტორინგი იძლევა არა მხოლოდ სიგნალებს შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ, არამედ იძლევა ამოსავალ წერტილს მთელი რიგი დამატებითი ანალიტიკური აქტივობებისა და კვლევებისთვის (მეორე დონის LMIA სისტემა). ურთიერთობების ანალიზი მოიცავს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას (მაგ. რეგრესიული ანალიზი), მაგრამ ასევე შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი მეთოდები (მაგ. დაინტერესებული მხარეების მიერ მართული ფორუმები). ყველა შემთხვევაში, ანალიტიკური აქტივობები ეყრდნობა პირველი დონის LMIA სისტემას, რომელიც აკონტროლებს შრომის ბაზრის ინდიკატორებს.

LMIA სისტემების მესამე დონე მოიცავს ყოვლისმომცველი ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებას მეორე დონის ანალიზზე დაყრდნობით. ეკონომეტრიკული მოდელები წარმოადგენს ანალიტიკურ მიდგომას, რომელიც იძლევა შრომის ბაზრის განვითარების დეტალური და თანმიმდევრული პროგნოზების წარმოქმნის საშუალებას. ხშირ შემთხვევაში, მოდელებს შეიმუშავებენ სპეციალიზებული კვლევითი ინსტიტუტები, ხოლო LMIA-ს

განყოფილება შეიძლება ჩართული იყოს არსებული მოდელების გაშვებაში და/ან გამოიყენოს მოდელირების შედეგები პოლიტიკის შემუშავების მიზნებისთვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით უნდა გამოვყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები:

- ✓ მორგებული მიდგომების მნიშვნელობა: ALMP უნდა იყოს მორგებული საქართველოს შრომის ბაზრის სპეციფიკურ მახასიათებლებსა და გამოწვევებზე;
- ✓ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის რელევანტურობა: განვითარებული ქვეყნების გამოცდილებების შესწავლამ შეიძლება უზრუნველყოს ღირებული ინფორმაცია ALMP-ის დიზაინის, განხორციელებისა და ეფექტიანობის შესახებ;
- ✓ ყოვლისმომცველი სტრატეგიების საჭიროება: ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც ეხება დასაქმების მრავალ ბარიერს, უფრო ეფექტიანია;
- ✓ დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობის როლი: სამთავრობო უწყებებს, პროფკავშირებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა გადამწყვეტია ALMP-ის წარმატებისთვის;
- ✓ ინვესტიცია მონაცემებსა და მონიტორინგში: მონაცემთა ინფრასტრუქტურის და შეფასების შესაძლებლობების გაძლიერება პრიორიტეტული უნდა იყოს.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, აქ ხაზგასასმელია შემდეგი საკითხები:

- ✓ ALMP-ის მორგება ადგილობრივ რეალობაზე: საჭიროა შრომის ბაზრის დინამიკისა და დემოგრაფიული ტენდენციების საფუძვლიანი შეფასებები პოლიტიკის დიზაინის ფორმირებისთვის;
- ✓ უნარების განვითარების ხელშეწყობა: ინვესტიცია პროფესიულ მომზადებაში, სტაჟირებასა და სასწავლო პროგრამებში, რათა ქართველი სამუშაო ძალა აღიჭურვოს დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი უნარებით;
- ✓ მეწარმეობის და თვითდასაქმების მხარდაჭერა: წაახალისეთ ინოვაციების და მეწარმეობა, როგორც სამუშაო ადგილების შექმნის და ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა;
- ✓ ახალგაზრდების უმუშევრობისადმი მიდგომა: ითანამშრომლეთ საგანმანთლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებელთან, რათა ხელი შეუწყოთ განათლებიდან დასაქმებაზე მშვიდად გადასვლას;
- ✓ სოციალური დაცვის გაძლიერება: საჭიროა, ALMP ხელს უწყობდეს სოციალურ ჩართულობას და დაიცვას საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრები;
- ✓ ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება: ინვესტიცია განავითაროს იმ საჯარო დაწესებულებებზე, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან ALMP-ის განხორციელებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბედიანაშვილი გ., ცარციძე მ., მიქელაძე ნ., გაბროშვილი ზ.** თანამედროვე გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა საქართველოში: მაკროასპექტი. თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის რეცენზირებადი, ბეჭ-

დურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti” N3, ტომი XIX. 2023;

2. **კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ.** ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები საქართველოში. თსუ პრესა;
3. **ლობჟანიძე მ.** ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები და რეგულირების ძირითადი მიმართულებები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2006;
4. **ლობჟანიძე მ.** კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სასწავლო მიგრაციაზე. IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია – საქართველოს პოსტპანდემიური ეკონომიკა: გამოწვევები, პრობლემები, გადაჭრის გზები. 2020;
5. **პაპავა ვ.** კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. 21 მარტი, 2020;
6. **პაპავა ვ., ჭარაია ვ.** კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი;
7. **ტუხაშვილი მ., ანანიაშვილი ი., ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., შელია მ., ჭელიძე ნ.** შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. პუბლიკაცია მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს პროექტის „სარეინტეგრაციო საქმიანობა საქართველოში“ მხარდაჭერით. უნივერსალი. თბილისი. 2012;
8. **ტყემალაძე ი.** დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში საქართველოში. ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი. N12. 2021;
9. **ღაღანიძე გ.** მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. ტომი XII. N2. 2020;
10. **შელია მ.** საქართველოს სტუდენტობა: სოციალურ-შრომით და დემოგრაფიულ პრიზმაში. უნივერსალი. თბილისი. 2022;
11. **ჩიქობავა მ., კაკულია ნ.** მაკროეკონომიკა. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბილისი, 2009;
12. **ცარციძე მ.** დისტანციური დასაქმების განვითარების პერსპექტივები საქართველოში კორონომიკის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი. N10, გვ. 2020;
13. **ცარციძე მ.** ეფექტიანი დასაქმება-ადამიანის კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში. რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“. N2, 2019;
14. **ცარციძე მ.** შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. ტომი XI, N2. 2019;
15. **ხარაიშვილი ე.** საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები, ჟურნალი ,,ბიზნესი და მენეჯმენტი”. N2. 2010;
16. **Aidukaite, J.** Post-Communist Welfare Pathways. (P. V. Alfio Cerami, Ed.) London: Palgrave Macmillan. 2009;
17. **Auer, Peter, Ümit Efendioğlu, and Janine Leschke**. Active Labour Market Policies around the World: Coping with the Consequences of Globalization, 2nd ed. Geneva: ILO;
18. Bloom, Dan. 2010. “Transitional Jobs: Background, Program Models, and Evaluation Evidence. MRDC. 2008;
19. **Bedianashvili G.** Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17(2). 2023;
20. **Cazes, S., & Nesporova, A.** Labour Markets in Transition: Balancing Flexibility andSecurity in Central and Eastern Europe. Geneva: ILO. 2003;
21. **Davern, Eamonn, and Michael Mwasikakata**. Guidelines on the Setting-Up of Effective Job Centres in Developing Countries with Reference to Sub-Saharan Africa, the Middle East and North Africa Regions. ILO. 2021;
22. **Drahokoupil, J., & Myant, M.** Varieties of capitalism, varieties of vulnerabilities: Financial Crises and its impact on welfare states in Eastern Europe and the Commonwealth of Independent States. Historical Social Research. 2009, November;

23. **Galasso, Emanuela, and Martin Ravallion**. Social Protection in a Crisis: Argentina's Plan Jefes y Jefas. The World Bank Economic Review 18 (3): 367–399. 2004;
24. **Gentilini, Ugo, Mohamed Almenfi, John Blomquist, Pamela Dale, Luciana De la Flor Giuffra, Vyjayanti Desai, María Belén Fonteñez, Guillermo García, Verónica López, Georgina Marin, et al.** Social Protection and Jobs Responses to COVID-19: A Real-Time Review of Country Measures – Version 15 (14 May 2021). Paper prepared for the World Bank. 2021;
25. **History.com** editors. "Works Progress Administration (WPA)";
26. **Holzner, Christian, and Makoto Watanabe**. Understanding the Role of the Public Employment Agency. Paper presented at the 2018 Annual Congress of the German Economic Association (Verein für Sozialpolitik), Freiburg, 2–5 September 2018. 2018.
27. **ILO** global survey of public employment services. 2021;
28. **ILO.** What Works: Active Labour Market Policies in Latin America and the Caribbean. 2016;
29. **ILO.** What Works: Promoting Pathways to Decent Work. 2019;
30. **ILO.** The Role of Public Employment Programmes and Employment Guarantee Schemes in COVID-19 Policy Responses, ILO Brief, 29 May 2020. 2020a;
31. **ILO.** Delivering Income and Employment Support in Times of COVID-19: Integrating Cash Transfers with Active Labour Market Policies, ILO Policy Brief, June 2020. 2020b;
32. **Kluve, Jochen, Susana Puerto, David Robalino, Jose Manuel Romero, Friederike Rother, Jonathan Stöterau, Felix Weidenkaff, and Marc Witte**. Interventions to Improve the Labour Market Outcomes of Youth: A Systematic Review of Training, Entrepreneurship Promotion, Employment Services and Subsidized Employment Interventions. Campbell Systematic Reviews 13 (1): 1–288. 2017;
33. **Marshall, Adriana.** State Labour Market Intervention in Argentina, Chile and Uruguay: Common Model, Different Versions, ILO Employment and Training Paper No. 10. 1996;
34. **Martin, John P.** What Works among Active Labour Market Policies: Evidence from OECD Countries'Experiences, OECD Economic Studies No. 30. 2000;
35. **Martin, John P., and David Grubb.** What Works and for Whom: A Review of OECD Countries' Experiences with Active Labour Market Policies. Swedish Economic Policy Review 2001/8: 9–56. 2001;
36. **Nunn, Alex, and Jamie Morgan.** The Political Economy of Public Employment Services: Measurement and Disempowered Empowerment? Policy Studies 41 (1): 42–62. 2020;
37. **Torraco, Richard J.** Early History of the Fields of Practice of Training and Development and Organization Development. Advances in Developing Human Resources 18 (4): 439–453. 2016;
38. **Walsh, Kenneth.** Dematerialisation of Services in EU PES. Report prepared for the European Commission. 2020.
39. საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გამომცემლობის რედაქტორი	**ქეთევან ქურდოვანიძე**
გარეკანის დიზაინერი	**ნინო ებრალიძე**
დამკაბადონებელი	**ხათუთა ბადრიძე**

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918